# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 ნოემბერი სამშაბათი 2011
№263 (13 560) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროთასის სახეში

მასპინძლები, ანუ ფავორიტები



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

დღეს 18:00.
სპორტის სასახლე.
არმია-გოტინგენი



## ის შემთხვევა, როცა ბოლიში საქმეს არათუ ვერ შველის, არამედ დააცინავაც კია

**გელა სანაია არც გაჩუმებას აპირებს, არც გაჩერებას, მაგრამ არის ერთი კრიტიკული მომენტი**

# გაახსოვდეს კონტრაქტი!



# გადაწყდა!

გუდაური თებერვალში პირველად უმასპინძლებს საერთაშორისო შეჯიბრებას სნოუბორდში

11

## ქართული ფეხბურთი

● ხმაურიანი ამბის გაგრძელება



გუშინ შეგპირდით, რომ გელა სანაიასა და ფოთის "კოლხეთის" ერთდღიანი თანამშრომლობის თემას გაგრძელება აუცილებლად ექნებოდა. მეტიც, ამ უკვე გახმაურებულ ამბავს უახლოეს პერიოდში კიდევ არაერთხელ მივუბრუნდებით და იმედს ვიტოვებთ, რომ სიმართლე არც ერთ მხარეს არ დაეკარგება – თუ, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთს არ აქვს.

საქმის არსს მოკლედ შეგახსენებთ: რამდენიმე დღის წინ "კოლხეთმა" და გელა სანაიამ დაადასტურეს, რომ ერთმანეთთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, შემდეგ კი 33 წლის სპეციალისტი საქმესაც შეუდგა, თუმცა მისმა საქმიანობამ ფოთში მხოლოდ ერთ დღეს გასტანა, რადგან კლუბის ხელმძღვანელებმა აცნობეს, რომ მასთან თანამშრომლობას აღარ აპირებდნენ, მყარი არგუმენტების ნაცვლად კი სანაიამ მხოლოდ ბოდიში მიიღო. სანაია საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას აპირებს და გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იმყოფებოდა, სადაც საქმის კურსში სხვებთან ერთად პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე პირადად ჩააყენა.

# წინ არბიტრაჟი და სოლიდარობაა

## არც კონტრაქტი ჩანს და არც ფოთური არგუმენტები

თუ რა ბერკეტების გამოყენება შეუძლია ახალგაზრდა მწვრთნელს მიზნის მისაღწევად, ამის თაობაზე ყველაზე კომპეტენტური პასუხი, ბუნებრივია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს უფროსისგან, **რევაზ შენგელიასგან** უნდა მოგვესმინა.

- გელა სანაიას შეუძლია, საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართოს და იქ იბრძოლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ჩვენი მხრივ, მას ყველანაირად დავეხმარებით რჩევებით, დანარჩენი კი სანაიას და მისი თანამოაზრეების გადასაწყვეტია.

**- მან გვითხრა, რომ "კოლხეთთან" კონტრაქტს ხელი მოაწერა. კლუბს კონტრაქტი დასარეგისტრირებლად ფედერაციაში ხომ არ გამოუგზავნია?**

- არა, კონტრაქტი არ მიგვიღია. როგორც სანაიასგან შევიტყვეთ, მან ხელშეკრულებას ხელი ცალმხრივად მოაწერა და, რაც მთავარია, მისი ასლი არ აქვს, რაც სამომავლო მოქმედებებში ყველაზე მეტად შეუშლის ხელს.

**- სამაგიეროდ, ვერავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ "კოლხეთმა" მას ბინა უქირავა და ერთი ვარჯიშიც ჩაატარა.**

- მესმის, მაგრამ მთავარი აქ კონტრაქტია. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, თუ სანაიამ არბიტრაჟს მიმართა, ბუნებრივია, არბიტრაჟმა "კოლხეთის" პოზიცია და არგუმენტებიც უნდა მოისმინოს.

■ ■ ■

ბუნებრივია, "კოლხეთის" პოზიციით ჩვენც დავინტერესდით, მაგრამ მომხდართან დაკავშირებით დამაჯერებელი პასუხი ვერ მივიღეთ. კლუბის პრესსამსახური სანაიასთან თანამშრომლობის განყვეტის მიზეზებს არ ასახელებს და მხოლოდ იმას აცხადებს, რომ "კოლხეთს" სანაიასთან კონტრაქტზე ხელი არ მოუწერია და არც მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **სოსო ფილიას** გათავისუფლებისა და ამ პოსტზე სანაიას დანიშვნის ბრძანება დაწერილა. ფოთში სანაიას მცირეხნიანი ცხოვრებისა და ვარჯიშის ჩატარების ფაქტს კი, ბუნებრივია, არავინ უარყოფს.

შეგახსენებთ, ბოლო დღეებში მხარეთა დაშორების ორი ვერსია გავრცელდა – მათ შორის შეუთანხმებლობა და ფეხბურთელთა სურვილი, გუნდი კვლავ ფილიას გაეწვრთნა. სანაია ორივე ვერსიას კატეგორიულად უარყოფს.

კულუარული ცნობებით, უშუალოდ "კოლხეთის" ხელმძღვანელობის ბრალი ამ გამაოგნებელ ისტორიაში ნაკლებია, კლუბში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მათი ზემდგომები იღებენ და ეს ამბავიც "ზემოდან" მოდისო. გუშინ კი "ზემოთ" ვერავის დავუკავშირდით.

■ ■ ■

ბოლოს თვით გელა სანაიას მივუბრუნდეთ, რომელიც უახლოეს სამოქმედო გეგმაზე ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ საკუთარი უფლებების დასაცავად ბრძოლას ყველა შესაძლო კანონიერი გზით აპირებს.

მოსალოდნელია, რომ პირველი ქმედითი ნაბიჯი მან კოლეგებთან ერთად გადადგას – ამჟამად უმაღლესი ლიგის კლუბების მწვრთნელები ჰოლანდიაში იმყოფებიან სტაჟირებაზე, მათი დაბრუნებისთანავე კი, შესაძლოა, სანაიამ პრესკონფერენცია მოიწვიოს, სადაც მედიის წინაშე იმ კოლეგებთან ერთად წარდგება, რომლებიც მზად არიან, მის მიმართ სოლიდარობა საჯაროდ გამოხატონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ეროვნული ნაკრები

# გააკვირვე, როცა გაკვირვებიან

"ვიტ ჯორჯიასა" და თბილისის "დინამოს" შეხვედრას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** ესწრებოდა და მატჩის შემდეგ 11 ნოემბერს მოლდოვასთან გასამართი შეხვედრისთვის ვეტერინართა ცენტრალური ნახევარმცველი **გიორგი ჯანელიძე** გამოიძახა.

22 წლის ნახევარმცველი მართლაც ჩინებულად გაისარჯა და ქეცბაიას ყურადღება სამართლიანად დაიმსახურა. მეორე ტაიმში მასპინძლები სრულ უპირატესობას რომ დაეუფლნენ, ამაში დიდი როლი სწორედ ჯანელიძემ ითამაშა.

*"ვიცოდი, რომ "დინამოსთან" შეხვედრას ნაკრების მწვრთნელები ესწრებოდნენ და, ცხადია, ამანაც იმოქმედა. ეტყობა, ურიგოდ არ მითამაშია და ქეცბაიაზე ცუდი შთაბეჭდილება არ დამიტოვებია. ძალიან მიხარია, ნაკრებში რომ გამომიძახეს. ეს დღეს ჩვენმა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ მაცნობა და ძალიან გახარებული ვარ.*

*ნაკრებში გამოძახება ბევრს ნიშნავს და ამიტომ ეს შანსი უნდა გამოვიყენო. თუ თამაშის საშუალება მომეცა, შევეცდები, იმედები გავამართლო" – ამბობს ჯანელიძე.*

*მისი აზრით, წლეულს ჩემპიონატი ბევრად უკეთესია, ვიდრე წინა წლებში: „კარგი ჩემპიონატია, რაზეც მოედნების ხარისხის გაუმჯობესებამ იმოქმედა. ახლა უკეთეს საფრებზე გვიწევს გასვლა, ვიდრე წინა წლებში და თამაშიც ბევრად უკეთ გამოგვდის. მაგალითად ჩვენი და თბილისის "დინამოს" ბოლო შეხვედრა გამოდგება. ფეხბურთელებმაც ვისიამოვნეთ და, ვფიქრობ, მატჩი მაყურებელსაც მოეწონა. ჩვენს ჩემპიონატში ასეთ ტემპს, ლამაზ და დაძაბულ სანახაობას ბევრი ვერ წარმოიდგენდა. ბურთი მოედნის ცენტრში არ ყოვნდებოდა, სულ შეტევები და მომენტები იყო. ასეთი თამაშებში ფეხბურთელი უეჭველად გაიზარდება".*



**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

# კოლხეთი–ზესტაფონი 15 ნოემბერს

როგორც იცით, ეროვნული ჩემპიონატის გასულ ტურში "კოლხეთისა" და "ზესტაფონის" მატჩი ვერ ჩატარდა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ ლანჩხუთის "ევგრაფი შევარდნაძე" წვიმამ დატბორა. არ ვიცით, როგორი ამინდი იქნება მომავალ კვირაში, მაგრამ იმედია, შეხვედრის გამართვა საშეჯიბრო კომიტეტის მიერ დადგენილ დღეს - 15 ნოემბერს მაინც მოხერხდება.

ორივე გუნდი მეტად მჭიდრო გრაფიკში მოექცევა, რადგან 20 ნოემბერს უმაღლესი ლიგის მორიგი ტურია. განსაკუთრებული დატვირთვა „ზესტაფონის" ფეხბურთელებს ექნებათ, რადგან საქართველოს ჩემპიონთა რიგებიდან ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებში არაერთი ფეხბურთელია გამოძახებული.

ბუნებრივია, ძალაში დარჩება „კოლხეთი"-"ზესტაფონის" წინ დაწესებული დისციპლინარული სანქციები და მატჩს დისკვალიფიკაციის გამო ფეროელთა მცველი **ედიკ საჯაია** გამოტოვებს.

20 ნოემბერს კი „კოლხეთი" ზუგდიდის „ბაიას" უმასპინძლებს, „ზესტაფონი" კი გორში „დილას" ესტუმრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● არის იდეა!

## ვახტანგ ხაინდრავა:

# ფოთში სტადიონი პაიჭაძის სახელობისა უნდა იყოს

ფოთის "კოლხეთის" ყოფილი გენერალური დირექტორი **ვახტანგ ხაინდრავა** მიიჩნევს, რომ უპრიანი იქნება, "ფაზისის" სტადიონს სახელი გადაერქვას და ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, **ბორის პაიჭაძის** სახელი მიენიჭოს.

*"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობით ფოთში მშვენიერი მოედანი დაიგო. ამას, ალბათ, მთლიანად სტადიონის განახლება მოჰყვება. მე და ჩემმა მეგობრებმა ფოთში გამოკითხვა ჩავატარეთ, დავინტერესდით, რას ფიქრობს ხალხი, ფოთის განახლებულ სტადიონს ბორის პაიჭაძის სახელი რომ ეწოდოს.*

*თბილისის "დინამოს" კაპიტანი და ქართული ფეხბურთის ლეგენდა ფოთელი გახლდათ, მსგავსნი ქართველებს ბევრი არ გვყოლია და მშობლიურ ქალაქში რომ დაფასდეს, ამას ფოთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა – გამოკითხვამ სწორედ ასეთი შედეგი აჩვენა.*

*ამ გადაწყვეტილების მისაღებად მეორე არგუმენტიც გამაჩნია: ფოთში ბორის პაიჭაძის ბიუსტი დგას, მაგრამ ისეთ ადგილზეა, მისი მდებარეობა ასევე აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც იცის და გამართლებული იქნება, სტადიონზე, თვალსაჩინო ადგილზე გადმოვიტანოთ.*

*თუ ამ აზრს გაიზიარებენ, მზად ვართ, ბიუსტი სტადიონზე ჩვენი ხარჯებით გადავიტანოთ და მისივე სახელობის სტადიონზე დაიდგას. ჯერ არ ვიცი, თანახმა არის თუ არა ქალაქის ხელმძღვანელობა, მაგრამ წინააღმდეგიც არ უნდა იყვნენ, რადგან ეს ფოთელთა უმრავლესობის აზრია," – გვითხრა ხაინდრავამ.*

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U15

# ნაკრები სანაკრებო ფორმატზე გადადის

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები ორი წლის წინ ჩამოყალიბდა, თუმცა ნაკრების წინააღმდეგ პირველად ორი დღის წინ ითამაშა – "მიხეილ მესხზე" **გოშთელიანის, ჯობავასა** და **კაკიაშვილის** გოლებით აზერბაიჯანელი თანატოლები 3:0 დაამარცხა.

აქამდე **ნოდარ აკობიას** გუნდს მხოლოდ კლუბების წინააღმდეგ უწევდა თამაში, რასაც მარტივი ახსნა აქვს – 1997 წელს დაბადებულთა ნაკრები ჩვენზე ადრე, ფაქტობრივად, არსად ჩამოუყალიბებიათ. თუმცა ჩვენს 15-წლამდელებს დრო არ დაუკარგავთ და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში მოსინჯეს ძალები — ზოგში პირველობა არავის დაუთმეს, ზოგში კი საპრიზო ადგილზე გავიდნენ. მართალია, ნაკრებს კლუბის წინააღმდეგ კარგი შედეგი მოეთხოვება, მაგრამ ამ თაობისთვის ეს მაინც კარგი გამოცდილება იყო.

რაც მთავარია, რამდენიმე ქართველი მოზარდი ცნობილი უცხოური კლუბების თვალთახედვის არეში მოხდა და სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ ამ თაობის რამდენიმე წარმომადგენელი მალე კარიერას საზღვარგარეთ გააგრძელებს.

*"აზერბაიჯანელებთან თამაშს სულ სხვა დატვირთვა აქვს. რაც უნდა იყოს, ნაკრების წინააღმდეგ ძალების მოსინჯვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჩვენი ბიჭების გასაზრდელად. დამაჯერებელი ანგარიშით გამარჯვების მიუხედავად, ვერ ვიტყვი, რომ სუსტი მეტოქე გვყავდა. აზერბაიჯანის 15-წლამდელთა ნაკრებს გერმანელი სპეციალისტები ავარჯიშებენ და ჩვენი მეზობლები თბილისს ავსტრიულ-გერმანული შეკრებიდან ეწვივნენ, სადაც ექვსი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს და ერთშიც არ დამარცხებულან"*, - გვითხრა ნოდარ აკობიამ, რომელიც ამ ნაკრების ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებას დადებით მოვლენად მიიჩნევს, რადგან სასელექციო სამუშაოები დიდი ხნის დაწყებულია და ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენაც გაადვილებულია.

სელექცია მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს და სამწვრთნელო შტაბი კმაყოფილია, ნაკრებში წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის არაერთ რეგიონს რომ ჰყავს – თბილისზე რომ არაფერი ვთქვათ, გუნდში თამაშობენ მოზარდები სამეგრელოდან, იმერეთიდან, აჭარიდან და შიდა ქართლიდან. ამ ასაკში, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია იმის პროგნოზირება, ვინ ითამაშებს დიდ ფეხბურთს და ვინ შეწყვეტს ზრდას. ასე რომ, ორი წლის შემდეგ, როცა აკობიას გუნდი ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებს, სავსებით შესაძლებელია, საქართველოს ნაკრების შემადგენლობა დღევანდლისგან კარდინალურად განსხვავებული იყოს.

რაც შეეხება ნაკრების სამომავლო გეგმებს, უახლოესი ორი წლის განმავლობაში აკობიას გუნდი არაერთ შეკრებას მოაწყობს, საკონტროლო მატჩებსაც ითამაშებს და ტურნირებშიც მიიღებს მონაწილეობას – უმეტესად ნაკრებებთან, რადგან, როგორც უკვე გითხარით, აქამდე სანაკრებო სპარინგპარტნიორების მოძიება შეუძლებელი იყო, უახლოეს პერიოდში კი ამ მხრივ პრობლემა აღარ იქნება.

აზერბაიჯანელი 15-წლამდელები კი თბილისურ შეკრებას განაგრძობენ. საქართველო-აზერბაიჯანი ხვალაც გაიმართება. მატჩი რუსთავში "ფოლადის" სტადიონზე 15 საათზე დაიწყება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფოტო: www.gff.ge

U19



# მიზანი: ესქიშეპირში ოთხიდან ორში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები თურქეთის ქალაქ ესქიშეჰირში გაემგზავრა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის ტურნირზე სათამაშოდ, მანამდე კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დევდარიანის** ასისტენტი **გიორგი მიქაძე** გაგვესაუბრა:

- თურქეთში 17 მოთამაშით მივემგზავრებით, არნემის "ვიტესის" თავდამსხმელი გიორგი ჭანტურია იქ შემოგვიერთდება. ყველანი ჯანმრთელად არან, მათ შორის ლეგიონერებიც, "ვიტესის" ნახევარმცველი ვალერი ყაზაიშვილი, "იაგელონიას" ნახევარმცველი მერაბ გიგაური და დანიური "ორჰუსის" თავდამსხმელი დავით სხირტლაძე.

მეტოქეთაგან ყველაზე ძლიერი თურქეთია, მაგრამ საქართველოს ნაკრებიც საკმაოდ კარგადაა მომზადებული და იმედი გვაქვს, ჯგუფში, სადაც ჩვენი მეტოქეები თურქეთი, პოლონეთი და ლუქსემბურგი არიან, ორ საუკეთესოს შორის მოხვედრით და ელიტრაუნდში თამაშის უფლებას მოვიპოვებთ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 8 გუნდი უნდა გავიდეს — მასპინძელი (რომლის ვინაობაც ჯერ უცნობია) და ელიტრაუნდის 7 ჯგუფის გამარჯვებულები.

**11 ნოემბერი**
**საქართველო-პოლონეთი**
**13 ნოემბერი**
**საქართველო-თურქეთი**
**16 ნოემბერი**
**საქართველო-ლუქსემბურგი**

საქართველოს ნაკრების სათურქეთო შემადგენლობა:

მეკარეები: **დავით ლეგაშვილი** ("სასკო"), ლევან **ტყეშელაშვილი** (თბილისის "დინამო");

**მცველები: არჩილ ტვილდიანი, თედო კაკულია, ნიკა სანდოხაძე, დავით ხოჭოლავა** (ყველა — "დინამო 2"), **თორნიკე გრიგალაშვილი, ნოდარ კიკნაველიძე** (ორივე — "ზესტაფონი");

ნახევარმცველები: **ვალერი ყაზაიშვილი** ("ვიტესი", ჰოლანდია), **გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი, ალექსანდრე რეხვიაშვილი** (სამივე — "დინამო"), **ბუბა რუხაძე, ვალერი კილასონია** (ორივე — ცხინვალის "სპარტაკი"), **მერაბ გიგაური** ("იაგელონია", პოლონეთი);

თავდამსხმელები: **დავით გელაშვილი** (ცხინვალის "სპარტაკი"), **გიორგი ჭანტურია** ("ვიტესი", ჰოლანდია), **დავით სხირტლაძე** ("ორჰუსი", დანია).

**მერაბ მამულაშვილი**

სპორტი და ხელოვნება

# კიდევ ერთხელ გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!

## ქართული სპორტული კინოს ტრიუმფი იტალიაში

მილანში დასრულდა სპორტული ფილმების 29-ე საერთაშორისო ფესტივალი, რომელსაც ჟურნალისტები სპორტული კინოს და ტელევიზიის კანის ფესტივალს, ჯილდოებს კი სპორტულ „ოსკარს" უწოდებენ. ფესტივალს ატარებს სპორტული კინოს და ტელევიზიის საერთაშორისო ფედერაცია, რომლის წევრია საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შემავალი 108 ქვეყანა, ფედერაციის პრეზიდენტი კი იტალიელი პროფესორი **ფრანკო ასკანია.**




მსოფლიოს სპორტული კინოს ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმზე საქართველო წარდგენილი იყო გრანდიოზული პროექტით — 2,5-საათიანი ფილმით '' „ქართული ფეხბურთი 110 წლისაა". სურათის უნიკალურობა ის არის, რომ იგი აერთიანებს **ალექსანდრე ჟღენტის** 5 ფილმს, რომლებიც ასახავენ ქართული ფეხბურთის განვითარებას ჩასახვიდან პირველ ეროვნულ ჩემპიონატამდე. ფაქტობრივად, ეს არის კინოს მეშვეობით გადმოცემული ჩვენი ერის საუკუნეზე მეტი ხნის გზა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ და ეს ყოველივე სახალხო თამაშის პრიზმაშია ასახული. აკი დაიწერა კიდეც ზემოხსენებული ფესტივალის სარეკლამო ბუკლეტებში, რომ ეს არის ფილმი, რომელშიც წარმოჩენილია'სპორტი, როგორც დამოუკიდებლობის შემქმნელი.

აღსანიშნავია, რომ ხუთივე ფილმი დიდი ხნის წინათაა გადაღებული და ხუთივე დაჯილდოებულია საერთაშორისო უმაღლესი პრიზებით. ეს ფილმებია:

„სტადიონი" (საქტელეფილმი, 1980), „გურია, გურია, გურია!" (მემატიანე, 1984), „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"! (მემატიანე, 1987), "გვჭირდება თუ არა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში?!" (მემატიანე, 1989), "პირველი ეროვნული" (მემატიანე, 1990).

მილანში შეკრებილ უამრავ საპატიო სტუმარს ქართული ფილმი წარუდგინა საქართველოს სპორტული კინოს და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტმა, სპორტული კინოს და ტელევიზიის საერთშორისო ფედერაციის საერთშორისო კომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრმა, ქალბატონმა **მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ.** ფრანკო ასკანიმ მას გადასცა სპორტული კინოსა და ტელევიზიის საერთშორისო ფედერაციის ასამბლეის პირადი ჯილდო საერთაშორისო კომიტეტში ხანგრძლივი და წარმატებული მოღვაწეობისთვის. ამავე დროს აირჩიეს საერთაშორისო ფედერაციის მეცნიერების, ხელოვნებისა და სპორტის კომიტეტში, სადაც სულ 12 წევრია.

წარდგენილი 972 ფილმიდან საკონკურსოდ შეირჩა 150.

ფესტივალის ბოლო დღეს გამოცხადდა, რომ ფილმს "ქართული ფეხბურთი 110 წლისაა",'მიენიჭა ღირსების ჯილდო.

დელეგაციათა უმეტესობას ახლდა უამრავი ტელე-რადიო კორესპონდენტი, გადაიცემოდა პირდაპირი რეპორტაჟები მილანიდან, ყველა ქვეყანა ცდილობდა, წარმოეჩინა საკუთარი ნამუშევარი. სამწუხაროდ, ჩვენ ეს ფუფუნება არ გვქონია. ფესტივალზე განსაკუთრებით აღინიშნა სურათი, რომლის ფინალშიც საქართველოს პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** მთელი მსოფლიოს გასაგონად აცხადებს: '„დღეს ქართული ფეხბურთი შემოუერთდა ეროვნულ -განმანთავისუფლებელ მოძრაობას და მასთან ერთად იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"

გაუმარჯოს 110-წლოვან ქართულ ფეხბურთს, ბატონებო!

**იოსებ ჩახნაშვილი**

ტორპედო

# ბედი გინდა ყველაფერში

## კვარაცხელია უკვე ვარჯიშობს



ქუთაისის „ტორპედოს" პრესსამსახური იუწყება, რომ ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ვარჯიში განაახლა 23 წლის ფორვარდმა **ვახტანგ კვარაცხელიამ.**

შეგახსენებთ, რომ კვარაცხელია აგვისტოს ბოლოს ფეთაჰ თიკვას "ჰაპოელში" გასინჯეს, ერთი მატჩი ითამაშა, ორი გოლი გაიტანა და მისი გადასვლა გადაწყვეტილი იყო - ებრაულ ინტერნეტგაზეთ ynet.co.il-ის ცნობით, კონტრაქტი უნდა გაფორმებულიყო და უკვე სექტემბერში ფეთაჰთიკველთა შემადგენლობაშიც შეიძლებოდა ეთამაშა, მაგრამ... კონტრაქტის გაფორმების წინა დღეს ვარჯიშზე ფეხის თითი მოიტეხა. მოკლედ, ვახტანგს არ გაუმართლა, ექვსი კვირა ფეხი თაბაშირში ჰქონდა, რეაბილიტაცია ოქტომბერში დაასრულა და მოედანს ახლაღა დაუბრუნდა.

თუ ყველაფერი კარგად იქნა და ფორმა სწრაფად აღიდგინა, გამორიცხული არ არის, "ტორპედოს" თავდამსხმელმა "ჰაპოელთან" ხელშეკრულება მაინც გააფორმოს, რადგან მწვრთნელმა წამოსვლამდე უთხრა, დეკემბერში შენს ვარიანტს მივუბრუნდებითო.

**მერაბ მამულაშვილი**

რეგიონი

# მწვრთნელის ღვაწლი გაიხსენეს

ჩხოროწყუს ცენტრალურ სტადიონზე რაიონის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცის **ბორის უბირიას** თაოსნობით ჩატარდა ნორჩ ფეხბურთელეთა ტურნირი ჩხოროწყუს ,,სამეგრელოს'' ყოფილი მწვრთნელის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გულიკო ოდიშარიას ხსოვნის პრიზზე. ფინალში ჩხოროწყუსა და ხობის მოზარდები გავიდნენ. პრიზი მასპინძლებმა დაისაკუთრეს.

ტურნირს ესწრებოდნენ 80-90-იანი წლების ის ფეხბურთელები, რომლებიც თამაშობდნენ ჩხოროწყუს ,,სამეგრელოში". ამ გუნდისა და სენაკის ,,ეგრისის" ვეტერანებმა ამხანაგური მატჩიც გამართეს.

გულიკო ოდიშარია წლების განმავლობაში წვრთნიდა არა მარტო ,,სამეგრელოს", არამედ სათავეში ედგა გურჯაანის ,,ალაზანს", გალის ,,მზიურს", სენაკის ,,ეგრისს", ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს.

მუნიციპალიტეტში გაიმართა შეხვედრა ვეტერან ფეხბურთელებთან. რაიონის გამგებელმა **მერაბ შელიამ** აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიება მომავალშიც ჩაატარდება და მეტი ყურადღება მიექცევა ფეხბურთის განვითარებას რაიონში.

**ნუგზარ ჟვანია**
ჩხოროწყუდან

# ბურთების აქცია გრძელდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აგრძელებს აქციას სახელწოდებით „ფედერაციის საჩუქარი კლუბებს", რომლის ფარგლებშიც ჩვენი უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებს საჩუქრად ბურთები გადაეცემათ.

აქცია 2 ნოემბერს რუსთავიდან დაიწყო, ხოლო 3 ნოემბერს პირველი ლიგის ყველა კლუბს ათასი ბურთი გადაეცა.

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, დღეისთვის ბურთები უკვე მიიღო უმაღლესი ლიგის ექვსმა კლუბმა, ხოლო დანარჩენები ნოემბერსა და დეკემბერში დასაჩუქრდებიან.

**ნიკა გვათუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღბლიანი და სუსხიანი... 13!

ტურის წინათქმაში გარკვეული „შიშიც“ გვქონდა: ჩემპიონატის სტარტიდან რიგით... მეცამეტე ტური გველოდება და ცრურწმენასაც არავინ აჰყვესო; ჰოდა, მოდი და ნუ დაიჯერებს კაცი, 13 რომ „თარსი“ რიცხვი არ არის — გასულ ტურში ერთი-ორი კი არა, რამდენიმე მართლაც „უცნაური“ ფაქტი თუ მოვლენა მოხდა; თუმცა, გასული ტური ყველასთვის როდი იყო უილბლო თუ წარუმატებელი, — ზოგს, პირიქით, უჩვეულოდ სუსხიანი 6 ნოემბერი, ალბათ, არასდროს დაავიწყდება! ჩვენც, რაღა თქმა უნდა, ჯერ დადებითზე ვისაუბრებთ...



ფოტო: www.fcdinamo.ge

ვიტ ჯორჯია-დინამო 2:2

## XIII ტურის სიმბოლური ნაკრები




## მაღლა და მაღლა...

ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება გამოცხადებული და 20 ნოემბრამდე სატურნირო ცხრილის სათავეში ქუთაისის „ტორპედო“ იქნება! ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განწყობა იქნება ქუთათურ გულშემატკივრებში — „ტორპედოს“ ერთგული ქომაგები ახლა, ალბათ, იმას იხსენებენ, თუ როდის იყო მათი საყვარელი გუნდი პირველ ადგილზე; არადა, ამ სეზონის დასაწყისში კი არა, თვენახევრის წინაც მოვლენების ასეთ განვითარებას ბევრი ვერც იფიქრებდა — საწყის შვიდ ტურში გუნდმა 10 ქულის მოგროვება მოახერხა, მომდევნო ექვს მატჩში კი ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა! აქვე ისიც ვთქვათ, რომ ზედიზედ ექვსმატჩიანი მოგებათა სერია ამ სეზონის რეკორდია — მანამდე საუკეთესო შედეგი (მიჯრით 5 გამარჯვება) „ზესტაფონს“ ჰქონდა. თუმცა, ისევ „ტორპედოს“ დავუბრუნდეთ, უფრო ზუსტად, ქუთათურთა საყვარელი გუნდის ასეთი წარმატებული თამაშის მთავარი შემოქმედი, **გია გეგუჩაძე** უნდა ვახსენოთ; ფაქტია, რომ სწორედ ამ მწვრთნელის მისვლის შემდეგ დაიწყო „ტორპედოს“ აღმასვლა; არადა, გეგუჩაძეს, ფაქტობრივად, სერიოზული საკადრო ცვლილებები (ერთი-ორი პოზიციის გარდა) არ განუხორციელებია, მაგრამ „ტორპედოს“ ყველა ფეხბურთელი (ვეტერანიც და ახალგაზრდაც) არნახული მოტივაციითა და მონდომებით ასპარეზობს და შედეგიც ნათელია. აი, ბოლო ტურის მატჩიც გავიხსენოთ, როცა მეტოქის კარში გოლები 33 წლის **გიორგი მეგრელაძემ** და 29 წლის **დავით გამეზარდაშვილმა** გაიტანეს; მეგრელაძის ბომბარდირული თვისებები, ლამის ორი ათეული წელია, აღარავის უკვირს, აი, გამეზარდაშვილმა კი „ტორპედოში“ დაბრუნების შემდეგ პირველი გოლი გაიტანა. თუმცა, არც ეს ფაქტი უნდა გაგვკვირვებოდა: 2006-07 წლების სეზონში „ტორპედოს“ საუკეთესო ბომბარდირი ხომ სწორედ ეს ფეხბურთელი გახლდათ; თანაც, იმასაც შეგახსენებთ, რომ ამპლუით... მცველმა გამეზარდაშვილმა იმ სეზონის მხოლოდ ნახევარი ჩაატარა და მერე მიაშურა უცხოეთს. და აი, ხუთწლიანი პაუზის მერე პირველი გოლიც საქართველოს ჩემპიონატში!

## ჯანელიძე-შოუ!

გასული ტურის ცენტრალური მატჩი მცხეთაში ჩატარდა და ამ შეხვედრას ვინც დაესწრო, ნამდვილად არ უნანია: ახალგაზრდულმა „ვიტ ჯორჯიამ“ ტოლი არაფერში დაუდო წყვილში ფავორიტად მიჩნეული „დინამოს“ და, საბოლოოდ, ეს მართლაც უშელავათო დაპირისპირება უხვგოლიანი ფრით დამთავრდა. მასპინძლებმა უაღრესად მონდომებული და მოტივირებული თამაში დაუპირისპირეს ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ მეტოქეს და შესაშური ფიზიკური გამძლეობის გარდა, **ზურაბ ბერიძის** ახალგაზრდა შეგირდებს, ფსიქოლოგიური მომზადებაც უნდა მოვუწონოთ. ბოლოს და ბოლოს, მართლაც არ არის პატარა ამბავი, პრინციპულ მეტოქესთან მატჩში ორჯერ რომ შეძლებ ანგარიშის გათანაბრებას და, საერთოდაც, შეხვედრის გადარჩენას. მოკლედ, კვირას ახალგაზრდა „ვეტერინარებმა“ ისეთი ქულა მოიპოვეს, ერთდროულად რამდენიმე გამარჯვებას რომ „გადასწონიდა“ და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი გუნდი შექებას იმსახურებს. თუმცა, ერთი ფეხბურთელი მაინც ცალკე გვინდა აღვნიშნოთ: ნამდვილად არ არის დიდი ხანი, 22 წლის **გიორგი ჯანელიძე** „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტნად რომ აირჩიეს; ამ ახალგაზრდა პლეიმეიკერმა კი ეს დიდი ნდობა ჩინებული თამაშით გაამართლა! თანაც, როგორ გგონიათ, ჯანელიძემ მხოლოდ „დინამოსთან“ მატჩში ითამაშა შთამბეჭდავად — ასეა, სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული, უბრალოდ, კვირას „მცხეთა-პარკზე“ გულშემატკივართა რაოდენობაც გაზრდილი იყო და მათგან უმრავლესობამაც, ალბათ, პირველად ნახა უაღრესად ტექნიკური შემტევის სწრაფი და გონივრული გადაწყვეტილებები. კიდევ ვიმეორებთ: ჯანელიძემ ამ სეზონში უკვე მერამდენე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და იგივე გვინდა ვთქვათ, საერთოდ, „ვეტერინართა“ უაღრესად მობილურ შუახაზელებზე, მეტოქეს თავისუფალ სივრცეებს რომ უზღუდავდნენ და პირველი შესაძლებლობებიდანვე, სწრაფ და გააზრებულ იერიშებს რომ იწყებდნენ.

## თემა განსჯისათვის

თასის მერვედფინალში გამოვარდნას კიდევ ერთი მოუგებელი მატჩი მოჰყვა — ვერაფერს ვიტყვით, „დინამოს“ მართლაც კოშმარული კვირა ჰქონდა. გასაგებია, ყველა მატჩს ვერ მოიგებ, მით უფრო, როცა გუნდში გარკვეული საკადრო პრობლემებია (ტრავმირებული არიან ცენტრალური მცველები — **ლევან კაკუბავა** და **გულვერდ თომაშვილი, ლევან ხმალაძის** გამოჯანმრთელებასაც საშველი არ დაადგა), მაგრამ ჩვენს ყველაზე ტიტულიან და ამბიციურ კლუბში „რაღაც“ რომ ხდება, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ეგ კი არა, გუნდის მთავარ მწვრთნელამდეც, ბოლოს და ბოლოს, ეტყობა მიუღწევია იმ „მოარულ“ ხმებს, რომლის მიხედვითაც ესპანელ სპეციალისტს „ნდობის მანდატი“ თურმე, დეკემბრამდე ჰქონია. სწორედ ამიტომ განაცხადა კიდეც **ალექს გარსიამ** „ვიტ ჯორჯია“-„დინამოს“ მატჩის შემდგომ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე, რომ თავისი გუნდის გარშემო მშვიდი გარემო ნამდვილად არ არის და ფეხბურთელებისათვისაც ყოველი მატჩი ფინალის ტოლფასიაო...

## წარმატებული მეგოლეები

ბომბარდირთა დავაში კვლავაც „სამხელისუფლებიანობაა“: 26 წლის **ჯაბა დვალს** („ზესტაფონი“), 28 წლის **დიმიტრი ტატანაშვილსა** და 31 წლის **ჩისკოს** („დინამო“) 8-8 გოლი აქვთ გატანილი; ისე, ალბათ, უბრალო დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია: მეცამეტე ტურში... 13 გოლი გავიდა! აქედან, მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო, როცა კონკრეტულმა ფეხბურთელმა „დუბლი“ შეასრულა: ტრავმამოშუშებული 27 წლის **ირაკლი მოდებაძის** წყვილი გოლით „მეტალურგმა“ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. სხვათა შორის, მოდებაძე ზედიზედ მეოთხე მატჩია (თასის შეხვედრის ჩათვლით) მოედანს უგოლოდ არ ტოვებს; ასევე მშვენიერი სერიებით შეუძლიათ იამაყონ „ვიტ ჯორჯიას“ 21 წლის მარცხენა გარემარბ **ბექა ზაქრაძესა** და მის თანატოლს, „მერანის“ ნახევარმცველ **ელგუჯა გრიგალაშვილს**, ზედიზედ მეორე ტურია თავიანთი გუნდებისთვის უმნიშვნელოვანესი გოლები რომ გააქვთ. ამ სეზონის გუნდი-აღმოჩენის, „მერანის“ კიდევ ერთი ფეხბურთელიც გვინდა აღვნიშნოთ: მარტვილელთა 23 წლის მარცხენა მცველმა **ანზორ სუხიაშვილმა** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა!

## სამწვრთნელო რებუს(ებ)ი

ეს უკვე მართლაც მეტისმეტია: ტური არ გავა, რომელიმე გუნდში მომხდარი სამწვრთნელო ცვლილების შესახებ რომ არ შევიტყოთ; ალბათ, გახსოვთ, თუ როგორი უცნაური სიტუაცია შეიქმნა ამ ცოტა ხნის წინ ბოლნისის „სიონში“: გუნდში ახლადდანიშნულმა მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** პოსტი ისე დატოვა, არც ერთი ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია! ანუ, ქასრაშვილი დაახლოებით 10 დღის განმავლობაში ავარჯიშებდა ქვემოქართლელებს, ერთ საკონტროლო მატჩშიც გაუძღვა გუნდს, მაგრამ მერე, საკუთარი სურვილით წამოვიდა. აი, ფოთში კი მართლაც უცნაურზეუცნაური რამ მოხდა: ახალგაზრდა სპეციალისტი **გელა სანაია** „კოლხეთის“ მთავარი მწვრთნელი... ერთი დღის განმავლობაში იყო და მერე, როცა ახალი გუნდი მოედანზე პირველად უნდა გამოეყვანა, სწორედ იმ დღეს უთხრეს, აღარ გვჭირდებიო...

**გია ტუხაშვილი**

*P.S. აბა, ისე როგორ იქნებოდა, XIII ტურს „კუდი არ მოექნია“: უამინდობის გამო „კოლხეთი“-„ზესტაფონის“ მატჩი გადაიდო! ისე, ჩვენი მოედნებისა და ნაადრევად მოსული ზამთრის „გადამკიდე“, დიდი შანსია, არასრული ტური მომავალშიც ხშირად გვქონდეს...*



ტორპედო-დილა 2:1. ანგარიში დავით გამეზარდაშვილის (№3) თავურით გაიხსნა

ფოტო: www.fctorpedo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A. XI ტურის შეჯამება

# ნაკლული ტური ციფრებში და ცხელი ამბები კალჩოდან

**გამომდინარე იქიდან, რომ გასულ უქმეებზე სერია A-ს ორი მატჩი კოკისპირული წვიმების გამო გადაიდო, ტურის შეჯამებას განსხვავებული ფორმატით გთავაზობთ. ამჯერად, თავს შევიკავებთ სიმბოლური ნაკრებისა და გმირის გამოვლენისგან, რადგან ნაკლულ ტურში ამის გაკეთება მთლად ლოგიკური არ იქნება. ქვემოთ, იტალიურ ფეხბურთში დღეს ყველაზე აქტუალურ თემებს შევეხებით და ბუნებრივია, განახლებულ სტატისტიკურ მონაცემებსაც გაგაცნობთ...**

## FORZA CASSANO

**ანტონიო კასანოს** საკითხი არ კარგავს აქტუალობას და ეს არც გვიკვირს, რადგან „მილანის" ფორვარდი ორიოდე დღის წინ გამოწერეს კლინიკიდან. საბედნიეროდ, ოპერაციამ ძალიან კარგად ჩაიარა და ფეხბურთელი თავს გაცილებით უკეთესად გრძნობს. გასულ უქმეებზე, უამრავმა ფეხბურთელმა გაამხნევა ანტონიო და გამარჯვება თუ გოლი სწორედ მას მიუძღვნა. კასანოს ამბავი იტალიის ფარგლებსაც გასცდა, მაგალითად, მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა ლა ლიგის მატჩის წინ სპეციალურად შეკერილი მაისურები ჩაიცვეს, რომელზეც შემდეგი წარწერა იყო გამოსახული: Forza Cassano.

დიდი ამბები იყო „სან სიროზე", სადაც „მილანმა" „კატანიას" უმასპინძლა და მეტოქე ოთხი უპასუხო ბურთით დააჯილდოვა. ბუნებრივია, მილანელებმა გამარჯვება სწორედ კასანოს მიუძღვნეს და ამის შესახებ **მასიმილიანო ალეგრიმაც** განაცხადა მატჩის დასრულებისთანავე. ცალკე სალაპარაკო თემაა ის, რაც ტრიბუნებზე ხდებოდა - უამრავი ბანერი გამოიფინა, რომელთა მიზანი ანტონიოს გამხნევება გახლდათ. ამ ყველაფრით გულაჩუყებულმა კასანომ სოციალური ქსელების საშუალებით გულშემატკივრებს უდიდესი მადლობა გადაუხადა.

## ფაბიო კანავარო: FORZA NAPOLI

კიდევ ერთი ფორცა, ამჯერად „ნაპოლისადმი" განკუთვნილი და თუ რატომ, რისთვის და რაც მთავარია, ვისგან, ამის შესახებ მოკლედ მოგითხრობთ. საქმე იმაშია, რომ იტალიელი ჟურნალისტები **ფაბიო კანავაროს** შეეხმიანენ და შემდეგი კითხვა დაუსვეს: „ვის უგულშემატკივრებთ „ნაპოლისა" და „იუვენტუსის" პაექრობაში"? - რაზეც შემდეგი პასუხი მიიღეს:

*„წლების განმავლობაში ვასპარეზობდი „იუვენტუსის" შემადგენლობაში და ამ გუნდის მიმართ უდიდესი პატივისცემით ვარ განწყობილი, თუმცა ჩემი გული მაინც „ნაპოლის" ეკუთვნის. იმედია, არ მიწყენენ ტურინელები, რადგან ნეაპოლელი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ბავშვობიდან ამ გუნდს ვქომაგობ და სიკვდილამდე ასე იქნება. ამასთან, „ნაპოლიში" ჩემი ძმა ასპარეზობს, რომელსაც უბრალოდ არ შემიძლია, რომ არ ვუგულშემატკივრო. სადაც ჩემი ოჯახია, იქ ვარ მეც და მგონი ეს ბუნებრივია. „იუვენტუსს" აბსოლუტურად ყველა ტურნირზე წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ „ნაპოლი" ჩემთვის მაინც უპირველესია".*

## ბაჯო ინტერში?

მართალია, „ჯენოა"-"ინტერის" შეხვედრა გადაიდო, მაგრამ მილანური გრანდი მაინც ყურადღების ეპიცენტრშია. ორიოდე დღის წინ, **მასიმო მორატიმ** ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მთელი საფეხბურთო იტალია აალაპარაკა - მოვუსმინოთ „ნერაძურის" პრეზიდენტს:

*„კმაყოფილი ვარ თუ არა რანიერის მუშაობით? - ეს სეზონის ბოლოს გახდება ცნობილი, როდესაც საბოლოო შედეგები სახეზე იქნება. თუ დასახულ ამოცანებს მივაღწიეთ, მაშინ ხელშეკრულება ავტომატურად გახანგრძლივდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ახალი მწვრთნელის ძიება მოგვიწევს. პირადად მე, მჯერა, რომ კრიზისიდან მალე ამოვალთ და რანიერი გაცემულ ავანსებს ბოლომდე გაამართლებს. თუ ასე არ მოხდა, კლაუდიოს სხვა მწვრთნელი ჩაანაცვლებს - დიდი ხანია ვფიქრობ, რომ რობერტო ბაჯოსგან ძალიან კარგი სპეციალისტი დადგებოდა. არ არის გამორიცხული, ერთ მშვენიერ დღეს მასთან მოლაპარაკება წამოვიწყოთ".*

თუ რა პერსონაა იტალიაში ბაჯო და რამხელა პოპულარობით სარგებლობს, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს - ჟურნალისტები უმალ შეეხმიანენ აპენინური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას და მისგან შემდეგი მოისმინეს: *„მწვრთნელობაზე, რა თქმა უნდა, მიფიქრია, მაგრამ ყოველთვის იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ეს ჩემი საქმე არ არის. მქონდა რამდენიმე შემოთავაზება და თითოეულ მათგანზე უარი განვაცხადე. დღეს ასეთი განწყობა მაქვს და შესაბამისად, ვერც „ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვხედავ ჩემს თავს. მით უმეტეს, არც მორატის გაუკეთებია ჩემთვის ოფიციალური შემოთავაზება".*

## ტურის ფრაზა

**მაურიციო ძამპარინი (პალერმოს პრეზიდენტი):** *„როგორც კი მწვრთნელი ჩემს რჩევას ითვალისწინებს, შედეგიც შესაბამისი მოდის. „ბოლონიასთან" ძალიან კარგად ვითამაშეთ და ტემპი არ უნდა დავაგდოთ".*

## გლობალური სტატისტიკა

საუკეთესო დასწრება: X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

ყველაზე დაბალი დასწრება: II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება: მილანი-კატანია 4:0 (XI ტური).

ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება: ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).

ყველაზე უხვგოლიანი თამაში:
პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII).

### სერიები

მოგება: მილანი - 5 თამაში
წაგება: კალიარი, ჩეზენა - 2
წაუგებლად: იუვენტუსი - 9
მოუგებლად: ჩეზენა - 10

## გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 23 გოლი - მილანი; 16 - ლაციო; 15 - იუვენტუსი.

საუკეთესო დაცვა: 4 გაშვებული - უდინეზე; 7 - იუვენტუსი, ნაპოლი.

უარესი თავდასხმა: 3 გოლი - ჩეზენა; 8 - ლეჩე, კიევო.

უარესი დაცვა: 19 გაშვებული - ნოვარა; 18 - პარმა; 16 - ლეჩე, ინტერი, კატანია.

ზუსტი გადაცემები: 5367 - მილანი; 5029 - რომა; 4663 - იუვენტუსი.

კარის მიმართულებით დარტყმები: 170 - რომა; 155 - მილანი; 146 - იუვენტუსი.

კარში დარტყმები: 60 - მილანი; 57 - იუვენტუსი; 51 - რომა, პალერმო.

## ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: 8 - დი ნატალე (უდინეზე); 7 - დენისი (ატალანტა); 6 - ჯოვინკო (პარმა), კლოზე (ლაციო); 5 - პალასიო (ჯენოა), იოვეტიჩი (ფიორენტინა), კალაიო (სიენა), იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ოსვალდო (რომა).

ასისტენტები: 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი); 5 - მირალემ პიანიჩი (რომა); 4 - ჯიბრილ სისე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).

ზუსტი პასები: 717 - ანდრეა პირლო (მილანი); 694 - დანიელე დე როსი (რომა); 666 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 607 - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 606 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

კარის მიმართულებით დარტყმები: 48 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 47 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 36 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 34 - ჯიბრილ სისე (ლაციო); 29 - ერნანესი (ლაციო).

კარში დარტყმები: 20 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 16 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 12 - აბელ არნანდესი (პალერმო), ალესანდრო მატრი (იუვენტუსი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა), პაბლო ოსვალდო (რომა).

ჯარიმები: 32 - ნენე (კალიარი); 31 - სტეფანო მორონე (პარმა); 30 - ჯამპიერო პინცი (უდინეზე); 29 - ხერმან დენისი (ატალანტა); 28 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო).



## ციფრები და ფაქტები

- „ლაციოს" 18 სექტემბრის შემდეგ აღარ წაუგია, 6 მოგება და 2 ფრე;

■ ■ ■

**- „კატანიას" არასდროს მოუგია „მილანისთვის" „სან სიროზე";**

■ ■ ■

- ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მიჯრით მესამე შეხვედრაში გაიტანა, მის ანგარიშზე უკვე 99 გოლია სერია A-ში;

■ ■ ■

**- ანტონიო დი ნატალემ 138-ე გოლი გაიტანა სერია A-ში, რითაც ენრიკო კიეზას მაჩვენებელს გაუთანაბრდა;**

■ ■ ■

- „პალერმომ" და „უდინეზემ" ყველა საშინაო შეხვედრა მოიგეს მიმდინარე სეზონში;

■ ■ ■

**- „ბოლონიას" მეკარემ ჟან ფრანსუა ჟილემ მეასე შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში;**

■ ■ ■

- „კალიარის" უკვე 250 წუთია გოლი არ გაუტანია;

■ ■ ■

**- „ჩეზენა" ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებია არც ერთი გამარჯვება;**

■ ■ ■

- „ლეჩემ" მოუგებელი სერია შეწყვიტა, რომელიც შეადგენდა 7 შეხვედრას;

■ ■ ■

**- ხუან კუადრადომ „ლეჩედან" და ფრანჩესკო ბოლცონიმ „სიენადან" პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 13-4 | 21 |
| 2. ლაციო | 10 | 6 | 3 | 1 | 16-8 | 21 |
| 3. მილანი | 10 | 6 | 2 | 2 | 23-14 | 20 |
| 4. იუვენტუსი | 9 | 5 | 4 | 0 | 15-7 | 19 |
| 5. პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 14-12 | 16 |
| 6. ნაპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-7 | 14 |
| 7. რომა | 10 | 4 | 2 | 4 | 13-11 | 14 |
| 8. კატანია | 10 | 3 | 5 | 2 | 12-16 | 14 |
| 9. სიენა | 10 | 3 | 4 | 3 | 12-8 | 13 |
| 10. კალიარი | 10 | 3 | 4 | 3 | 9-10 | 13 |
| 11. ჯენოა | 9 | 3 | 3 | 3 | 13-12 | 12 |
| 12. ატალანტა | 10 | 5 | 3 | 2 | 13-12 | 12 |
| 13. ფიორენტინა | 10 | 3 | 3 | 4 | 10-9 | 12 |
| 14. კიევო | 10 | 3 | 3 | 4 | 8-11 | 12 |
| 15. პარმა | 10 | 4 | 0 | 6 | 12-18 | 12 |
| 16. ბოლონია | 10 | 3 | 1 | 6 | 9-16 | 10 |
| 17. ინტერი | 9 | 2 | 2 | 5 | 11-16 | 8 |
| 18. ლეჩე | 10 | 2 | 2 | 6 | 8-16 | 8 |
| 19. ნოვარა | 10 | 1 | 4 | 5 | 12-19 | 7 |
| 20. ჩეზენა | 10 | 0 | 3 | 7 | 3-13 | 3 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

19 ნოემბერი: ინტერი-კალიარი, ნაპოლი-ლაციო, ფიორენტინა-მილანი;
20 ნოემბერი: ბოლონია-ჩეზენა, კატანია-კიევო, ჯენოა-ნოვარა, პარმა-უდინეზე, იუვენტუსი-პალერმო, სიენა-ატალანტა, რომა-ლეჩე.

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● რასიზმი

# ფერდინანდს ემუქრებიან




როგორც ინგლისურმა ტაბლოიდმა „სანმა“ შეიტყო, „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ 26 წლის მცველს, **ანტონ ფერდინანდს** მუქარის წერილი მიუვიდა. დაგვეთანხმებით, კომპიუტერების და ელექტრონული ფოსტის ეპოქაში ქაღალდზე დაწერილი, თან მუქარის წერილის გაგზავნა მართლა უცნაური საქციელია. რა ხდება, ადვილი მისახვედრია: ისტორია, რომელიც დასავლეთლონდონურ დერბიში ფერდინანდისა და „ჩელსის“ კაპიტან **ჯონ ტერის** კონფლიქტით დაიწყო და რომლის გაგრძელებას „ლელოს“ მკითხველი თითქმის ყოველდღე იგებს, გრძელდება. წერილში, რომელიც „რეინჯერსის“ ბაზაზე მიიტანეს, ფერდინანდს სიკვდილით ემუქრებოდნენ. კლუბის ხელმძღვანელებმა მისი წაკითხვის შემდეგ გადაწყვიტეს პოლიცია გამოეძახებინათ, თავად ფეხბურთელს კი არც წააკითხეს. გაზეთი წერს, რომ მომხდარმა ფერდინანდის ოჯახის წევრები ძალიან შეაშინა. წერილი „რეინჯერსის“ ოფისში წინა კვირის ბოლოს მიიტანეს. „სანი“ წერს, რომ პოლიციელები საქმეს სერიოზულად მოეკიდნენ.

როგორც ირკვევა, ტექსტი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვეტერანის, **რიო ფერდინანდის** უმცროსმა ძმამ მიიღო, მართლა ჰგავდა ხიფათის შემცველს და სამართალდამცველებმა მისი ოჯახის უსაფრთხოების ზომები გაატარეს. „რეინჯერსის“ ვარსკვლავის სახლის ახლომდებარე პოლიციის განყოფილებაში თანამშრომლები საგანგებოდ არიან გაფრთხილებულები და საჭიროების შემთხვევაში, ორ წუთში ფერდინანდებთან გაჩნდებიან. პოლიციის პრესმდივანმა განაცხადა:

*„ვადასტურებთ, რომ ბოროტი განზრახვით დაწერილი წერილის საქმეს ვიძიებთ“.*

შეგახსენებთ, რომ ყველაფერი ანტონ ფერდინანდის ჩივილით დაიწყო. მან ჯონ ტერის რასისტულ შეურაცხყოფაში დასდო ბრალი. ტერი ბრალდებას უარყოფს. საქმეს ცალკე ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია და ცალკე ლონდონის პოლიცია იძიებენ. ასოციაციას ფერდინანდმა წინა კვირაში მისცა ოფიციალური ჩვენება. შეგახსენებთ, რომ ვნებათაღელვა მას მერე დაიწყო, რაც ინტერნეტში დაიდო ფეხბურთელების წაკინკლავების ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ ტერი ფერდინანდს ლანძღავს და ამ ლანძღვაში ფრაზა „შე შავოს“ იყენებს. საინტერესოა, რომ ფერდინანდს, საკუთარი აღიარებით, იმწუთას ეს არ გაუგია. მერე მივხვდიო. ტერი კი, თავის მხრივ იმეორებს, „შე შავო“ იმ მომენტში ვთქვი, როდესაც საჩხუბრად მოვარდნილ ანტონს ვეკითხებოდი, საიდან მოიტანე, რომ ასეთი რამ დაგიძახეო.

● ინგლისის ნაკრები

# პოლიციამ კაპელო გააფრთხილა

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი, **ფაბიო კაპელო** ლონდონის პოლიციამ გააფრთხილა, როდესაც **ჯონ ტერიზე** ლაპარაკობ, სიტყვები საგანგებოდ უნდა მოზომოო. მოგეხსენებათ, მას მერე, რაც 30 წლის ვარსკვლავისა და **ანტონ ფერდინანდის** კონფლიქტის ამბავი ქვეყანას მოედო, კაპელო საგონებელში ჩავარდა — ინგლისელებს ორი ამხანაგური შეხვედრა ელით, ესპანელებთან და შვედებთან. ამ შეხვედრებამდე ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია და პოლიცია ვერ მოასწრებენ გარკვევას, სინამდვილეში რა მოხდა ორი კვირის წინ „ლოფტას როუდზე“. არადა, მწვრთნელს ტერი სჭირდება, ბოლოს და ბოლოს ის კაპიტანია, კაპიტანს კი იმის გამო, რაც ჯერ დამტკიცებული არ არის, ვერ უგანებ. მეორე მხრივ, ძნელია, ეროვნული გუნდის სამკლავური გაუკეთო ადამიანს, რომელსაც რასისტობას სწამებენ.

აშკარა სირთულის მიუხედავად, კაპელომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება და ტერი 25-კაციან სიაში შეიყვანა, თუმცა კომპრომისზეც დაფიქრდა — ნაკრებისა და „ჩელსის“ კაპიტანი შაბათს ესპანელებთან არ ითამაშებს, სამშაბათს, შვედებთან კი მხოლოდ ერთი ტაიმით შევა მოედანზე. შემდეგ, როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვეს, კაპელომ ერთი შეხედვით ძალიან ლოგიკური რამ თქვა — სანამ ადამიანს ბრალს არ დაუმტკიცებენ, ის უდანაშაულოაო, მაგრამ ლონდონის პოლიციას ურჩევნია იტალიელმა ხმა საერთოდ არ ამოიღოს. პოლიციელებმა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას შეატყობინეს კიდეც, მწვრთნელს გადაეცით, ჩუმად იყოსო.



წინასწარი გეგმის თანახმად, ესპანელების წინააღმდეგ კაპიტნის სამკლავურს ტერის თანაკლუბელი, 33 წლის **ფრენკ ლემპარდი** გაიკეთებს. ლემპარდივე გაუძღვება გუნდს შვედებთანაც... ყოველ შემთხვევაში მეორე ტაიმამდე, სანამ მოედანზე ტერი შევა.

● სადისციპლინო საკითხი

# ალკარასი იფურთხება




„უიგანის“ კაპიტანი, 29 წლის პარაგვაელი მცველი, **ანტოლინ ალკარასი**, სავარაუდოდ, სამ თამაშს გამოტოვებს — მან კვირას, „ვულვერჰემპტონთან“ შეხვედრაში მეტოქის მცველ **რიჩარდ სტირმენს** შეაფურთხა. ამ ისტორიაში უხერხული მომენტი ისიც არის, რომ ალკარასი **კრისტოფ ბერას** უმიზნებდა, 24 წლის ინგლისელი კი უნებლიე მსხვერპლი შეიქნა. შეხვედრა, „მგლების“ გამარჯვებით, 3:1, დამთავრდა, რამაც მწვრთნელ **მიკ მაკარტის** თავზე საავდრო ღრუბლები ცოტა გაფანტა.

ინციდენტი შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე მოხდა. ალკარასი კუთხურის ალამთან ბერასთან ბურთისთვის ძიძგილაობდა და წაიქცა. ამან 26 წლის შოტლანდიელი გააბრაზა, რადგან ჩათვალა, რომ მეტოქე განზრახ წაიქცა. ბერას სიბრაზემ კი, თავის მხრივ, ჯგუფური ძიძგილაობა გამოიწვია და სამხრეთამერიკელმაც სწორედ ამ დროს მიმართა საკუთარი სიმართლის დამტკიცების უშნო ხერხს. მატჩის შემდეგ 24 წლის სტირმენმა თქვა:

*„ალკარასს ბერასთვის არ შეუფურთხებია, მე შემაფურთხა, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ჯობს ფურთხების ამბავი სხვამ შეაფასოს. საქმისთვის არც ოფიციალური სახის მიცემას ვაპირებ, აქ გასარჩევიც არაფერია, უბრალოდ რაც მან გააკეთა უშნო საქციელია. გასაგებია, რომ ორივე გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო და ყველანი მთელი მონდომებით ვიბრძოდით, მაგრამ ფურთხება ნამდვილად მეტისმეტია“.*

გამარჯვებულთა თავკაცმა, მაკარტიმ თქვა: *„ფეხბურთში ფურთხება უკადრის საქციელად ითვლება. მე, კარიერაში, სულ ერთხელ მქონდა ასეთი შემთხვევა და ის კაცი, მას მერე, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ მეკარებოდა“.*

„მგლების“ ნახევარმცველი **ჯეიმი ო'ჰარა**, რომელმაც თავისი გუნდის პირველი გოლი თავად შეაგდო, მეორე და მესამე შემთხვევაში კი ასისტენტობა გასწია:

*„თამაშის შემდეგ ყველამ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მაგრამ ფურთხება, რომ არ შეიძლება, ამას ლაპარაკი და გარჩევა რად უნდა“.*

● მსაჯობა

# ეტუჰუმ მსაჯს შეუტია



„ფულჰემის“ 29 წლის ნიგერიელმა ნახევარმცველმა, **დიკსონ ეტუჰუმ** „ტოტენჰემთან“ შეხვედრის მსაჯ **პიტერ უოლტონს** კრიტიკა არ დააკლო. მან არ მიიღო არბიტრის ბოდიში — უოლტონმა ლონდონური დერბის დრამატულ მომენტში აშკარა ხელით თამაში ვერ შეამჩნია, პენალტი არ დანიშნა, მაგრამ არ გამორიცხა, რომ შეცდა და მოიბოდიშა, თუმცა ეტუჰუს გული ამით ვერ მოიგო. ხელით კი „დეზების“ მარჯვენა მცველმა, **კაილი უოკერმა** ითამაშა.

ეს თერთმეტმეტრიანი დარტყმა რომ დანიშნულიყო, „ფულჰემი“ ანგარიშს გაათანაბრებდა და ვინ იცის, იქნებ შემდეგ „ტოტენჰემის“ თავდამსხმელ **ჯერმაინ დეფოს** 90-ე წუთზე მესამე გოლი ვეღარც გაეტანა. მატჩის შემდეგ ეტუჰუ მძვინვარებდა:

*„ამაზე აშკარა ხელით თამაში აღარ არსებობს. მე იქვე ვიდექი და ყველაფერი საკუთარი თვალით დავინახე. მსაჯი შეცდა. მე მას დაველაპარაკე და იცით, რა მიპასუხა? ეგ მომენტი კარგად ვერ გავარჩიე და თუ რამე შემეშალა, ბოდიშს გიხდიო. ამაზე ვუპასუხე, რომ ბოდიშის მოხდა მდგომარეობას ველარ გამოასწორებს.*

*გადამწყვეტი მომენტი იყო. პენალტი რომ დანიშნულიყო, ანგარიშს გავათანაბრებდით და თამაშის მიწურულს რა მოხდებოდა კიდევ, კაცმა არ იცის. ასე კი, როგორც ნახეთ, „ტოტენჰემმა“ მესამე გოლიც გაგვიტანა. ძალიან ძნელია უსამართლობასთან შეგუება, მაგრამ სხვა გზა აღარ გვაქვს. ჩვენ ისე ვითამაშეთ, რომ 3:1 წაგება რა მოსატანია, უნდა მოგვეგო. მოედანზე ორი გუნდიდან ერთი მეორეს სჯობდა — ჩვენ ვჯობდით „ტოტენჰემს“. ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ცხრილში აღმასვლას დავიწყებთ“.*

„ტოტენჰემ ჰოთსპურს“ კი მოგეხსენებათ, მთავარი მწვრთნელი, **ჰარი რედნაპი** აკლდა — მას გულის მცირე ოპერაცია გაუკეთეს. რედნაპის არყოფნაში გუნდს მისი შოტლანდიელი ასისტენტი **ჯოი ჯორდანი** ხელმძღვანელობდა. მატჩის შემდეგ ჯორდანმა თქვა:

*„ასეთ მეორე ტაიმს არ ველოდით. შესვენებამდე კარგად ვთამაშობდით და დამსახურებულად დავწინაურდით, შესვენების შემდეგ კი ყველაფერი ყირაზე დადგა. ახლა უნდა დავწყნარდეთ და მტკიცე ნებისყოფა გამოვამჟღავნოთ. მესამე გოლი? ეს იღბლის საჩუქარი იყო. არ მეგონა თუ გავიტანდით. ვფიქრობდი, რომ თუ იმ შეხვედრაში ვინმე გოლს შეაგდებდა, ეს „ფულჰემი“ იქნებოდა.*

*რაც შეეხება არდანიშნულ პენალტს, მასზე ამდენი ლაპარაკი არ ღირს, რადგან „ფულჰემს“ ისედაც უამრავი მომენტი ჰქონდა და ვალდებული იყო გაეტანა. ახლა ყველაფრის იმ ერთ ეპიზოდზე გადატეხვა მათი მხრიდან თავის მართლებაა“.*

შემდეგ, როდესაც რედნაპის ჯანმრთელობისა და სამსახურში დაბრუნების სავარაუდო თარილის შესახებ ჰკითხეს, სქოთმა იხუმრა: *„დღეს ბოლო ნახევარი საათი ისეთი იყო, რომ თუ ჰარიმ უყურა და არაფერი მოუვიდა, ესე იგი, მალე დაგვიბრუნდება“.*

● ლივერპული

# უთავო ქათმების გუნდი



„ლივერპულის“ 26 წლის დანიელმა მცველმა, **დანიელ აგერმა** შინ, „სუონსისთან“ 0:0-ის შემდეგ თავის გუნდს უთავო ქათმების კრებული უწოდა. გაბრაზებულმა ფეხბურთელმა ისიც კი იკითხა, ნეტავ, „ენფილდ როუდზე“ ასეთი სირცხვილის ჭამა ჩვენში ყველა ფეხბურთელს თუ ადარდებსო. კიდევ, დანიელმა თანაგუნდელები გააფრთხილა, ასე თუ გავაგრძელებთ ზედიზედ მესამე წელიწადსაც ჩემპიონთა ლიგის გარეშე დავრჩებითო.

*„ასე თუ გავაგრძელებთ, არაფერი გამოგვივა — თქვა აგერმა – ხანდახან ბურთის გარეშე მოფართხალე უთავო ქათმებს ვგავდით. მატჩის შემდეგ, ყველა გაბრაზებული და გულდაწყვეტილი იყო. რასაკვირველია, ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად“;*

მერსისაიდელებისთვის მართლაც შემაშფოთებელი სტატისტიკაა: ამ სეზონში, „ენფილდზე“ ჩატარებული ექვსი თამაშიდან მათ მხოლოდ ორი მოიგეს. ქომაგებს განსაკუთრებით ის აღიზიანებთ, რომ „წითლებმა“ შინ უკვე ზედიზედ მეორედ ვერ მოუგეს პრემიერლიგაში ახალაღზევებულ გუნდს — ორი კვირის წინ „ენფილდზე“ „ნორვიჩთანაც“ 1:1 ითამაშეს. თავის დამშვიდება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ამ ორ შეხვედრას შორის იყო ორი გამარჯვება, „ქარლინგის თასზე“ სტოკში და პრემიერლიგაში, ვესტ ბრომვიჩში.

აგერმა დასძინა: *„შინ ექვსჯერ რომ ითამაშებ და მხოლოდ ორჯერ მოიგებ, გასაგებია როგორც თამაშობ. ეს ძალიან მრავლისმეტყველი სტატისტიკაა. ახლა ვალდებულები ვართ, ერთი-ორი საფეხურით უფრო მაღლა ავიდეთ. ჩვენ მართლა ძალიან ცუდად ვითამაშეთ. არა აქვს მნიშვნელობა, როგორი შემადგენლობით გავდივართ მოედანზე, ასეთი თამაშები უნდა მოვიგოთ. ჩვენ „ლივერპული“ ვართ და „ენფილდზე“ ყველას უნდა ვუგებდეთ“.*

● ბოლტონი

# მადლობა ღმერთს!

„ბოლტონმა“ „სტოკს“ უმასპინძლა და 5:0 მოუგო, რისთვისაც გამარჯვებულთა მწვრთნელმა, **ოუენ კოილმა** მადლობა უფალს შესწირა:

*„თამაშის წინა სალამოს წირვაზე რომ ვიყავი, მღვდელმა მრევლს მიმართა: ახლა, მოდი „უონდერერზისთვის“ ვილოცოთ. და დღეს, თამაშის დროს ვიცოდი, რომ იმ ლოცვის წყალობით უფლის შემწეობა გვექნებოდა“.*

„სტოკი“ შეხვედრას ძალიან მოუმზადებელი შეხვდა და 24 წლის ბოსნიელმა მეკარე **ასმირ ბეგოვიჩმაც** ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა. კოილმა დასძინა:

*„ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. სამწუხაროდ, როდესაც სეზონს ცუდად დაიწყებ, მერე ყოველ შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, ჯერ ისევ ბოლო სამეულში ვართ, მაგრამ ჩვენ ზევით მყოფი გუნდების დიდ ჯგუფს მივუახლოვდით“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგა 1. გამოხმაურება

# ლიდერთა დანაკარგები

საფრანგეთის ლიგა 1-ის მე-13 ტური ცოტა უცნაურად წარიმართა. ცხრილის ზედა საფეხურზე მოკალათებული გუნდებიდან თამაში ვერც ერთმა ვერ მოიგო – "ლილმა", "მონპელიემ" და "პარი სენ-ჟერმენმა" თავიანთი თამაშები ფრედ დაასრულეს, "ლიონმა" კი "სოშოსთან" დათმო, გუნდთან, რომელიც როდის როგორ ითამაშებს, ვერავინ იგებს. თავისი შეხვედრა მოიგო "მარსელმა", მაგრამ ჯერჯერობით ეს გუნდი ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩება.

თამაშის შემდეგ გაკეთებულ კომენტარებში ერთადერთი **რუდი გარსია** იყო, ვინც თავისი გუნდის წარუმატებლობას მსაჯს აბრალებდა: *"საკადრო პრობლემების გამო, თამაშის დაწყებამდე შემადგენლობის არჩევისას შეზღუდული ვიყავი, ასეთ დროს კი წარმატებულად თამაში წარმოუდგენლად რთულია. ამას გარდა, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მსაჯობით უკმაყოფო ვარ. ბენუა მილო გაუგებარ გადაწყვეტილებებს იღებდა, ჯერ გოლი გაგვიუქმა, შემდეგ კი სუფთა პენალტი არ დაგვინიშნა. ჩემი აზრით, ამ შეხვედრაში გამარჯვებას ალალად ვიმსახურებდით. ორი ქულა ალოგიკურად დავკარგეთ და ახლა მომდევნო ტურებში მოგვიწევს მისი აღმოფხვრა"*. თუმცა გარსიას ეს ამოცანა კიდევ უფრო რომ გაურთულდება, ალბათ, თავად ხვდება, რადგან "ევიანთან" სხვადასხვა სახის ტრავმები მიიღეს **ორელიენ შეჯუმ, ჯო კოულმა** და **ლუდივიკ ობრანიაკმა**.


ფრანსის ჟიროს ბორდომ პსჟ-ს მოგების შანსი არ დაუტოვა

## ტურის მოვლენები

ტურის უმთავრესი სენსაცია სოშოში მოხდა, სადაც მასპინძლებმა "ლიონი" ბეჭებზე გააკრეს. რა იყო ამისი მიზეზი? ჟურნალისტებს ამ შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი აქვთ: **რემი გარდის** გუნდს პრობლემები დაუგროვდა. უპირველესად იმიტომ, რომ მათ პრაქტიკული შანსი უკვე დაკარგეს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფის საგზურისთვის საბრძოლველად, რაც ნამდვილად დიდი დარტყმა იქნება კლუბის პრესტიჟზე. თუმცა თუკი ვინმე ელოდა ფანტასტიკურ ფორმაში მყოფი "რეალისგან" წლების განმავლობაში მისი გამამწარებელი "ლიონის" დანდობას, ნამდვილად გულუბრყვილო ყოფილა. ამას გარდა, გუნდს ზურგში ლახვარი ჩასცა ტრავმებმა, ამიტომაც არის, რომ რემი გარდის გადაწყვეტილებით დუბლების რამდენიმე ფეხბურთელი ძირითადი შემადგენლობის საერთო განაცხადში მოხვდა. „ლომებს" ტრავმირებული ჰყავდათ რამდენიმე ლიდერიც - **ლისანდრო ლოპესი, მიშელ ბასტოსი** და **დეიან ლოვრენი**. ამ უკანასკნელზე ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ხორვატიის ნაკრებს ის თურქეთთან ევრო 2012-ის პლეი ოფის მატჩებშიც დააკლდება.

ტურის მოვლენებში შეიძლება გავაერთიანოთ ისიც, რომ ლიგა 1-ის პირველი ტურის შემდეგ "პარი სენ-ჟერმენის" დომინანტობა ჩემპიონატის სხვა გუნდებზე ეჭვს არ იწვევდა. ახლა კი აშკარაა, რომ **ანტუან კომბუარეს** გუნდმა მოუკლო, რაც აშკარად გამოჩნდა, როცა "დიჟონთან" სათასო დაპირისპირებაში (3:2) გამოვარდა, შემდეგ იყო "კანთან" ჩატარებული უსახური მატჩი (4:2), ბოლოს "სლოვანისთვის" მინიმალურად მოგებული შეხვედრა ევროპის ლიგაზე. და აი, დადგა დღე, როცა მხოლოდ **კევინ გამეიროს** საგოლე ალღო და **ხავიერ პასტორეს** ფანტაზია საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ჟირონდელებმა მთელ საფრანგეთს აჩვენეს, როგორ უნდა თამაში მილიონერებით დაკომპლექტებულ გუნდთან. **ფრანსის ჟიროს** შეგირდები იმდენად კარგად იყვნენ ორგანიზებულები, რომ დედაქალაქელებს თამაშის მოგების რეალური შანსი არც ჰქონიათ.

წელან ვთქვით, "მარსელი" ჯერჯერობით ლიდერებს საგრძნობლად ჩამორჩება-თქო, მაგრამ **დიდიე დეშამის** გუნდი რომ ნელ-ნელა შედის ფორმაში, ფაქტია. პროვანსელებმა ბოლო 11 შეხვედრაში ერთადერთი მატჩი წააგეს და ისიც ჩემპიონთა ლიგაში, ძველებურად ლაღად ათამაშებულ "არსენალთან". შედეგად კი გუნდმა დატოვა აუტსაიდერთა რიგები და გულშემატკივრების გასახარად მე-8 ადგილამდე აღზევდა, თუმცა ჩამორჩენა ლიდერთან ჯერაც ძალიან დიდია – 12 ქულა. სწორად, ეს უხარებს გულს **ჟორდან აიუს**, რომელმაც მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა: *"უკვე რამდენიმე თამაშია, რაც მე და ლოიკ რემი კარგად ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფეხბურთელებს ისევ გვიხარია ერთად თამაში. გამიმართლა, რომ 20 წლისას ისეთ ძლიერ ფეხბურთელთან მომეცა თამაშის საშუალება, როგორიც ლოიკია. კარგია, რომ ჩვენმა მონდომებამ შედეგი გამოიღო, ახლა ვალდებულნი ვართ სეზონის ბოლომდე ასეთ დონეზე ვითამაშოთ. გუნდი ვალდებული იყო, სეზონის დასაწყისში წარუმატებელ თამაშზე სწორედ ასეთი რეაქცია ჰქონოდა"*.

ფრანგმა ჟურნალისტებმა მე-13 ტურის შემდეგ აღნიშნეს, ერთადერთი, რაც ახლა ლიგაში გაირკვა, აუტსაიდერის სახელიაო. მართლაც... საკმარისია ადამიანმა ცხრილს თვალი გადაავლოს, რომ მიხვდეს, "აიაჩო" ლიგიდან გავარდნის უპირველესი კანდიდატია. არა, არ გვინდა იმის თქმა, რომ კორსიკელებს რალაც ისეთი უშველებელი სჭირთ, როგორც შარშან "არლს", მაგრამ 13 შეხვედრაში 8 წაგება სხვა დასკვნის გამოტანის უფლებას უბრალოდ არ იძლევა.

## ტურის სიმბოლური ნაკრები

**ჟეფრი ჟურდენი** (მონპელიე) – **სებასტიან კორშია** (სოშო), **სედრიკ კამბონი** (ევიანი), **ალდო ანგულა** (ევიანი), **ბენუა ტრემულინასი** (ბორდო), **მატიე ბოდმერი** (პსჟ), **ვენსან ნოგეირა** (სოშო), **იან ჟუფრე** (ლორიანი) – **იან სანოგო** (ოსერი), **ლოიკ რემი** (მარსელი), **ჟირეს კემბო-ეკოკო** (რენი)

ტვენტე

# ტვენტემ სიძლიერე აჩვენა



ლუკ დე იონგს მალე ალბათ გრანდების რიგი დაუდგება

პრინციპში ეს მოსალოდნელიც იყო - ვიცე-ჩემპიონმა "ტვენტემ" ერედივიზიეს მე-12 ტურის შეხვედრაში "დე გრააფსხაპს" შანსი არ დაუტოვა. თითო გოლი გაიტანეს **პეტერ ვისტგერჰოფმა, ლუკ დე იონგმა, ოლა ჯონმა** და **ლეროი ფერმა**. "წითლებმა" "ფერმერებთან" მატჩი მშვიდად დაიწყეს და მშვიდადვე მიიყვანეს ლოგიკურ ფინალამდე. ენსხედელები ერედივიზიეს ცხრილში მეორე ადგილზე არიან და ლიდერ "ალკმაარს" 6 ქულით ჩამორჩებიან.

ჩემპიონატში "ტვენტეს" წარმატებული ასპარეზობა შეუმჩნეველი არავის რჩება. მისი ფეხბურთელებით ყველაზე მეტად პრემიერლიგის გუნდები ინტერესდებიან. ასე მაგალითად, "ტვენტესა" და ჰოლანდიის ნაკრების 21 წლის თავდამსხმელის **ლუკ დე იონგის** შეძენის სურვილს "ნიუკასლი" გამოთქვამს. „დეილი მეილის" ინფორმაციით, "კაჭკაჭები" მზად არიან, ლუკში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. გარდა "ნიუკასლისა", დე იონგისადმი ინტერესს მიაწერენ "ლივერპულსაც".

თავის მხრივ შემადგენლობის გაძლიერებას ეშურება "ტვენტეც". კლუბს 1-ლი იანვრიდან შეუერთდება დანიის ნაკრების 23 წლის მცველი **ანდრეას ბიელანდი**, ვინც ენსხედელებთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამჟამად ის "ნორდსელანდის" ღირსებას იცავს. ანდრეასის თქმით, ჰოლანდიის ჩემპიონატში გადასვლა მისგან ახალ სიმაღლეებზე ასვლას მოითხოვს და ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს. *"მოხარული ვარ, რომ "ტვენტეში" სათამაშოდ გადავდივარ,* - განუცხადა ფეხბურთელმა უეფას ოფიციალურ საიტს. - *ჩემთვის ეს თავის გამოჩენის ახალი შანსია. ერედივიზიეში დაძაბული მატჩებისთვის მომზადება კვირაში ერთხელ მომიწევს, რაც განვითარების მეტ შესაძლებლობას მომცემს. კლუბის წარმომადგენლები დიდხანს მაკვირდებოდნენ და ჩემი შესაძლებლობები მშვენივრად იციან, რაც ძალიან მახარებს"*.

ანდრეასთან კონტრაქტის გაფორმება იმას ნიშნავს, რომ კლუბი მომავალზე ზრუნავსო - განაცხადა "ტვენტეს" თავკაცმა **კო ადრიაანსემ**. *"ცენტრალური მცველის პოზიციაზე გვყავს დუგლასი, ვისტგერჰოფი და ბენგტსონი, მაგრამ ბიელანდის მოსვლით ამ პოზიციას საბოლოოდ გადავაქცევთ "დახურულ ზონად,"* – განაცხადა მწვრთნელმა. ანდრეასის ჯერაც მოქმედ კონტრაქტს ვადა 2013 წლის ივლისში გასდის, შესაბამისად, "ტვენტეს" თანხის გადახდა მოუწევს, მაგრამ ტრანსფერის ღირებულებაზე მხარეები რატომღაც დუმან, "დე ტელეგააფი" ვარაუდობს, რომ "ტვენტეს" ეს "სიამოვნება" 2 მილიონამდე დაუჯდება.

პროფესიული კარიერა ბიელანდმა "ლუნგბიუში" დაიწყო, საიდანაც 2009 წელს "ნორდსელანდში" გადავიდა. ამ კლუბთან ერთად ფეხბურთელმა დანიის თასი ორჯერ მოიგო. ახალგაზრდა მცველმა დანიის ნაკრებში უკვე სამი შეხვედრის ჩატარება მოასწრო და თავისი წვლილი შეიტანა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებაში. შეგახსენებთ, რომ "ტვენტე" ევროპის ლიგაზეც გამოდის, სადაც "ფულჰემის", "ოდენსესა" და "ვისლას" ჯგუფში 4 თამაშში აღებული 10 ქულით პირველ ადგილზეა.

ევრო 2012. პლეი ოფები

# ტრავმები აქ, ტრავმები იქ

11 და 15 ნოემბერს ევრო 2012-ის პლეი ოფების შეხვედრები უნდა გაიმართოს. ერთმანეთს თურქეთი-ხორვატია, ესტონეთი-ირლანდია, ჩეხეთი-ჩერნოგორია და ბოსნია-პორტუგალია დაუპირისპირდებიან. სასატარტო შეხვედრებს წყვილში პირველად დასახელებული ქვეყნები უმასპინძლებენ. აღნიშნული გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა რა ხანია დაასახელეს შემადგენლობები. თურქეთის ეროვნული გუნდის თავკაცი **გუუს ჰიდინკი** მათ შორის ერთ-ერთი უკანასკნელი იყო. და აი, გაირკვა ჰოლანდიელის რჩეულთა სიაც და მასში, როგორც მოსალოდნელი იყო, "რეალის" საყრდენი ნახევარმცველი **ნური შაჰინი** არ არის. ნური შარშან ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს თუ არა, მალევე გაირკვა, რომ კარიერას ის "სანტიაგო ბერნაბეუზე" განაგრძობდა. ფეხბურთელმა ივლისში მაიამიში სამეფო გუნდის პირველივე შეკრებაზე




მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას მერე მოედანზე პირველად გასულ უქმეებზე გამოჩნდა, რაც ჰიდინკისთვის არასაკმარისი საფუძველი აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ სუსტ ფორმაში მყოფი ფეხბურთელი ნაკრებში ეხმო.

დანაკლისი აქვს ჩეხეთის ნაკრებსაც. ჩერნოგორიელებთან ორმატჩიან დუელში მთავარ მწვრთნელ **მიხაელ ბილეკს ტომაშ ჰიუბშმანისა** და **პეტრ ჩეხის** იმედი არ უნდა ჰქონდეს. პირველს 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციიდან ორი კიდევ დარჩა, ასე რომ, თუკი ეს გუნდი უკრაინა-პოლონეთის საგზურს მოიპოვებს, ჰიუბშმანს შეეძლება ევროფორუმზე მონაწილეობა. ეს ამბავი ბუნებრივია ყველამ იცოდა, აი, ჩეხის ცხვირის ტრავმა კი ბილეკისთვის ნამდვილი შოკი იყო. ტრავმა კი "ჩელსის" კარის დარაჯმა "ბლექბერნთან" შეხვედრაში მიიღო. ჩეხი ჟურნალისტები იმედს გამოთქვამენ, რომ თავის დამცავ მუზარადთან ერთად პეტრი ცხვირის სპეციალურ ნიღაბსაც მოირგებს და გუნდს გვერდში დაუდგება. თუმცა ექიმების თქმით, ამ ნაბიჯზე წასვლა სერიოზული რისკი იქნება. თუკი ჩეხმა მინდორზე გამოსვლა ვერ შეძლო, მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში "ჰამბურგის" კარის დარაჯი **იაროსლავ დრობნი** დაიკავებს. *"ცხვირის გატეხა ერთობ მტკივნეული ტრავმაა, განსაკუთრებით მეკარეებისთვის, რადგან ყოველთვის არსებობს იმის შანსი, რომ მეტოქის თავდამსხმელს ბურთისთვის ბრძოლაში შეეჯახო. მას იტალიიდან სპეციალურ ნიღაბს გამოვუწერთ. ჩემი საბოლოოდ გადაწყვეტილება იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ იგრძნობს პეტრი თავს თამაშის წინა დღეს,"* – განაცხადა მიხაელ ბილეკმა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტურის გამოხმაურება

# მანუს პირველი ბავარიული სუპერსეივი

## ორ კვირაში დორტმუნდი მიუნხენში ჩადის და ყველა კითხვას ეპასუხება

**მანუელ ნოიერმა** მშრალი სერია კი შეწყვიტა, რადგან „ბაიერნის“ დაცვა ველარ დგას მოწოდების სიმაღლეზე ისე, როგორც სექტემბერ-ოქტომბერში იდგა, მაგრამ სამაგიეროდ, რეკორდმაისტერისა და გერმანიის ნაკრების მეკარეს საქმე გაუჩნდა და შესაძლებლობების დამტკიცება დაიწყო. აგერ, „აუგსბურგთან“ შეხვედრის ბოლო წუთებზე მანუმ მიუნხენურ კლუბს სამი ქულა გადაურჩინა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „ბაიერნის“ გამარჯვებაში ნოიერს დიდი წვლილი მიუძღვის. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების ყოფილმა მეკარემ **იენს ლემანმა** მაინც უცნაურად ილაყბა...

მართალია, 12 ტურის შემდეგ „ბაიერნის“ უახლოესი მდევრებიდან სამ გუნდს (დორტმუნდი, ვერდერი, გლადბახი) ქულების თანაბარი რაოდენობა აქვს, მაგრამ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვის** აზრით, რეკორდმაისტერის ერთადერთი სერიოზული კონკურენტი ამ სეზონშიც დორტმუნდის „ბორუსია“ იქნება. ჩემპიონებმა „ვოლფსბურგი“ 5:1 გაანადგურეს – **იურგენ კლოპის** ძველებურად დაფრთიანებული ბიჭების შეჩერება ვერც უკიდურესაც გაუხეშებულმა **სოტირიოს კირიაკოსმა** შეძლო. ბერძენმა „ყასაბმა“ მხოლოდ ის მოახერხა, რომ „ბორუსიას“ მცველ **ნევენ სუბოტიჩს** სისხლი ადინა. ტურის გმირი კი ბრემენელი **კლაუდიო პისარო** გახლდათ, რომელიც მისი ერთ-ერთი თანაგუნდელის აზრით, სულაც ბუნდესლიგის საუკეთესო თავდამსხმელია.

### გააფთრებული კირიაკოსი

საჰაერო ორთაბრძოლის დროს იდაყვის მარჯვედ ქნევა, ვარდნის დროს ფეხის ბოლომდე მიყოლება, მუდმივად უხეშობის ზღვარზე თამაში – „ვოლფსბურგის“ მცველი **სოტირიოს კირიაკოსი** კიდევ უფრო აგრესიული გამხდარა. ბუნდესლიგაში მცველის ასეთი თამაში არავის უკვირს, პირიქით, ესეც ფეხბურთის ერთ-ერთი საინტერესო ნაწილია, ცუდი კი მხოლოდ ის არის, რომ „მგლების“ ბერძენ მცველს დორტმუნდელი კოლეგა **ნევენ სუბოტიჩი** „შემოესისხლიანა“. თუმცა ესეც რბილი ნათქვამია, ფაქტი კი ის არის, რომ სერბი მცველი მარცხენა თვალით კარგა ხანს ვერაფერს ხედავდა. კირიაკოსს ამ ბრუტალური ფოლისთვის ყვითელი ბარათიც კი არ მიუღია...

რაც შეეხება „ვოლფსბურგს“: *„ასეთი ნაგების შემდეგ ბავშვიც კი მიხვდება, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი ბუნდესლიგის დონეს ვერ აკმაყოფილებს, უმეტესობა კი ვერ აკმაყოფილებს იმ დონეს, რომელზეც ჩვენ გვინდა ყოფნა,“* - ეს „მგლების“ თავკაცის, **ფელიქს მაგათის** სიტყვებია. პირველში თუ არა, „დესპოტი ფელიქსი“ კირიაკოსს მეორე ჯგუფში მაინც მოიაზრებდა, რადგან ბერძენს ტექნიკური დორტმუნდელების წინააღმდეგ ერთადერთი იარაღი აღმოაჩნდა – ძალადობა – და თავი სასაცილოდ აიგდო. სუბოტიჩს კი თვალის ოპერაცია დასჭირდა და ფეხბურთს თვე-ნახევარი ველარ ითამაშებს...

### ტურის ტრიუმფატორი: ლუსიენ ფავრი

„ჰერტასთან“ მატჩის წინ „გლადბახის“ მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** ბერლინული კლუბის პრეზიდენტ **ვერნერ გეგენბაუერთან** მივიდა და ერთი შეხედვით, მეგობრულად გაესაუბრა. გეგენბაუერიცა და ფავრიც ცდილობდნენ, კამერების წინ თავი ისე დაეჭირათ, ვითომ ერთმანეთს ძალიან კარგად უგებენ. შვეიცარიელმა მწვრთნელმა მატჩამდე თქვა, ბერლინში ფანტასტიკური ორწელნახევარი გავატარეო. მაგრამ ჩვენ ფავრის არ გვჯერა, რადგან „ჰერტადან“ თავის დროზე ცუდად გააგდეს, ახლა კი ბერლინში „გლადბახის“ თავკაცის რანგში, მტრის სტატუსით დაბრუნდა და შურიც იძია: მისმა „ბორუსიამ“ დედაქალაქიდან სამი ქულა წაიღო. სამაგიეროდ, „ჰერტას“ მენეჯერმა **მიხაელ პრეეტცმა** მწარედ თქვა, ჩვენი გულშემატკივრები ფავრს ნუ გაეტირებიან, ამის საბაბი არ არსებობსო. არადა, არსებობს...

### პისარო აქ, პისარო იქ, პისარო ყველგან

ვერდერი-კიოლნი, პირველი ტაიმი: **კლაუდიო პისარო** მოედანზე იყო, მაგრამ არ ჩანდა, „კიოლნმა“ კი „ვეზერშტადიონზე“ 2 გოლი გაიტანა და შესვენებაზე სოლიდური უპირატესობით გავიდა. მეორე ტაიმი: პისარო გამოჩნდა და კარში დარტყმებს მოჰყვა, დღესდღეობით კი, როცა პერუელი კარში ურტყამს, უმეტესად გოლებიც გააქვს ხოლმე. „ვერდერის“ 33 წლის გოლეადორმა „თხების“ კარი სამჯერ დალაშქრა და თამაში ბრემენული კლუბის სასარგებლოდ შეატრიალა. ბოლოს კიოლნელები მოედანზე ცხრანილა იყვნენ, რადგან ერთი გააგდეს, ერთიც იმ დროს დაშავდა, როცა **სტალე სოლბაკენს** სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა, „ვერდერის“ თავკაცმა **თომას შააფმა** კი პისაროზე თქვა, რაც უფრო ბერდება, მით უფრო პროგრესირებსო.

*„რთულია, სიტყვით გადმოსცე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ფიგურაა პისარო „ვერდერისთვის“. ის ყოველთვის საჭირო ადგილზე დგას და ნებისმიერ დროს შეგიძლია, პასი მისცე და დარწმუნებული იყო, რომ შეცდომას არ დაუშვებს. პისარო ბუნდესლიგის საუკეთესო თავდამსხმელია,“* - ეს კი ბრემენელთა მარჯვენა გარემარბის, **კლემენს ფრიტცის** სიტყვებია.

პისაროს 11 მატჩში 11 გოლი აქვს გატანილი და „ვერდერის“ ბოლო 15 გოლიდან, 14-ში უშუალოდ აქვს მონაწილეობა მიღებული. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პერუელი თავდამსხმელი გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი არ ყოფილა (11 წელი ბუნდესლიგაში). *„პრინციპში, ბომბარდირობა არ მაინტერესებს, მაგრამ თუ გავხდები, რა თქმა უნდა, გამიხარდება,“* - თქვა „პისამ“ „კიოლნთან“ შემოტრიალებული თამაშის შემდეგ.

### სტანი: მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, სოფლელებო!

„ჰოფენჰაიმის“ თავკაც **ჰოლგერ სტანისლავსკის** მოთმინების ფიალა აევსო. მისმა შეგირდებმა „კაიზერსლაუტერნთან“ როგორლაც ერთი გოლი გაიტანეს და ქულა აიღეს, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ეს როგორლაც მოახერხეს, მწვრთნელს კი თავისი გუნდის თამაშში პოზიტიური არაფერი დაუნახავს: *„ბუნდესლიგაში თამაში უნდა გიხაროდეს. მონდომებული უნდა იყო, ირბინო, იბრძოლო. ჩვენ კი დღეს სიხარულის და მონდომების ნიშანწყალიც არ გვეტყობოდა. დღეს ჩვენ უბრალოდ გაგვიმართლა, ერთი ქულა მოვიპარეთ და მოპარული შეგვრჩა კიდეც. დიდი ხანი არაა, რაც „ჰოფენჰაიმს“ ვავარჯიშებ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაზე ცუდი თამაში იყო, რაც ამ გუნდს ჩემს ხელში აქამდე უჩვენებია. ძალიან უკმაყოფილო ვარ,“* - თქვა საფინალო სასტვენის შემდეგ განრისხებულმა სტანისლავსკიმ და შეგირდებს „ძალად ვარსკვლავები“ უწოდა.

ჰოლგერი სიმკაცრით არის ცნობილი და შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ, როგორ დატანჯავს შეგირდებს უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, ბუნდესლიგის მომდევნო, მე-13 ტურამდე. პირდაპირ ვთქვათ, „ჰოფეს“ ფეხბურთელებმა ეს დაიმსახურეს კიდეც...



აუგსბურგი-ბაიერნი 1:2. მომენტი, როცა ნოიერმა კაპლანის დარტყმა მოიგერია

### ნოიერს საქმე გაუჩნდა

ტურის შემდეგ **მანუელ ნოიერს** ყველა აქებდა – ამბობდნენ, რეკორდმაისტერმა აუგსბურგში რომ მოიგო, მანუს დამსახურებააო, რაშიც სიმართლის მარცვალზე მეტი ერია, რადგან გერმანიის ნაკრების მეკარემ 82-ე წუთზე, მასთან პირისპირ გასული **ედმონდ კაპლანის** დარტყმა ბლიც-რეფლექსით მოიგერია. ერთადერთი ექსპერტი, რომელმაც მანუ არ შეაქო, ბუნდესგუნდის ყოფილი მეკარე, მუდამ კრიტიკულად განწყობილი **იენს ლემანი** გახლდათ, რომელმაც „სქაის“ პირდაპირ ეთერში თქვა, მის ადგილზე მე კარიდან არ გამოვვარდებოდიო. არადა, ნოიერმა დარტყმა აილო და მას მერე, რაც მიუნხენური კლუბის ღირსებას იცავს, „ბაიერნის“ წარმატებაში პირველად ითამაშა მთავარი როლი. მართალია, მანუმ ბოლო ხუთ მატჩში მე-6 გოლი გაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ, ველარ დაიჩივლებს, საქმე არ მაქვსო.

### ისევ გიოტცე

**მარიო გიოტცემ** კიდევ ერთხელ გვიჩვენა კლასი და ვინ მოთვლის, მერამდენედ დაგვარწმუნა, რომ მართლაც დიდი მომავალი აქვს. „ვოლფსბურგთან“ 5:1-ზე მოგებულ მატჩში გიოტცე **შინჯი კაგავასთან** ერთად საუკეთესო იყო – დორტმუნდის „ბორუსია“ ძველებურად ათამაშდა. ფაქტია, რომ გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** მარიოს უკრაინასთანაც ათამაშებს და ჰოლანდიასთანაც – თანაც, **მესუთ იოზილთან** ერთად. იოგიმ თქვა, ეს შესაძლებელი კი არა, აუცილებელიცააო.

*„მიუხედავად იმისა, რომ „ვერდერიც“ კარგად გამოიყურება, „გლადბახი“ სულაც ამ სეზონის აღმოჩენაა და „შალკემაც“ პროგრესი განიცადა, ერთადერთი გუნდი, რომელსაც „ბაიერნისთვის“ კონკურენციის გაწევა შეუძლია, დორტმუნდის „ბორუსიაა“,* - ეს ლიოვის განცხადებაა, რომლის დადასტურების შანსი გიოტცეს და კომპანიას ზუსტად ორ კვირაში მიეცემათ: ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „დორტმუნდი“ „ბაიერნს“ სტუმრობს.

### მე-12 ტურის სიმბოლური ნაკრები (4-2-2-2, კიკერი)

**მანუელ ნოიერი** (ბაიერნი, I) – **სოკრატის პაპასტათოპულოსი** (ვერდერი, I), **მარტინ შტრანცლი** (ბორუსია მ, I), **მარსელ შმელცერი** (ბორუსია დ, II) – **მარიო გიოტცე** (ბორუსია დ, III), **სვენ ბენდერი** (ბორუსია დ, III), **შინჯი კაგავა** (ბორუსია დ, II), **მარკო როისი** (ბორუსია მ, V) – **ტეემუ პუკი** (შალკე, I), **კლაუდიო პისარო** (ვერდერი, III), **ლუკას პოდოლსკი** (კიოლნი, IV).

#### ტურის გმირი

**კლაუდიო პისარო (ვერდერი)**

გოლების გატანა მისი უმთავრესი მოვალეობაა და მიმდინარე სეზონში კლაუდიო პისარო თავის საქმეს ხუთიანზე აკეთებს. 33 წლის პერუელ თავდამსხმელს ბუნდესლიგის 315 მატჩში 153 გოლი აქვს გატანილი, ამ სეზონში კი უკვე 11-ჯერ იხეირა და ბომბარდირთა რეიტინგში მარიო გომესსა და კლაას-იან ჰუნტელაარს მისდევს. ამასთან, რეკორდებსაც ამყარებს: გერმანიის ჩემპიონატში ერთ შეხვედრაში ერთზე მეტი გოლი მან უკვე 27-ედ გაიტანა. აქედან, 16 ასეთი შემთხვევა „ვერდერის“ ფორმით აქვს დაფიქსირებული (მოგეხსენებათ, „ბაიერნის“ ღირსებასაც იცავდა). გარდა ამისა, პისარო **ჯოვანი ელბერს** გაუთანაბრდა და მასთან ერთად, ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო არაგერმანელი ბომბარდირია. „კიოლნთან“ შეხვედრაში პისარომ კარიერაში მეოთხე ჰეთ-თრიკი შეასრულა. უკანასკნელი 1999 წლის 19 სექტემბერს ჰქონდა შესრულებული – „ვოლფსბურგთან“ მატჩში (7:2), რომელიც მეოთხე იყო მის ბრემენულ კარიერაში.

**გოტფრიდ ლენცი**




#### საუკეთესო ფეხბურთელები

12 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | ს/შ. |
|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.15 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 2.25 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 2.29 |
| 4. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 2.33 |
| 5. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 2.50 |
| 6. დანიელ ვან ბუიტენი | ბაიერნი | 2.50 |
| 7. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.58 |
| 8. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.65 |
| 9. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.67 |
| 10. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 2.71 |

#### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 11 | 13 | 2 | 15 |
| 2. კლაუდიო პისარო | ვერდერი | 11 | 11 | 4 | 15 |
| 3. ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | 11 | 9 | 5 | 14 |
| 4. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 11 | 6 | 8 | 14 |
| 5. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 12 | 8 | 5 | 13 |
| 6. კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | 11 | 10 | 2 | 12 |
| 7. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 12 | 8 | 3 | 11 |
| 8. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 12 | 7 | 3 | 10 |
| 9. მარკო როისი | ბორუსია (მ) | 12 | 7 | 3 | 10 |
| 10. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 9 | 8 | 1 | 9 |

ფურია როხა



ვისენტე დელ ბოსკე ინგლისელებთან საპაექროდ დაირაზმა

# საუემბლო განაცხადი

## დელ ბოსკემ ინიესტა, ნავასი და მონრეალი დააბრუნა

გუშინ ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც „ფურია როხა“ ინგლისისა და კოსტა რიკის ნაკრებებთან ამხანაგურ შეხვედრებში გავა ფონს. ყველაზე დიდი სიახლე 2010 წლის მუნდიალის გმირის, **ანდრეს ინიესტას** დაბრუნებაა ეროვნულ გუნდში, რომელმაც წინა ორი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. დელ ბოსკემ სულ 23 ფეხბურთელი გამოიძახა. პირველ ამხანაგურ მატჩს მსოფლიოს ჩემპიონი ინგლისთან 12 ნოემბერს გამართავს, სამი დღის შემდეგ კი - კოსტა რიკასთან.

ინიესტამ ნაკრებში ახალგაზრდა თანაკლუბელის, **ტიაგო ალკანტარას** ადგილი დაიკავა. ნაკრებში ისევ გამოიძახეს „სევილიას“ გარემარბი **ხესუს ნავასი**, რომელმაც ტრავმირებული **პედრო როდრიგესი** უნდა შეცვალოს. ბოლო მატჩებში არც „მალაგის“ მცველი **ნაჩო მონრეალი** ყოფილა, თუმცა დელ ბოსკემ ის ისევ დააბრუნა. ინგლისელებთან თამაში მნიშვნელოვანია **იკერ კასილიასისთვის**, თუ ითამაშებს, ის ნაკრებში ყველაზე მეტი კეპის მომხვეჭელ **ანდონი სუბისარეტას** გაუტოლდება 126 თამაშით.

**ვისენტე დელ ბოსკე**: *„ინგლისის ნაკრები დიდებული გუნდია და ჩვენ საოცარ სტადიონზე ვითამაშებთ - „უემბლიზე“. ეს თამაში ძალიან წაადგება ნაკრებს და ზოგადად ესპანურ ფეხბურთს. ამასთან, ყოველთვის ვცდილობთ, კლუბების ინტერესები გავითვალისწინოთ - ამხანაგურ მატჩებში ერთი ფეხბურთელიც კი არ დაგვიტვირთავს სრულად, დასვენების საშუალებას ყოველ მათგანს ვაძლევთ“.*

**მეკარეები**: *იკერ კასილიასი (რეალი), პეპე რეინა (ლივერპული), ვიქტორ ვალდესი (ბარსელონა).*

**მცველები**: *ხორდი ალბა (ვალენსია), რაულ ალბიოლი (რეალი), ალვარო არბელოა (რეალი), ჟერარდ პიკე (ბარსელონა), კარლეს პუიოლი (ბარსელონა), სერხიო რამოსი (რეალი), ნაჩო მონრეალი (მალაგა).*

**ნახევარმცველები:** *ჩაბი ალონსო (რეალი), სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), სანტი კასორლა (მალაგა), სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა), ანდრეს ინიესტა (ბარსელონა), ხავი მარტინესი (ბილბაო), დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ჩავი ერნანდესი (ბარსელონა).*

**თავდამსხმელები**: *ხუან მატა (ჩელსი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო), ხესუს ნავასი (სევილია), ფერნანდო ტორესი (ჩელსი), დავიდ ვილია (ბარსელონა).*

რეალი

# ეს რეალი უკვე საჩემპიონოს ჰგავს

## გახარებული ნური და დი მარია კლასიკომდე თამაშგარეში

„სამეფო კლუბი“ 2008 წლის შემდეგ პირველად უსწრებს მის ყველაზე მთავარ კონკურენტს ჩემპიონატში 3 ქულით. შეგახსენებთ, რომ მაშინ „რეალი“ ჩემპიონი გახდა, ჯერჯერობით უკანასკნელად. ჯერ შეიძლება ძალიან ადრეა, მაგრამ სეზონის დასაწყისში „რეალი“ მართლაც საჩემპიონო ფეხბურთს აჩვენებს. კვირას, შუადღით **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა ერთი წამითაც არ ანერვიულა გულშემატკივარი და ზედიზედ მე-10 (ლა ლიგაში მე-7) გამარჯვება იზეიმა, თანაც როგორი - „ოსასუნას“ 7:1 მოუგო.

იმის ნიშნები, რომ „რეალი“ შეძლებდა „ბარსასთვის“ ნამდვილი ბრძოლის გამართვას, ჯერ კიდევ წინასასეზონო მატჩებში გამოჩნდა. „ბლანკოსის“ ფანებს იმედი კიდევ უფრო გაულვივდა სუპერთასის მატჩების შემდეგ, რომელიც „რეალმა“ კატალონიურ გრანდთან საბოლოოდ 4:5 დათმო. სულ მალე ეს ორი სუპერგუნდი კვლავ შეხვდება ერთმანეთს, ამჯერად ლა ლიგის მატჩში.

თუმცა, მთავარია, მიაღწევს თუ არა ჟოზეს გუნდი სუპერკლასიკომდე 3-ქულიანი უპირატესობით. მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ ეს მას ძალიან, ძალიან გაუჭირდება. მიზეზი? ერთობ დაძაბული კალენდარია: „რეალი“ ჯერ შესანიშნავ ფორმაში მყოფ „ვალენსიას“ სტუმრობს (19 ნოემბერს), შემდეგ კი, არც მეტი არც ნაკლები, მადრიდული დერბია „სანტიაგუ ბერნაბეუს“ „ატლეტიკო“ ეწვევა (26 ნოემბერი). ამის შემდეგ „რეალს“ ელის არცთუ იოლი გასეირნება ასტურიაში „სპორტინგთან“ (3 დეკემბერი), 10-ში კი „ბერნაბეუზე“ წლის მატჩია. ლიდერთან შედარებით იოლი გრაფიკი აქვს სუპერკლასიკომდე ჩემპიონს. „ბარსა“ შინ „სარაგოსას“ მიიღებს (19 ნოემბერი), ესტუმრება „ხეტაფეს“ (26 ნოემბერი) და „კამპ ნოუზე“ „ლევანტეს“ გამოცდის, რომელსაც ნელნელა ელევა ენერგია.

გასულ სეზონში „რეალი“ წინ იყო, როცა პირველ კლასიკოზე შეხვდა „ბარსელონას“, მაგრამ 0:5 განადგურდა და მას შემდეგ ფეხზე ვერ დადგა. მაგრამ ახლა სულ სხვა სიტუაციაა: ჯერ ერთი, კლასიკო მადრიდშია და ეს ბევრს ნიშნავს, მეორეც ახლანდელი „რეალი“ გაცილებით ძლიერი გუნდია, გაცილებით ნაკლებად არის დამოკიდებული **კრიშტიანო რონალდოზე**, მაშინ, როცა „ბარსა“ სულ უფრო და უფრო **ლეო მესის** გუნდი ხდება.



ოსასუნასთან მატჩი დიდხანს ემახსოვრება „რეალის“ [illegible] **ნური შაჰინს**. შარშანდელი ბუნდესლიგის საუკეთესო ფეხბურთელს, როგორც იქნა, ეღირსა დებიუტი „სამეფო კლუბში“. მეორე ტაიმში მან გერმანელი **სამი ხედირა** შეცვალა: *„ეს იყო დიდი დღე ჩემთვის. მინდა ყველას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მადლობა გადავუხადო. ახლა, რაც შეიძლება ბევრი უნდა ვიშრომო, რომ გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელი გავხდე. ძალიან ძნელი იყო ჩემთვის ეს დღეებია არავის ვუსურვებ მსგავსი გამოსცადოს. თავიდან ძალიან ვინერვიულე, მე ხომ პირველად ვთამაშობდი „რეალის“ გულშემატკივრების წინაშე“.*

მაგრამ ყველაფერი კარგად არც „რეალშია“ - „ოსასუნასთან“ მატჩში ტრავმა მიიღო სამი საგოლე პასის ავტორმა **ანხელ დი მარიამ**. გუშინდელმა სამედიცინო გამოკვლევამ აჩვენა, რომ არგენტინელმა მარცხენა მუხლის მყესი დაიზიანა. დი მარია ნოემბერში ველარ ითამაშებს, მის დაბრუნებას „ელ კლასიკოსთვის“ ვარაუდობენ.

ბარსელონა

# ჰიმნი ფეხბურთს

„ბარსელონამ“ „სან მამესზე“ საოცარი მატჩი გამართა ბილბაოს „ატლეტიკთან“. ჩემპიონმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეძლო გადარჩენა. სულ ცოტაც და, „ბარსა“ ლა ლიგაში სეზონის პირველ მარცხს იწვნევდა, ბასკები 2:1-ს იგებდნენ, მიმდინარეობდა მატჩის 91-ე წუთი, მაგრამ აქ „ბილბაოს“ მცველებმა ვერ ივარგეს, **გორკა ირაისოსს** ბურთის ხეირიანად მოგერიება არ აცალეს, ის **ლეო მესის** საკბილო გახდა და არგენტინელმაც სეზონში მე-14 გოლით ქულა იხსნა.

აი, რას ამბობს ამ თამაშზე **ჩავი**: *„ბილბაომ“ დიდებულად ითამაშა. საფეხბურთო თვალსაზრისით, ეს იყო სეზონის საუკეთესო მატჩი. ორივე გუნდი მხოლოდ მოგებისთვის იბრძოდა, პირადად ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე თამაშისგან და ვნანობ, რომ ჩვენ ვერ მოვიგეთ. გუნდში ყველაფერი კარგადაა და თუ ასე გავაგრძელებთ, მოგებები აუცილებლად იქნება. ამბობენ, რომ წაგებისგან გადავრჩით, მაგრამ, თუკი ვინმე ამ მატჩში მოგებას იმსახურებდა, ეს „ბარსელონაა“.*

**ხოსეპ გვარდიოლა**: *„რა უნდა ვთქვა მატჩზე? ეს იყო ბრწყინვალე სპექტაკლი 22 ფეხბურთელის შესრულებით, ბრავო. ყველამ დიდი სიამოვნება მიიღო მატჩისგან, ეს იყო ფეხბურთისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ოდა“.*

მართლაც დიდებული მატჩი იყო, თუმცა სტატისტიკის მიხედვით, „ბარსას“ უპირატესობა აშკარაა. უბრალოდ, ბილბაოელებმა უფრო ეფექტურად გამოიყენეს საგოლე მომენტები, კარში ზუსტად სულ ხუთჯერ დაარტყეს, თუმცა ორჯერ გაიტანეს.

აი, რამდენიმე სტატისტიკური დეტალი ამ მატჩიდან:

■ ■ ■

ლეო მესიმ პირველად გაიტანა „სან მამესზე“ და პირველად ამ სეზონში გასვლით მატჩში.

■ ■ ■

**ანდრეს ინიესტამ** ლა ლიგაში 250-ე მატჩი ითამაშა.

■ ■ ■

**პეპ გვარდიოლა** კვლავ დაუმარცხებელი დარჩა „ბილბაოსთან“ დაპირისპირებებში (როგორც მწვრთნელი).

■ ■ ■

„ბარსა“ 12-ჯერ დაჯარიმდა, მაშინ, როცა მასპინძლები ორჯერ მეტჯერ - 25-ჯერ.

■ ■ ■

ბასკებმა კარში ზუსტად 5-ჯერ დაარტყეს, კატალონიელებმა სამჯერ მეტჯერ - 15-ჯერ.

■ ■ ■

**ხავიერ მასკერანომ** 11-ჯერ მოუპოვა „ბარსას“ ბურთი (საუკეთესო შედეგი მატჩში).

■ ■ ■

„ბარსამ“ 502 ზუსტი პასი გააკეთა, „ბილბაომ“ - 250.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**










ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

**თავისუფალი ჭიდაობა**

# რვიდან შვიდი მედალი ერევნიდან



ამ უქმეებზე ერევანმა სახელოვანი მწვრთნელის - რაზმიკ კარაპეტიანის ხსოვნის ტურნირს უმასპინძლა 1996-98 წლებში დაბადებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის. იქ საქართველოს ნაკრებიც გამოდიოდა 8 მონაწილით, მათი საერთო მონაგარი კი 7 მედალია - 4 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

სასიამოვნოა, რომ ორ წონაში - 42-სა და 76-ში ქართული ფინალები გაიმართა. პირველში აჭარელმა **ირაკლი მხეიძემ** ამბროლაურელი **ლაშა აბუთიძე** დაამარცხა, რომელიც თბილისში ვარჯიშობს და დედაქალაქის სახელით გამოდის, მეორეში კი საგარეჯოელმა **ლევან ბოჭორიძემ** რუსთაველ **საბა ჩიხლაძეს** მოუგო. ამათ გარდა, ჩემპიონები ასევე აჭარის წარმომადგენელი **რამაზ ზოიძე** (46) და რუსთაველი **ნიკა მელიქიშვილი** (100) გახდნენ, მესამეზე კი **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63) გავიდა, თუმცა გუნდის მწვრთნელი **ელგუჯა ქობესაშვილი** ამას მსაჯთა არაობიექტურობით ხსნის.

გუნდში უმედლოდ ერთადერთი მონაწილე დარჩა - ზუგდიდელი **გიორგი ბოხუა**, თუმცა ბრინჯაოსთვის მანაც იჭიდავა, მაგრამ წააგო და მეხუთეზე დარჩა. ქობესაშვილი მის წაგებაშიც მსაჯებს ადანაშაულებს. უახლოეს დღეებში ჩვენი ჭაბუკი „თავისუფლები" ისევ ესტუმრებიან ერევანს, სადაც ახლანდელზე ბევრად უფრო დიდი და მასშტაბური ტურნირი გამართება - მასში ირანის, დაღესტნისა და ამ დონის ძლიერი გუნდები იასპარეზებენ.

**ირაკლი თავაძე**

**ძიუდო** SOS



# ბორჯომული ლაკმუსი

ამას წინათ, თავისუფალ ჭიდაობაში ერთ-ერთი რეგიონული ტურნირის გაშუქებისას შეჯიბრების მსაჯების მისამართით მწვრთნელთა ზედმეტად ხშირ პრეტენზიებსა და დავაზე ვწერდით. ისიც დავძინეთ, რომ ეს იშვიათი შემთხვევა არ არის და არც მხოლოდ სპორტის ამ სახეობის პრობლემაა.

სამწუხაროდ, უარესი ბორჯომში ჭაბუკ ძიუდოისტთა ტრადიციულ ტურნირზე ვნახეთ. აქ ჩვეულებრივი ამბავი იყო კამათი და გინება როგორც მწვრთნელებსა და მსაჯებს, ისე თვით მწვრთნელებს შორის. ვნახეთ ტატამზე ზოგიერთი „მწვრთნელის" პირდაპირ და ირიბად გადარბენა ფეხსაცმლებით.

ტურნირზე საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან 400-ზე მეტი ჭაბუკი შეიკრიბა. ვერავის დავეთანხმებით, თითქოს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების სამომავლო შემადგენლობის შესარჩევად შეჯიბრების მნიშვნელობა იყო მწვრთნელების გადაჭარბებული ემოციების მიზეზი. არავინ არაფრად დაგიდევდათ კოლეგიალურ ეთიკას და პატივისცემას. თავშეუკავებლები იყვნენ ქალბატონი მსაჯების მიმართაც კი. ერთმა მათგანმა შეურაცხყოფის შემდეგ ტატამი დატოვა და დიდხანს ვერ იკავებდა ცრემლებს. მეორემ კი დარბაზი საერთოდ დატოვა.

შეჯიბრების შემდეგ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთი თავკაცის **გიორგი რევაზიშვილისგან** შევიტყვეთ, რომ ამ საკითხზე აუცილებლად იმსჯელებენ ფედერაციაში და იმედი ვიქონიოთ, სათანადო დასკვნებიც გაკეთდება.

ბორჯომში კიდევ ერთმა პრობლემამ იჩინა თავი. ერთი მხრივ, კარგია, როცა დღესდღეობით, ვიდეო მოგვევლინა მსაჯთა დამხმარედ, მაგრამ იქ, სადაც ორგანიზება მოიკოჭლებს, ამას მეორე უკიდურესობა მოჰყვა – ახლა უკვე მწვრთნელებს ნებისმიერი სათუო ფანდის ხელახლა ნახვა და გარჩევა უნდათ. ასე იწყება ქაოსი. ყოველივე ეს კი მოზარდთა თვალწინ ხდება. შემდეგ ამიტომაც, უცხოეთის არენებზე წაგების მიზეზებზე მსჯელობისას უსასრულოდ წუწუნებენ არაობიექტურ მსაჯობაზე. ანდა, როგორ გინდა გაამართლო მწვრთნელი, როცა მისი 12-13 წლის შეგირდი მსაჯის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ კიმონოს იხის და რეფერის ტყორცნის (!). ბორჯომში არც ადგილობრივ ხელისუფლებას გამოუჩენია დიდი ყურადღება ტურნირის საკადრის დონეზე ჩასატარებლად. მით უფრო, რომ ძიუდო ამ რაიონში ფეხს სერიოზულად ახლა იკიდებს და კარგად ორგანიზებული ასპარეზობა სასიკეთოდ წაადგებოდა საქმეს. სხვათა შორის ამ ალიაქოთში ტექნიკური შედეგების ჩაწერა ჩვენც დიდი წვალებით და შემოვლითი გზებით შეჯიბრების დასრულების შემდეგ მეორე დღესაც კი ძლივს მოვახერხეთ.

ზემოთ აღწერილმა ამბებმა თითქმის გადაფარა ასპარეზობის მთავარი ფუნქცია. ისე კი, ისევე როგორც სულ ახლახან ამავე ასაკში გორში გამართულ შეჯიბრებაზე, შესანიშნავად იასპარეზა ევროპის ვერცხლის მედალოსანმა, საგარეჯოელმა **თამაზ კირაკოზაშვილმა,** თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს აგრეთვე კასპელმა **გიორგი კაციაშვილმა,** მარტყოფელმა **ბექა შინჯიკაშვილმა,** ახმეტელმა **ვანო ჩურჩხელაშვილმა.**

### კვარცხლბეკი

**55 კგ:** 1. გიორგი კაციაშვილი (კასპი), 2. ბექა ნათათრალიშვილი (თბილისი), 3. ოთარ კაციაშვილი (საგარეჯო) და ლაშა ბუნტური (დედოფლისწყარო).

**60 კგ:** 1. ბექა შინჯიკაშვილი (მარტყოფი), 2. გიორგი გელაშვილი (გორი), 3. გიორგი მეტრეველი (ხაშური) და გიგა გიგაური (მარტყოფი).

**66 კგ:** 1. თამაზ კირაკოზაშვილი (საგარეჯო), 2. ბაჩანა ბოლქვაძე (ბათუმი), 3. ბექა ფალიანი (დმანისი) და ზვიად მრელაშვილი (ახმეტა).

**73 კგ:** 1. ვანო ჩურჩხელაშვილი (ახმეტა), 2. ზურაბ ლომიძე (ზესტაფონი), 3. ზაზა მეგრელიშვილი (თბილისი) და ბექა კვირიკაშვილი (გორი).

**81 კგ:** 1. გიორგი ქურდიანი (თბილისი), 2. სულიკო სეთურიძე (სამაჩაბლო), 3. ჯაბა მუმლაძე (ახმეტა) და ლაშა საბაშვილი (თბილისი).

**90 კგ:** დავით რამაზაშვილი (ახმეტა), 2. მიხეილ ახალაური (თბილისი), 3. ბექა გოცირიძე (ქუთაისი) და დავით ოზბეთელაშვილი (თბილისი).

**+90 კგ:** 1. ბაქარ კუხიანიძე (ქუთაისი), 2. დავით რაზმაძე (თელავი), 3. ლაშა კაპანაძე (ლაგოდეხი) და გიორგი ახალაური (თბილისი).

**ვასილ ბალახაძე**
ბორჯომიდან
დავით ასპანიძის ფოტო

**სამბო. მსოფლიოს პირველობა**

# შემადგენლობა ვარჯიშზე გამოფინეს

11-13 ნოემბერს ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც საქართველოს ვაჟთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: **ავთანდილ ცინცაძე** (52), **უშანგი კუზანაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ლევან ნახუცრიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **ლაშა გურული** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100), **დავით ლორიაშვილი** (+100). სამი მონაწილე ქალთა შორისაც გვეყოლება: **შორენა შარაძე** (64), **ნინო ოძელაშვილი** (72), **ირინა ლეონიძე** (80).

როგორც ვხედავთ, სამბისტთა შორის ძირითადად ძიუდოისტები სჭარბობენ - ქალებში სამივე ძიუდოისტია, ვაჟებში - ოთხი. ოღონდ ამ კვარტეტიდან კუცია საკმაოდ ხშირადაც გამოსულა ძიუდოში და ასაკობრივ ნაკრებებში წარმატებებიც მოუპოვებია, თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც უფრო სამბისტია, იმათი გაზრდილია. აი, ზედა სამი წონის ფალავანი (გურული, ჟორჟოლიანი და ლორიაშვილი) კი წმინდა წყლის ძიუდოისტია. ამათგან ჟორჟოლიანი სულაც იქაური ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია თავის წონაში - ევროპის ვიცე-ჩემპიონს არაერთ შეჯიბრებაშიც გაუმარჯვია. ამ წუთისთვის სალიცენზიო რეიტინგშიც ჩვენგან ყველაზე კარგი მაჩვენებელი მას აქვს, ანუ ოლიმპიადაზე წასვლის უმთავრესი კანდიდატია.

ამ სამეულის სამბისტებში გამოჩენა ცოტა მოულოდნელია, თუმცა გუნდი ძირითადად საქართველოს პირველობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა. ასევე მოულოდნელია 52-ში ცინცაძის, 90-ში კი გურულის ჩართვა, რადგან პირველი აქამდე ზედა წონებში გამოდიოდა - 57-ში და იშვიათად 62-შიც კი, ხოლო 90-ში ბოლო წლების უცვლელი ლიდერი სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **მინდია ბოდაველია**. სამბისტთა ნაკრებში საკონტროლო შეხვედრები სწორედ ამ ორ წონაში ჩატარდა და ზემოდასახელებულმა ფალავნებმა გაიმარჯვეს. ცინცაძეს სერიოზული კონკურენტი არც ჰყავდა და იოლად გაუსწორდა მეტოქეებს, გურულმა კი ბოდაველიც დაამარცხა და **გიორგი ცოციაშვილიც**.

პრაქტიკულად, ისე გამოვიდა, რომ ცინცაძემ და კუზანაშვილმა წონები გაცვალეს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი კუზანაშვილი 57-ში რომ გადავიდოდა, ეს შარშანვე გაცხადდა, რადგან ძალიან ბევრის დაკლება უწევდა და გამოიფიტა. ცინცაძემაც ამის შემდეგ გადაწყვიტა წონის დაკლება, თუმცა ახლა ბევრის კლება, ანუ იგივე პრობლემა მის წინაშე დგას. ასე რომ, რამდენად გამართლებულია ეს ნაბიჯი, ვილნიუსში გამოჩნდება, ამ ეტაპზე კი მას მხოლოდ სარისკო გადაწყვეტილება შეიძლება ვუწოდოთ.

თავიდან ნაკრების ხელმძღვანელობას საკონტროლო შეხვედრის გამართვა მძიმე წონაშიც სურდა, მაგრამ იქ ერთ-ერთმა კონკურენტმა - **ადამ ოქრუაშვილმა** ძიუდოს ნაკრებში არჩია ვარჯიში და კონკურენციაც მას შემდეგ მოიხსნა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, მძიმე წონაში ლორიაშვილი დააყენეს, რომელიც ძიუდოში 100 კილოგრამში გამოდის.

რაც შეეხებათ ქალებს, მათთვის სამბო უცხო არაა და ოძელაშვილი ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონია.

სამბისტები ვილნიუსში 9 ნოემბერს გაფრინდებიან. მსოფლიოს პირველობისთვის მზადების ციკლში მათ ორი შეკრება გაიარეს - დუშეთსა და თბილისში, „სამბოს სასახლეში", სადაც გუშინ ღია ვარჯიში გამართეს. მას, ნაკრების მწვრთნელების გარდა, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. ყველამ გამოთქვა იმედი, რომ გუნდი ვილნიუსში წარმატებით გამოვა, რადგან საამისოდ ყველა წინაპირობა არსებობს - შემადგენლობაც ძლიერია და კარგი მოსამზადებელი ციკლიც გაიარეს.

**თემურ გიორგაძე** (ფედერაცის პრეზიდენტი, ნაკრების მთავარი მწვრთნელი): *„გუნდი კარგადაა მომზადებული როგორც ფიზიკურად, ასევე - ტექნიკურად და ფსიქოლოგიურად. სპორტსმენებმა ორი შეკრება გაიარეს, წარმატებით*




*ივარჯიშეს და ვფიქრობთ, ვილნიუსში 5-6 მედალს მოვიპოვებთ, ოღონდ ხარისხზე ლაპარაკი ახლა ძალიან ძნელია. ვიმედოვნებთ, მათ შორის უმაღლესი სინჯის ჯილდოებიც იქნება".*

**გია გალდავა** (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე): *„ნაკრების წევრთა დიდი ნაწილი ქართული ჭიდაობიდან და ძიუდოდანაა მოსული. სამბისტები მუდმივად გვანებივრებენ წარმატებებით და, იმედია, ახლაც ასე იქნება. მით უფრო, ერთი თვის წინათ ახალგაზრდები და ჭაბუკები კარგად გამოვიდნენ ბალტიისპირეთშივე, ოღონდ რიგაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამის თქმის საფუძველს გუნდის მიერ გავლილი ნაყოფიერი მოსამზადებელი ციკლი მაძლევს".*

მსოფლიოს ჩემპიონატს ვილნიუსის „სიმენს არენა" უმასპინძლებს. 11 ნოემბერს ვაჟთაგან 52, 68 და 90 კილოგრამების წარმომადგენლები იჭიდავებენ, ქალებში - 48, 60, 72-ის. 12-ში ლეიბზე 57, 74 და 100 კილოგრამის მამაკაცებს და 52-64-80-ის ქალებს ვიხილავთ, დანარჩენები კი 13 ნოემბერს იასპარეზებენ. ფინალური ბლოკი პირველ ორ დღეს 17 საათზე დაიწყება, 13-ში - 16 საათზე.

**ირაკლი თავაძე**

**ჭადრაკი**

# ფიდე და ევროპა პირისპირ

**მას შემდეგ, რაც ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტად ბულგარელი სილვიო დანაილოვი აირჩიეს, ამ ორგანიზაციასა და ფიდეს შორის, ფაქტობრივად, შავმა კატამ გაირბინა. ბულგარელი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცს ბრძენთა თამაშის განვითარების, შეჯიბრებების ორგანიზაციის ბევრ საკითხში უპირისპირდება. შარშან ხანტი-მანსიისკის კონგრესზე კირსან ილუმჟინოვმა პოსტი შეინარჩუნა, დანაილოვთან ურთიერთობა კი ისევ ცივი და ოფიციალური დარჩა, რაც ევროპელ მოჭადრაკეთა მესვეურმა წლეულს გაზაფხულზე თბილისში სტუმრობისას „ლელოსთან" ინტერვიუშიც დაადასტურა.**



საბერძნეთში ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე სტუმრობისას დანაილოვს chess-news-ის მთავარი რედაქტორი, ქართველების სიძე - დიდოსტატ **ლელა ჯავახიშვილის** მეუღლე **ევგენი სუროვი** ესაუბრა. ვრცელი ინტერვიუდან შემოგთავაზებთ ზოგიერთ ამონარიდს, რომლებიც, იმედია, ჩვენს მკითხველებსაც დააინტერესებს. სუროვმა დანაილოვს ამას წინათ დამთავრებულ ფიდეს კონგრესზე ჰკითხა - რა საკითხები განიხილესო.

**დანაილოვი:** ვერ გეტყვით, რომ რამე სიახლე იყო. განიხილეს საფინანსო საკითხები. დამსწრეთ განუმარტეს, რომ ფიდემ ხუთი ფედერაციის წინააღმდეგ სასამართლო პროცესისთვის 900 ათასი ევრო გადაიხადა. ჭადრაკის საერთაშორისო ორგანიზაციას უჩიოდნენ საფრანგეთის, შვეიცარიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და გერმანიის ფედერაციები. ილუმჟინოვმა ფიდეს წესდებით გათვალისწინებული ორის ნაცვლად ხუთი ვიცე-პრეზიდენტი აირჩია. იმავე საკითხზე ფიდეს ახლა ინგლისისა და საქართველოს ფედერაციების წინააღმდეგაც მოუწევს სასამართლოზე წარდგომა. თუ პირველ პროცესზე თითქმის მილიონი დახარჯეს, ახლა, სულ მცირე, ამდენივეს გადახდა მოუწევთ. ყველაფერი ეს დიდი ფულია და ისმის კითხვა - რისთვის ხარჯავს ფიდე ამდენ თანხას? ყველაფერი ეს ხომ მტკივნეულად დააწვება ფედერაციის ბიუჯეტს.

სუროვი: **რით დამთავრდა სასამართლო ხუთი ფედერაციის წინააღმდეგ?**

**დანაილოვი:** როგორც ვიცი, ამ საქმიდან ვერავინ ვერაფერი მოიგო, ანუ ფიდემ დაამტკიცა, რომ ფედერაციის პრეზიდენტის ნომინაცია იყო მართალი, იურიდიულად კი ხუთმა ფედერაციამ გაიმარჯვა. ყველაზე ნათელი წერტილი მაინც 900 000 ევროს დახარჯვაა.

სუროვი: **თქვენი ორგანიზაციის წინააღმდეგაც ხომ აღძრა სარჩელი თურქეთის ჭადრაკის ფედერაციამ?**

**დანაილოვი:** ფიდეს წესდების დარღვევის გამო უჩივლეს - ორის ნაცვლად ხუთი ვიცე-პრეზიდენტი დანიშნეს. ჩვენ კი ყველაფერი კანონის ფარგლებში გავაკეთეთ - კავშირის ცხრავე წევრის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით 2013 წლის ბავშვთა ევროპის პირველობის ჩატარების უფლება ჩერნოგორიას მივეცით, საკლუბო ჩემპიონატისა - საბერძნეთს, რადგან მათ უკეთესი პირობები წარმოადგინეს. ხორვატიას მოვუგეთ სასამართლო პროცესი, თუ რატომ მივეცით ისრაელს 2012 წლის საკლუბო ჩემპიონატის გამართვის უფლება. მოვიგებთ სასამართლოს თურქეთის ფედერაციის წინააღმდეგაც, რადგან ჩვენთან ყველაფერი გამჭვირვალეა და კანონის ფარგლებში.

>> მე-11 გვერდზე



ეროვნული სახეობები



# ცხენოსნობა... სად? თუ არა კოლხეთში

## სამეგრელო ცხენოსნობის კვალდაკვალ

ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისაგან, ფაქტობრივად, განუყოფელია ცხენოსნობის ტრადიცია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძველ კოლხეთში არსებობდა ცხენის კულტი. ამის შესახებ შემონახულია ცნობები სხვადასხვა წყაროებში, მათ შორის, აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში".

ბოლო დროს ტრადიციის გამოცოცხლება შეინიშნება და სამეგრელოს რამდენიმე რაიონში უკვე ჩატარდა ცხენოსნური შეჯიბრებები. აბაშელების, მარტვილელების, ფოთელების კვალდაკვალ ახლა უკვე ხობელებმა დაუდეს სათავე ეროვნული სახეობების აღორძინებას. რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების თაოსნობით გაიმართა შეჯიბრებები ყაბახსა და მარულაში. ღონისძიებაში მონაწილეობდა 14 ადგილობრივი მხედარი. ყაბახში პირველი ადგილი არავის დაუთმო **ვახტანგ უსანატოვმა** (ნოჯიხევი), მეორე ადგილზე **გიორგი სახეიშვილი** (გურიფული) გავიდა, მესამეზე **მამუკა ქავთარაძე** (ძველი ხიბულა). მარულაში ადგილები ასაე განაწილდა: 1.**სლავა ნაჭყებია** (ახალი ხიბულა), 2. **მამუკა ქავთარაძე** (ძველი ხიბულა), 3. **ლევან ჯალალონია** (ახალი ხიბულა). პირველ ადგილზე გასულ მხედრებს საჩუქრად ველოსიპედები გადაეცათ, მეორე და მესამე ადგილეოსნები კი ფულადი პრიზებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ბესიკ გვაზავა**

ხობიდან

სპორტი და ხელოვნება

# ხედავს, რათა სხვასაც დაანახვოს

ქართველი ქომაგები სპორტის დამსახურებულ ოსტატ **დავით კვაჭაძეს** იცნობენ როგორც სახელოვან მოკრივეს, ევროპის ჩემპიონს (1977 წ.) და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების სამგზის გამარჯვებულს, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილესა და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ 13 წლის განმავლობაში სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ლესგაფტის სახელობის სახელმწიფო სპორტულ აკადემიაში კითხულობდა ლექციებს. სწორედ, იმ პერიოდიდან იწყება მისი ფოტოხელოვნებით გატაცება. და ამ სფეროში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სილამაზეს ხედავს იქ, სადაც სხვები ვერ ამჩნევენ.

- პირველად 1998 წელს ავიღე ხელში ფოტოაპარატი და გადავწყვიტე ფირზე აღმენუსხა მიმალული სილამაზე, სხვათა თვალისთვის შეუმჩნეველი, - გვითხრა დავით კვაჭაძემ. - ვცდილობდი, საკუთარი თემები მეპოვა და სხვებისთვისაც მეჩვენებინა ფოტოობიექტივის თვალით დანახული სამყარო.

და აი, 13 წელიწადია, დავით კვაჭაძემ ჩამოხეული აფიშების ნაკვალები, ქაღალდის ნაფლეთებშერჩენილი თუ სალებავაქერცლილი კედლები სიუჟეტებად აქცია. როგორც ქეთევან კინწურაშვილი შენიშნავს: ყინულში, თოვლზე, ჩრდილში, ჩამონახევებში მისტიკურ ფიგურებს კითხულობს და პოეტის დარად, სამყაროს ჩვენგან განსხვავებული თვალით უყურებს.

სახელოვანი სპორტსმენის არქივში სხვადასხვა ჟანრის, განსხვავებული ხედვის ორი ათასამდე ფოტოსურათი ინახება, რომლებშიც ნათლად ჩანს მათი ავტორის სამყაროსადმი დიდი სიყვარული და ფაქიზი დამოკიდებულება. დავით კვაჭაძეს დღემდე 27 ფოტოგამოფენაში მიუღია მონაწილეობა. ერთ-ერთი გასულ შაბათს თბილისში - აბაშიძის 85-ში გაიხსნა. ახალი ექსპონატები ორი დღის განმავლობაში უამრავმა ადამიანმა დაათვალიერა.

- როცა „სანადიროდ" ვარ განწყობილი, ქუჩაში ყოველთვის მარტოკა დავეხეტები, რომ ეპიზოდი არ გამომეპაროს. ზოგჯერ მიმალული სილამაზის საძებნელად კილომეტრების გავლაც მიწევს... ჩემს სურათებში ბევრი აბსტრაქციაა?.. ჰო, მხატვრობასთან ახლოს არის, - ამბობს სახელოვანი მოკრივე.

**- თუ გიცდიათ, რინგზეც დაგენახათ მსგავსი რამ?**

- იქ უფრო რეალობა სჭარბობს, თუმცა ვინ იცის... ჯერ არ მიცდია.

**- კრივს საერთოდ ჩამოშორდით?**

- არაერთხელ მიცდია დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. შარშან კრივის კლუბი გავხსენით, მაგრამ ის შენობა გაიყიდა და ქუჩაში აღმოვჩნდით. ვნახოთ, იმედს მაინც არ ვკარგავ.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



დავით კვაჭაძე (მარცხნივ) და ჯემალ კვანტალიანი

სნოუბორდი

# დიდი ნდობა გუდაურს

პირველი თოვლის მოსვლა მთელ საქართველოს დაეტყო, გუდაურის განახლებულ სათხილამურო კურორტზე კი სეზონი სიახლეებით დაიწყება. ადრე „ლელო" წერდა, რომ სნოუბორდის ახალშექმნილი კომიტეტი აქტიურად შეუდგა საქართველოში სპორტის ამ ოლიმპიური დისციპლინის განვითარებას სათხილამურო ფედერაციის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსა და თბილისის მერიის გუდაურის განვითარების ფონდის დახმარებით. მათივე თანადგომით 17-20 თებერვალს, გუდაური სნოუბორდში საერთაშორისო შეჯიბრებას უმასპინძლებს 15-ზე მეტი ქვეყნის მონაწილეობით. გუდაურში ამ ასპარეზობის ჩატარებაზე გადაწყვეტილება სამთო-სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ 4 ნოემბერს მიიღო და თავის კალენდარში შეიტანა. საქართველოს სნოუბორდის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მშვილდაძე** და გუდაურის ახალი სამთო მენეჯერი, სერბი **იურიცა სტანკოვიჩი** აღნიშნავენ, რომ გუდაურს და საქართველოს ყველა სათხილამურო კურორტს აქვს პოტენციალი, უმასპინძლოს სხვა უფრო მასშტაბურ შეჯიბრებებს სნოუბორდში.

თებერვალში დაგეგმილი ასპარეზობის მიზანია სნოუბორდის, ასევე ზამთრის სხვა სპორტის სახეობების პროპაგანდა და ჩვენი ქვეყნის კურორტების დემონსტრირება ტურიზმის სფეროში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ დონის შეჯიბრება პირველად ტარდება საქართველოში და ეს ნდობა აუცილებლად გამართლდება. მოწვეული მსაჯები, დელეგატი თუ სხვა მაღალი რანგის სტუმრები კმაყოფილნი დარჩებიან შეჯიბრების დონით, რაც მომავალში სხვა ასევე სოლიდური ასპარეზობების მასპინძლობის საწინდარი გახდება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

ჭადრაკი

# წააგეს და მეოთხეზე ჩამოქვეითდნენ

შარშანწინ მოჭადრაკეთა ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა უშუალო კონკურენტს - რუსეთის გუნდს მოუგო, მაგრამ საბოლოოდ მეტოქეებს თანაბარი ქულები მოუგროვდათ და ჩრდილოელმა მეზობლებმა პირველი ადგილი დამატებითი მაჩვენებლებით მოიპოვეს. ჩვენები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. ამდენად, გუშინ საბერძნეთში 2011 წლის კონტინენტის პირველობაზე დიდ ინტერესს იწვევდა ჩემპიონებისა და ვიცე-ჩემპიონების დაპირისპირება, რომლებიც 4 ტურის შემდეგ 8-8 ქულით მეწინავეობდნენ.

საქართველოს ნაკრებს პირველი ქულა **ნანა ძაგნიძემ** მოუტანა. დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა რუსთა ლიდერს, ხანტი-მანსიისკის საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონ ნადეჟდა კოსინცევას 41-ე სვლაზე გააჩერებინა საათი. **ლელა ჯავახიშვილი** ტატიანა კოსინცევას დაუზავდა, ხოლო **ნაზი პაიკიძე** და **სალომე მელია**, შესაბამისად, ალექსანდრა კოსტენიუკსა და ნატალია პოგონინას დანებდნენ. ამ წაგებით (1,5:2,5) საქართველოს ქალთა ნაკრები მე-4 საფეხურზე ჩამოქვეითდა. ჩვენებს, 10-ქულიანი რუსეთის (15) გარდა, 8-ქულიანმა პოლონეთმა (14) და უკრაინამ (13,5) გაუსწრეს.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ისლანდიას 3:1 აჯობა – **ბაადურ ჯობავა**-სთინ გრეთარსონი 1:0, **ლევან ფანცულაია**-ბრეიჯ თორფინსონი 1:0, **მიხეილ მჭედლიშვილი**-ბიორნ თორფინსონი 1:0, **მერაბ გაგუნაშვილი**-ჰელჯი ოლაფსონი 0:1. ლიდერთა მატჩები: აზერბაიჯანი-საფრანგეთი 2:2, გერმანია-ბულგარეთი 1:3,ესპანეთი-საბერძნეთი 1,5:2,5, რუმინეთი-ჰოლანდია 2,5:1,5, რუსეთი-უკრაინა 2,5:15,დანია-სომხეთი 0,5:3.5. ხუთი ტურის შემდეგ: ბულგარეთი-9(13),რუმინეთი-8(13),აზერბაიჯანი-8 (12,5), საფრანგეთი-8 (12,5), საბერძნეთი-8 (12,5). საქართველოს ნაკრებმა 6 ქულით (13,5) მე-11 ადგილზე აინაცვლა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: **ქალები.** რუსეთი-პოლონეთი, **უკრაინა-საქართველო**, ჩეხეთი-საფრანგეთი, უნგრეთი-სლოვენია, სერბეთი-ჰოლანდია. **ვაჟები.** საფრანგეთი-ბულგარეთი, საბერძნეთი-რუმინეთი, რუსეთი-აზერბაიჯანი, სომხეთი-ესპანეთი, გერმანია-იტალია, ჰოლანდია-პოლონეთი, **სლოვენია-საქართველო.**

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

სუროვი: **ალი ნიხატ იაზიჩის მიაჩნია, რომ თქვენ შორის უთანხმოება ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტის არჩევნებიდან მომდინარეობს, სადაც მეტოქეები იყავით. ეს მართალია?**

**დანაილოვი:** ჩემი მხრიდან, ვერ დაგეთანხმებით. არჩევნების დამთავრების შემდეგ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციასთან ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატის ჩატარებაზე. შეჯიბრებამდე სამი თვით ადრე კი ასპარეზობის გამართვაზე უარი განაცხადეს. მე შემეძლო, სასამართლოში აღმეძრა საკითხი, მაგრამ ეს არ გავაკეთე. კიდევ კარგი, რომ გვერდით დამიდგნენ ქართველი მეგობრები და მაირ მამედოვი, რომლებმაც შეძლეს თბილისში მაღალი საპრიზო ფონდით ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე ჩატარება. გაგვიმართლა კიდეც - სწორედ 2011 წელს იყო ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონების - ნონა გაფრინდაშვილის და მაია ჩიბურდანიძის იუბილეები და ჩვენ შევძელით ისინი სათანადოდ აღგვენიშნა. ასე რომ, ბატონ იაზიჩისთან პირადულად საპირისპირო არაფერი მაქვს. ტელეფონითაც ხშირად ვესაუბრებით ერთმანეთს, ჩვენ მოვიგეთ არჩევნები და გვყავს ოპოზიცია. ეს ნორმალურია. ისინი თავიანთ ინტერესებს იცავენ, ჩვენ - ჩვენსას. თურქეთის ფედერაციას უნდოდა, ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატის გამართვა. ეს უფლება მათთვის არავის წაურთმევია. ჩვენ, უბრალოდ, დავუდასტურეთ; იაზიჩიმ მითხრა, რომ სარეკორდო საპრიზო თანხა ექნებათ - 150 ათასი ევრო. მე ეს მიხარია, მართალია, კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ქალთა ჩემპიონატი გაისად თურქეთში გაიმართება. ჩვენ ჭადრაკისთვის ვიბრძვით...

მე ყოველთვის ერთი მიზანი მამოძრავებდა - ჭადრაკი მექცია პროფესიული სპორტის სახეობად და უფრო მაღალ სიმაღლეზეც ამეყვანა. პროპაგანდა მინდა გავუწიო ჭადრაკს არა მხოლოდ როგორც სპორტის სახეობას, არამედ როგორც კულტურას და ბავშვების აღზრდის საშუალებას...

წინასაარჩევნო პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად ჩავდე „ჭადრაკი სკოლაში". ვიცოდი, რომ გარი კასპაროვს ამერიკაში ფონდი ჰქონდა და სწორედ ამ მიმართულებით მუშაობდა. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის ყველა სკოლაშია შეტანილი ჭადრაკი. ძალიან მინდა, ასე იყოს ევროპაშიც. კასპაროვის დახმარებით შევძელით სკოლაში ჭადრაკის სწავლების საკითხის ევროპარლამენტზე გატანა. გაისად კიდევ ერთხელ განიხილავენ მას და დეპუტატთა 51 პროცენტის ხმა საკმარისია, რათა ევროპის 27 ქვეყანის სკოლებში ჭადრაკი შევიტანოთ როგორც სასწავლო საგანი 6-დან 9 ან 6-დან 12 წლამდე მოსწავლეებისთვის კვირაში ორი საათი.

სუროვი: **როგორც აუცილებელი საგანი?**

**დანაილოვი:** ეს იქნებოდა იდეალური, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გეტყვით. შესაძლოა. როგორც ფაკულტატური საგანი, მაგრამ როგორც ძალუმად რეკომენდებული. ყველაფერი ევროპარლამენტზეა დამოკიდებული. მის შესასწავლად ევროკავშირი ფულს გამოყოფს კულტურისა და განათლების ფონდიდან. თუ ეს მოხდა, ჭადრაკი იქნება არა მარტო სპორტი და თამაში, არამედ სკოლებში როგორც საალმზრდელო საგანი.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ლეგიონერები



ვიქტორ სანიკიძე (N13)

# სანიკიძეს 1 მოხსნა დააკლდა, ვირტუსს 1 ქულა

იტალიის ჩემპიონატის დაწყებიდან ხუთი ტური მიილია. ქართული კვარტეტისთვის ყველაზე უფერული სწორედ ბოლო ტური გამოდგა - ყველამ წააგო და **ვიქტორ სანიკიძის** გარდა სტატისტიკით ვერავინ გამოირჩა.

ვიქტორს ორმაგი დუბლის შესასრულებლად ერთი მოხსნა დააკლდა: 34 წუთში 16 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. მან საწყის სამ პერიოდში ექვსიდან სამი სამქულიანი ჩააგდო, თუმცა ბოლო რაუნდში ორი შორეული ტყორცნა ააცილა. ერთიც რომ გამოეყენებინა, „ვირტუსი" უთუოდ მოიგებდა, რადგან ბოლონიელებმა მეოთხე რაუნდში 10-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და...

საფინალო სირენას წამები უკლდა, როცა საჯარიმოს ხაზთან ვირტუსელი **ტარელ მაკინტაერი** დადგა. ორივე საჯარიმოს ჩაგდების შემთხვევაში ანგარიში გათანაბრდებოდა და მატჩი ოვერტაიმში გადავიდოდა, მაგრამ პირველი ტყორცნა ააცილა და ბოლონიელები 72:73 დამარცხდნენ.

სანიკიძე მატჩის ბომბარდირიც გახდა და თანაგუნდელთა შორისაც ყველაზე სასარგებლო იყო - 15 მქკ.

■ ■ ■

**გიორგი შერმადინისა** და **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" მანუს ყოფილ კლუბ „ბენეტონს" სტუმრად ეთამაშა...

*- მატჩის წინ, დილის ვარჯიშზეც შევნიშნე, რომ კალათბურთელები სათანადო კონდიციებში არ იყვნენ, საკმარისი ენერგია არ ჰქონდათ. ეს შეხვედრამაც დაამტკიცა,* - თქვა „კანტუს" მწვრთნელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ.** შეგახსენებთ, რომ კანტუელებმა მანამდე ევროლიგაზე მძიმე ბრძოლაში დაამარცხეს „ბილბაო", კვირას „ბენეტონთან" კი 55:72 დათმეს.

მარკოიშვილმა 30 წუთში 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. შერმადინმა - 11 წუთში 3 ქულა და 1 დაფარება.

■ ■ ■

„აველინომ" „დინამო სისარისთან" მატჩის შემდეგ მოგებათა რაოდენობა ოთხამდე გაზარდა - სარდინიელები 96:79 დაამარცხა.

დინამოელმა **ნიკა მეტრეველმა** მოედანზე 7 წუთი გაატარა. ამ დროში მხოლოდ 1 მოხსნა ჩაიწერა.

■ ■ ■

„დინამოს" და „ვირტუსს" ორ-ორი მოგების წილ სამ-სამი წაგება აქვთ. „კანტუს" პირიქით - 3 გამარჯვება, 2 მარცხი.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

დღეს 18:00. სპორტის სასახლე. არმია-გოტინგენი

# ევროოდისეის სტარტი

## მასპინძლები, ანუ ფავორიტები

### გოტინგენი

| მოთამაშე | სმ | პოზიცია | დაბ. თარ. | ეროვნება | ყოფ. გუნდი |
|---|---|---|---|---|---|
| 25 დამიან სონდერსი | 200 | ფორვარდი | 1988 | აშშ | დუკენსი (NCAA) |
| 21 პარის ჰორნი | 191 | უკანახაზელი | 1987 | აშშ | სტ. ჯონსი (NCAA) |
| 12 ლუის დეილი | 180 | უკანახაზელი | 1988 | აშშ | გოტინგენი (გერმანია) |
| 32 რაიმონდ საიკსი | 206 | ფორვარდი | 1986 | აშშ | ფოლსი (NCAA) |
| 11 კვადო აჯელეგბე | 187 | უკანახაზელი | 1988 | განა | აიოვა (NCAA) |
| 22 ფილიპ ნოხი | 200 | ფორვარდი | 1989 | გერმანია | ფანტომსი (გერმანია) |
| 24 მაქს ვებერი | 201 | ფორვარდი | 1985 | გერმანია | ბრეივსი (გერმანია) |
| 44 რობერტო მაფრა | 206 | ცენტრი | 1985 | ბრაზილია | პაულისტინო (ბრაზილია) |
| 33 ნიკო ადამჩაკი | 189 | უკანახაზელი | 1990 | გერმანია | ილერტალი (გერმანია) |
| 9 დევიდ მარკერტი | 193 | უკანახაზელი | 1994 | გერმანია | გოტინგენი-იუნ. (გერმანია) |
| 14 მალტე ჰერვიგი | 202 | ცენტრი | 1992 | გერმანია | გოტინგენი-იუნ. (გერმანია) |
| 23 ვიტალის ჩიკოკო | 207 | ცენტრი | 1991 | ზიმბაბვე | გოტინგენი-იუნ. (გერმანია) |

**მწვრთნელი:** სტეფან მიენაკი
**საშუალო სიმაღლე:** 195.76 სმ.
**საშუალო ასაკი:** 23.76

### არმია

| მოთამაშე | სმ | პოზიცია | დაბ. თარ. | ეროვნება | ყოფ. გუნდი |
|---|---|---|---|---|---|
| 10 უილ ტომასი | 203 | ფორვარდი | 1986 | აშშ | ოოსტენდე (ბელგია) |
| 24 სანდიატა გეინსი | 185 | უკანახაზელი | 1986 | აშშ | ნიუ ჯერსი (აშშ) |
| 4 ჯერემი რიჩარდსონი | 200 | ფორვარდი | 1984 | აშშ | ვალენსია (ესპანეთი) |
| 14 იოაკიმ შელბომი | 213 | ცენტრი | 1979 | შვედეთი | ნორჩოპინგი (შვედეთი) |
| 15 გილერმო დიასი | 188 | უკანახაზელი | 1985 | პუერტო რიკო | არეჩიბო (პუერტო რიკო) |
| 9 ბუბა კვიმსაძე | 195 | უკანახაზელი | 1982 | საქართველო | ქუთაისი |
| 21 დავით საყვარელიძე | 201 | ფორვარდი | 1986 | საქართველო | არმია |
| 12 ლევან მოსეშვილი | 195 | ფორვარდი | 1987 | საქართველო | არმია |
| 6 ანატოლი ბოისა | 195 | უკანახაზელი | 1983 | საქართველო | არმია |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი | 199 | ფორვარდი | 1978 | საქართველო | არმია |
| 13. რევაზ ათანელიშვილი | 207 | ცენტრი | 1986 | საქართველო | არმია |
| 23 გიორგი შარაბიძე | 210 | ცენტრი | 1990 | საქართველო | არმია |
| 7 ვახტანგ მინაშვილი | 200 | ფორვარდი | 1979 | საქართველო | არმია |
| 8 ბუბა ბერიშვილი | 183 | უკანახაზელი | 1983 | საქართველო | არმია |

**მწვრთნელი:** კოტე ტულუში
**საშუალო სიმაღლე:** 198.14 სმ.
**საშუალო ასაკი:** 27.14




დღეს ევროჩელენჯის წლევანდელ გათამაშებაში მეორე ქართული გუნდი ჩაერთვება. ოქტომბრის დასაწყისში „სოხუმმა" „მინსკის" ბარიერი ვერ დაძლია და გათამაშებას გამოეთიშა. საქართველოს ჩემპიონი „არმია" ნილისყრისას ჯგუფში მოხვდა და ექვსმატჩიან ევროოდისეას 8 ნოემბრიდან იწყებს. პირველ ჯგუფურ ეტაპზე თითო გუნდს სწორედ ექვსი მატჩის ჩატარება მოუწევს (3 შინ, 3 გარეთ), მომდევნო ეტაპზე ყოველი ჯგუფიდან ორ-ორი საუკეთესო გავა. მეორე ეტაპზე მოხვედრისთვის არმიელებს დღეს „გოტინგენთან" მოგება სჭირდებათ. მართალია, გერმანელებს შედარებით ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ევროტურნირებზე სუსტი გუნდები ვერ ხვდებიან.

აქვე გეტყვით - მატჩზე დასწრება უფასოა.

## არმია

საქართველოს ჩემპიონი ოქტომბრის დასაწყისში სლოვენიაში შეიკრიბა, შინ დაბრუნებულმა გუნდმა საქართველოს ჩემპიონატში გაიარა საევროჩელენჯო რეპეტიცია. ჯერ „დინამოს" შეხვდა, შემდეგ - „ქუთაისს", გასულ შაბათს - შსს-ს.

განვლილი შეხვედრები ოპტიმიზმის საფუძველს ბადებს - მწვრთნელ **კოტე ტულუშს** მართლაც კარგი შემადგენლობა ჰყავს შერჩეული: გუნდის ძრავი ნიუჯერსელი **სანდიატა გეინსია**, მას ფლანგებიდან **ჯერემი რიჩარდსონი** და **გილერმო დიასი** ეხმარებიან. შავ სამუშაოსაც შესანიშნავად ასრულებს და ქულების სიუხვითაც გამოირჩევა მძიმე ფორვარდი **უილიამ ტომასი**. ცენტრის პოზიციაზე კი შვედი **იოაკიმ კიელბომია**.

გუშინდელი ვარჯიშის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ კალათბურთელებს შორის ურთიერთგაგება მაღალ დონეზეა და თითოეული მათგანი საბრძოლველადაა შემართული. ამას **ზვიად ბაბიაშვილის** სიტყვებიც ადასტურებს:

*- 8 ნოემბერი ქართული კალათბურთისთვის ისტორიული დღეა. აქამდეც გვითამაშია ევროჩელენჯზე, მაგრამ ასეთი ამბიციებით აქამდე არ გამოვსულვართ - ძლიერი გუნდი გვყავს და მაღალ მიზნებს ვისახავთ. „გოტინგენთან" მატჩის წინ გუნდში კარგი განწყობაა. თითოეული კალათბურთელი შედეგიანი თამაშისთვის ვემზადებით, რამაც საერთო შედეგი უნდა მოგვცეს. თუმცა, ისიც კარგად ვიცით, რომ გამარჯვება იოლი არ იქნება, რადგან მეტოქეს კარგი გუნდი ჰყავს და სწრაფ კალათბურთს თამაშობს.*

გასულ სეზონში ბელგიურ „მონსთან" ერთად ევროჩელენჯის ოთხთა ფინალში ნათამაშები უილ ტომასიც იმედიანად ლაპარაკობს:

*- ქართული გუნდი პირველად თამაშობს ევროჩელენჯის ჯგუფურ ეტაპზე, ამიტომ ვეცდებით, რაც შეიძლება კარგად წარმოვაჩინოთ ჩვენი გუნდი. კარგი შემადგენლობაა შეკრებილი. ამაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ შევთამაშდით და საერთო ენა გამოვნახეთ. რაც შეეხება „გოტინგენთან" მატჩის პროგნოზს, უპირატესობა ჩვენს მხარესაა - „არმია" მასპინძელია. თუმცა, მხოლოდ მასპინძლის სტატუსი გამარჯვებისთვის საკმარისი არ არის, აუცილებელია გუნდური და ენერგიული თამაში.*

## კოტე ტულუში: მზად ვართ

„არმიის" მწვრთნელი, კოტე ტულუში ქართველ ქომაგს მოუწოდებს, ყველა საქმე გადადოს და სპორტის სასახლეში მოვიდეს, რადგან გუნდს მხარდაჭერა სჭირდება.

- მძიმე თამაში გველის, „გოტინგენი" ძლიერი გუნდია, 2010 წელს ევროჩელენჯი აქვს მოგებული. მას შემდეგ შემადგენლობა კი შეიცვალა, მაგრამ დღესაც არაერთი კარგი ლეგიონერია.

**- გერმანიის ჩემპიონატი გუნდმა არადამაჯერებლად დაიწყო...**

- ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან გერმანიის პირველობა მაღალი დონისაა და იქ უამრავი თანაბარი ძალის გუნდია თავმოყრილი.

**- „არმია" რამდენად მზადაა მატჩისთვის?**

- შეკრების დაწყებიდან ამ შეხვედრისთვის ვემზადებით. მთელი დატვირთვით ვვარჯიშობთ და ვფიქრობ, „გოტინგენთან" სათამაშოდ მზად ვართ.

**- საქართველოს ჩემპიონატის მატჩები როგორ დაგეხმარათ საევროპედ მოსამზადებლად?**

- ვეცადეთ, სამივე მატჩი მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. ყველა მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია.

## გოტინგენი

„არმიის" ვარჯიშის დასრულებისთანავე მოედანზე „გოტინგენი" გამოვიდა. გუნდს ორი ჟურნალისტი შემოუძღვა და პირველი ის გვკითხა: ეს დარბაზი ხვალ ბოლომდე გაივსებაო? დადებითი პასუხი რომ მიიღო, დაზუსტება სცადა - 10 ათასი მაყურებელს იტევსო?

გერმანელ კოლეგებთანაც და მთავარ მწვრთნელთანაც საუბრის მთავარი თემა ერთი კვირის წინ მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა იყო, რომლის შედეგად დაიღუპნენ გუნდის უკანახაზელის **მარკო გრიმალდის** და და შეყვარებული. ცხადია, კალათბურთელი შოკშია და საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

- გრიმალდისთან ერთად დაგვაკლდება გამთამაშებელი კაილ ბეილი, რომლის საცოლეც იმ მანქანაში იჯდა, რომელსაც საგზაო შემთხვევა მოუვიდა. საერთოდ, ამ ტრაგედიამ გუნდზე უარყოფითად იმოქმედა, მენტალურად ძალიან ძნელი იყო რეაბილიტაცია და სათანადოდ მომზადება, - თქვა „გოტინგენის" თავკაცმა **სტეფან მიენაკმა.**

**- „არმიაზე" რა ინფორმაციას ფლობთ?**

- დიდი პატივისცემით მინდა ვილაპარაკო როგორც თქვენს ქვეყანაზე, ასევე საკალათბურთო კლუბზე. ახალი სეზონის წინ „არმიაში" არაერთი მაღალი დონის კალათბურთელი გამოჩნდა და გუნდი ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

**- უშუალოდ თბილისურ მატჩზე რას იტყვით?**

- გასვლითი შეხვედრა გვაქვს ძლიერ გუნდთან. ამიტომ, მაქსიმუმი უნდა გავილოთ შედეგის მისაღწევად. გამარჯვებულის ვინაობაზე რა მოგახსენოთ, ერთის თამამად თქმა კი შეიძლება - საინტერესო თამაში უნდა გამოვიდეს.

**- გერმანიის ჩემპიონატი არადამაჯერებლად დაიწყეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

- ახალგაზრდული გუნდი გვყავს, შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა, ჩამოვიყვანეთ კალათბურთელები ამერიკის კოლეჯების ლიგიდან და შეთამაშებისთვის დრო გვჭირდება. თამაშის ხარისხს ნელ-ნელა ვაუმჯობესებთ.

ლეგიონერი



# ერთპიროვნულად

**თორნიკე შენგელიას** „ლუვენთან" თავისი ანგარიში ჰქონდა - გასულ სეზონში მისი „პეპინსტერი" სწორედ „ლუვენთან" ბოლო ტურის მატჩში შინ დამარცხების გამო ვერ მოხვდა პლეი ოფში.

შაბათს შენგელიამ ახალი კლუბის „შარლერუას" მაისურით ითამაშა „ლუვენის" წინააღმდეგ და ამჯერედაც გაუჭირდა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტმა შარლეტუელებმა მეტოქე მაინც დაამარცხეს - 64:59. პირველი ტაიმის დამაჯერებლად მოგების შემდეგ (38:27) მასპინძლები მოდუნდნენ და მესამე პერიოდში „ლუვენს" 23:11 მოგების უფლება მისცეს. შესაბამისად, მეოთხე პერიოდის წინ სტუმრები 50:49 დაწინაურდნენ. საბოლოო ანგარიში უკვე მოგახსენეთ...

თორნიკე ჰილთან, ჰემილტონთან, მალესთან და ბეგინთან ერთად სასტარტო იყო, თუმცა მატჩის საუკეთესო კალათბურთელი სათადარიგო კალებ გრინი გახდა, რომელმაც 15 ქულა მოაგროვა. თორნიკემ 21 წუთი ითამაშა, 8 ქულა, 5 მოხსნა და თითო პასი-მოხსნა-ჩაჭრა მოაგროვა. მის ანგარიშზე 2 ორქულიანი (ხუთიდან), 1 სამიანი (სამიდან), 1 საჯარიმო (ორიდან).

ბოლო ტურში ანტვერპენში წააგო „აალსტარმა", რომელთანაც „შარლერუა" სატურნირო ცხრილის ლიდერობას იყოფდა. შესაბამისად, „აალსტარი" მეორეზე ჩამოქვეითდა (4 მოგება, 2 წაგება), ხოლო „შარლერუა, ერთპიროვნული ლიდერია - 5 გამარჯვება, 1 მარცხი.

თორნიკეს თანაგუნდელებს უახლოესი მატჩი 10 ნოემბერს ევროლიგაზე ელით. მათი მეტოქე დაჭრილი „მილანი" იქნება, რომელმაც ბოლო ტურში შინ დათმო „ეფესთან" (54:62).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

V ტური
SEASON 2011/12

11 ნოემბერი
რუსთავი
რუსთავი-თსსუ 15:00

11 ნოემბერი. ბათუმი
ბათუმი-სოხუმი 17:00

12 ნოემბერი
სპორტის სასახლე
ოლიმპი-ქუთაისი 14:00
დინამო-შსს 16:00
არმია-თსუ 18:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ქართული ლეგიონის უიღბლო უქმეები

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-10 ტურის სამი შეხვედრა გადაიდო. მათ შორის - ქართველ მორაგბეთა გუნდების, „ტულონის“, „მონპელიეს“, „ლიონისა“ და „აჟენის“. დანარჩენი „ქართული გუნდებისთვის“ კი ეს ტური წარუმატებელი გამოდგა.**

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა“ სტუმრად ითამაშა პარიზში „სტად ფრანსესთან“ და 16:37 წააგო. „ვულკანებმა“ თამაში კარგად დაიწყეს და მე-20 წუთისთვის 9:5-ს იგებდნენ. აქედან მოყოლებული მასპინძელთა უპირატესობა სულ უფრო გამოკვეთილი გახდა და 30 წუთის შემდეგ პარიზელები უკვე 21 ქულის სხვაობით იგებდნენ - 30:9.

„სტად ფრანსეს“ შემადგენლობაში საუკეთესო იყო არგენტინის ნაკრების ვეტერანი მგეზავი, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონდან“ გადაბარგებული **ფელიპე კონტეპომი**, რომელმაც გუნდს 17 ქულა მოუტანა (ერთი ლელო, ორი საჯარიმო და სამი გარდასახვა). ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს.

„კლერმონმა“ ამ მარცხის გამო ლიდერობა დაკარგა და ახლა 35 ქულით მეორე ადგილზეა. მას ერთი ქულით უსწრებს ქვეყნის ჩემპიონი „ტულუზი“.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ მოულოდნელად სტუმრად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოსთან“ - 9:24. კასტრელებმა თავიანთ შესაძლებლობებზე აშკარად უარესად ითამაშეს და მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ. ფეიქრიშვილი თამაშში 47-ე წუთიდან ჩაერთო.

**დავით ხინჩაგიშვილის, ვასილ კაკოვინისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივმა“ შინ წააგო „მეტრო რასინგთან“ - 12:18. პირველი ტაიმი რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით 3:3 დასრულდა. მეორეში სტუმრებმა ოდნავ უკეთ ითამაშეს და მასპინძლებზე ორით მეტი საჯარიმო გაიტანეს.

ნატრიაშვილმა სრულად ითამაშა, კაკოვინი კი 55-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა შეცვალა.

**გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონის“ საშინაო **მატჩი მამუკა გორგოძის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიესთან“ გადაიდო. არ უთამაშიათ, ასევე, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონსა“ და **ბექა შეყლაშვილის** „აჟენსაც“.

**I დივიზიონი**

**X ტური**

ბრივი-მეტრო რასინგი 12:18, ტულუზი-პერპინიანი 21:17, ბორდო-კასტრი 24:9, სტად ფრანსე-კლერმონი 37:16, ლიონი-მონპელიე (გადაიდო), ტულონი-აჟენი (გადაიდო), ბიარცი-ბაიონი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულუზი - 36 ქულა, 2. კლერმონი - 35, 3. კასტრი - 31, 4. ტულონი - 28, 5. მეტრო რასინგი - 25, 6. აჟენი - 24, 7. სტად ფრანსე - 21, 8. ბრივი - 19, 9. პერპინიანი - 19, 10. ბორდო - 17, 11. ბაიონი - 15, 12. მონპელიე - 14, 13. ლიონი - 12, 14. ბიარიცი - 10.

**XI ტური**

აჟენი-ბორდო, ბაიონი-ლიონი, ბრივი-ტულუზი, კასტრი-ტულონი, მონპელიე-კლერმონი, პერპინიანი-სტად ფრანსე, მეტრო რასინგი-ბიარიცი.

მეორე დივიზიონში უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები მოიპოვეს ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „ორიაკმა“, პომ“ და „ტარბიმ“. **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა“ შინ დაამარცხა დივიზიონის დებიუტანტი, **თედო ზიბზიბაძისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „პერიგო“ - 15:9.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი მე-40 წუთზე შეცვალეს, ასეიშვილმა მოედანი 13 წუთის შემდეგ დატოვა, მარგველაშვილი თამაშში მე-16 წუთიდან ჩაერთო და 11 წუთის შემდეგ გაასინბინეს, ზიბზიბაძე განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა“ შინ დაამარცხა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“ - 15:9. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს, მირცხულავასა და მენაბდიშვილს არ უთამაშიათ.

**ზერო პეტრიაშვილისა** და **დავით ლოსაბერიძის** „პომ“ შინ დაამარცხა „მონ დე მარსანი - 24:15. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშით.

**კახაბერ კობერიძის** „ალბიმ“ სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „დაქსთან“ - 9:15. კობერიძე განაცხადში არ იყო. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო სატურნირო მდგომარეობა გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლს“ აქვს, რომელც 28 ქულით მე-3 ადგილზეა. საპლეიოფო ხუთეულში შესვლის შანსი კი ჩვენებურთა გუნდებიდან დღესდღეობით „ალბისა“ და „პოს“ აქვს.

**II დივიზიონი**

**IX ტური**

ოში-ბეზიე 21:13, ორიაკი-პერიგო 15:9, კარკასონი-ოიონაქსი 21:19, ლა როშელი-ნარბონი 54:10, პო-მონ დე მარსანი 24:15, ტარბი-გრენობლი 15:9, დაქსი-ალბი 15:9, ექსი-ბურგუენი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოიონაქსი - 31 ქულა, 2. დაქსი - 30, 3. გრენობლი - 28, 4. ლა როშელი - 23, 5. ექსი - 23, 6. კარკასონი - 23, 7. ალბი - 22, 8. პო - 22, 9. მონ დე მარსანი - 21, 10. ტარბი - 21, 11. ბურგუენი - 19, 12. ოში - 18, 13. ორიაკი -16, 14. ნარბონი - 15, 15. ბეზიე - 10, 16. პერიგო - 9.

**სატურნირო მდგომარეობა**

ალბი-ექსი, ოში-ლა როშელი, ბეზიე-პერიგო, ნარბონი-გრენობლი, პო-კარკასონი, ოიონაქსი-დაქსი, ბურგუენი-ტარბი, მონ დე მარსანი-ორიაკი.

**ბესიკ ჯანგავაძე**


ბურთით ლევან დათუნაშვილი

ინტერვიუ ირაკლი ჩხიკვაძესთან



# რაგბიში გვიან მისული

**ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ ქუთაისის „აიადან“ ერთადერთი მორაგბე, 23 წლის უკანახაზელი ირაკლი ჩხიკვაძე მოხვდა. მსოფლიოს თასზე რუმინეთთან მოგებულ მატჩში მხოლოდ 8 წუთი ითამაშა, თუმცა მიაჩნია, რომ ნაკრებში დიდი გამოცდილება შეიძინა. ახალგაზრდა მორაგბე მსოფლიო თასის შემდეგ კლუბს შეუერთდა და „აიასთან“ ერთად დიდი ფინალის საგზური მოიპოვა.**

**- თავიდან კარიერის საწყის წლებზე ვისაუბროთ, რაგბით როდის დაინტერესდით?**

- სიმართლე გითხრათ, ადრეულ ასაკში რაგბით ალტაცებული არ ვყოფილვარ. სპორტის ბევრი სახეობა მოვიარე, ფეხბურთზეც დავდიოდი, წყალბურთზეც და კარატეზეც, თუმცა გული ვერც ერთს ვერ დავუდე. ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, ბოლოს კი შემთხვევით რაგბიში მოვხვდი და იქ დავმკვიდრდი. რაგბის თამაში საკმაოდ გვიან, 13 წლისამ დავიწყე და ეს ჩემი მეგობრების დამსახურებაა. ისინი „აიას“ ასაკობრივ გუნდში თამაშობდნენ. ერთხელ მათ პაექრობას დავესწარი, ის მატჩი ჩემმა მეგობრებმა წააგეს, რაც ძალიან განვიცადე და გადავწყვიტე, ჩემებს მოვხმარებოდი..

**- შეგუება არ გაგიჭირდათ?**

- ასაკთან შედარებით კარგი ფიზიკური მონაცემები მქონდა და ოვალური ბუთით თამაშიც მალე ავითვისე. თანაც „აიას“ ახალგაზრდულ გუნდში შესანიშნავი გარემო დამხვდა. კარგი მწვრთნელი და თანაგუნდელები მყავდა, რომლებმაც მეგობრულად მიმიღეს და რაგბი შემაყვარეს. პირველი მწვრთნელი მალხაზ ჩხეტიანი გვერდით დამიდგა და სპორტის ამ სახეობის ყველა ნიუანსი შემასწავლა. რაგბი ისეთი თამაშია, პირველი კვირა თუ გაძელი, მერე ველარ შეეშვები.

**- საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკში რუსეთში მოგიწია გამგზავრებამ, სადაც რაგბი ლიგას თამაშობდი...**

- „აიას“ ახალგაზრდულ გუნდში ვიყავი, როცა ჩემი მშობლები რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად და მეც წამიყვანეს. ჩემი სპორტული კარიერაც იქ გაგრძელდა. სამი წელიწადი რაგბი ლიგა ვითამაშე. ჯერ ტოლებში, ერთი წლის შემდეგ კი „ლოკომოტივის“ ძირითად გუნდშიც მოვხვდი და ორჯერ რუსეთი ჩემპიონი, ერთხელ კი თასის მფლობელი გავხდი. რუსეთში ასპარეზობისას საქართველოს რაგბის კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და ეროვნულ ნაკრებში თამაში შემომთავაზა. იმ დროს რუსეთის რაგბი ლიგის ნაკრებში ვირიცხებოდი. ჩვენს ნაკრებში მიწვევა ძალიან გამიხარდა და საქარველოში პირველივე დაძახებაზე წამოვედი.

**- საქართველოს ნაკრებში დებიუტს როგორ გაიხსენებდით?**

- ეს იყო „ჩილესთან“ ტესტმატჩი. მწვრთნელებმა ბოლო 10 წუთი მათამაშეს. მას შემდეგ ეროვნულ გუნდში დაახლოებით 21 კეპი მაქვს მოხვეჭილი.

**- წლეულს ნაკრების ფორმა ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასზეც მოირგე...**

- ვფიქრობ, „აიადან“ რამდენიმე მორაგბეს თავისუფლად შეეძლო ნაკრებში მოხვედრა, მაგრამ მწვრთნელის გადაწყვეტილებით ახალ ზელანდიაში მხოლოდ მე წამიყვანეს. მსოფლიოს თასზე კი ვიყავი, მაგრამ თავის გამოჩენის საშუალება, ფაქტობრივად, არ მომეცა. რუმინეთთან მხოლოდ ბოლო რვა წუთი ვითამაშე. მიუხედავად ამისა, ეს ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო. მსოფლიოს თასზე თამაში ყველა მორაგბის ოცნებაა და იქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვიყავი. თანაც, ახალ ზელანდიაში ძალიან თბილად მიგვიღეს, ჩვენ მიმართ რალაც საუცხოო ყურადღება იყო.

**- „აიას“ დავუბრუნდეთ და ის გავიხსენოთ, ქუთაისურ გუნდს როდის დაუბრუნდით...**

- რუსეთიდან წამოსვლის შემდეგ ცოლი შევირთე. თანაც, ამ დროს ახალგაზრდულ ნაკრებში ტრავმა მივიღე და რვა თვე გამიცდა, შემდეგ რუსეთთან სიტუაციაც დაიძაბა და იქ დაბრუნება აღარ ღირდა. ასე შემოვრჩი ქუთაისს. რეაბილიტაციის შემდეგ უქმად რომ არ ვყოფილიყავი, „აიაში“ ვვარჯიშობდი და მალე გუნდის წევრიც გავხდი. როგორც შემდგომ გამოჩნდა, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. მართალია, თავიდან პირობები არ იყო და ენთუზიაზმზე ვთამაშობდით, მაგრამ დღეს უკვე საკმაოდ ნორმალური პირობები გვაქვს და გუნდიც წარმატებით ასპარეზობს.

**- სამი წელიწადია, რაც „აიაში“ თამაშობ, რა შეიცვალა გუნდში ამ ხნის განმავლობაში?**

- მოდით, იქედან დავიწყოთ, რომ ეს გუნდი უმაღლესიდან დაქვეითებული იყო. მორაგბეებმა, რომლებიც „აიაში“ დღესაც თამაშობენ, ბევრი იშრომეს და გუნდი უმაღლეს ლიგაში დააბრუნეს. საუკეთესოებში მოხვედრის შემდეგ კი გაჩნდა პერსპექტივა და ფინანსური მხარდაჭერა. ჩვენი გუნდიც დღითიდღე უმატებს და პროგრესის გზას ადგას. შარშანდელი პირველობის შემდეგ, რომელიც მეოთხე ადგილზე დავამთავრეთ, თითოეული ჩვენგანი გაიზარდა და წლეულს უკეთესად ვიასპარეზეთ. რეგულარულ ჩემპიონატში პირველ ადგილზე გავედით.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩოგბურთი. ფედერაციის თასი


მსოფლიოს ჩემპიონი

# სუპერჩეხები

გასული კვირა მდიდარი იყო საჩოგბურთო მოვლენებით, რომელთაგანაც გამორჩეული გახლდათ ქალთა გუნდური ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალი მოსკოვში. რუსეთის ნაკრებმა შინ მიიღო ჩეხეთი და ვერ შეძლო საკუთარი მოედნის ფაქტორის გამოყენება.

პირველი დღის შემდეგ საერთო ანგარიში იყო - 1:1. კვირას პირველები კორტზე გუნდების ლიდერები - **სვეტლანა კუზნეცოვა** და მსოფლიოს მეორე ჩოგანი - **პეტრა კვიტოვა** გამოვიდნენ. რუსმა უკეთ დაიწყო შეხვედრა და უიმბლდონის ჩემპიონს პირველი სეტი 6:4 მოუგო, მეორეში კი კვიტოვა დომინირებდა და მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო კუზნეცოვას.

გადამწყვეტ პარტიაში ჩეხეთის ნაკრები სერიოზული საფრთხის წინაშე დადგა, რადგან კუზნეცოვამ 3:0 წაიყვანა ანგარიში. მასპინძლებისთვის ამ შეხვედრის მოგება, პრაქტიკულად ტიტულის მოგებას ნიშნავდა, მაგრამ კვიტოვამ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა - ზედიზედ ექვსი გეიმი აილო და მეორე ქულა მოუტანა თავის გუნდს.

ამის შემდეგ კორტი გუნდების მეორე ნომრებს - **ანასტასია პავლიუჩენკოვასა** და **ლუსი საფაროვას** დაეთმოთ. საფაროვა ცუდ ფორმაში შეხვდა ფინალს და ორი დღის განმავლობაში მეორე მატჩი წააგო.

პავლიუჩენკოვამ პირველ სეტში ორი ბრეიკი გააკეთა, მეორეში - ერთი და ამის ხარჯზე იოლად მოიგო - 6:2, 6:4. ფინალში ანგარიში კიდევ ერთხელ გათანაბრდა - 2:2 და ყველაფერი წყვილების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა.

გადამწყვეტი მატჩი რუსების დუეტმა - **მარია კირილენკომ** და **ელენა ვესნინამ** კარგად დაიწყო - მეხუთე გეიმში ბრეიკი გააკეთა და 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ეს მასპინძლების ბოლო წარმატება აღმოჩნდა მატჩში. ჩეხებმა - **ლუსი ჰრადეცკამ** და **კვეტა პეშკემ** ზედიზედ ოთხი გეიმი აილეს და სეტი 6:4 მოიგეს.

მეორე პარტია სტუმრებისთვის უფრო იოლად წარიმართა - პეშკემ და ჰრადეცკამ ნაადრევი ბრეიკით 3:1 წაიყვანეს ანგარიში, 4:2-ზე კი ზედიზედ ორი გეიმი მოიგეს და მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს - 6:4, 6:2.

ჩეხეთმა ფედერაციის თასის ფინალი 3:2 მოიგო და თავისი არსებობის ისტორიაში პირველად დაეუფლა ამ პრესტიჟულ პრიზს.

| რუსეთი-ჩეხეთი | 2:3 |
|---|---|
| 0:1 კირილენკო-კვიტოვა | 2:6, 2:6 |
| 1:1 კუზნეცოვა-საფაროვა | 6:2, 6:3 |
| 1:2 კუზნეცოვა-კვიტოვა | 6:4, 2:6, 3:6 |
| 2:2 პავლიუჩენკოვა-საფაროვა | 6:2, 6:4 |
| 2:3 კირილენკო/ვესნინა ჰრადეცკა/პეშკე | 4:6, 2:6 |

# ბოლო ტურნირი ანამ მოიგო

ინდონეზიის დედაქალაქ ბალიში კი სერბი **ანა ივანოვიჩის** ტრიუმფით დასრულდა საჩვენებელი ტურნირი, რომელშიც რვა ჩოგბურთელი იღებდა მონაწილეობას.

ფინალში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის მეტოქე გამოცდილი ესპანელი **ანაბელ მედინა გარიგესი** იყო. მატჩის წინ ორგანიზატორებმა ივანოვიჩს 24-ე დაბადების დღე მიულოცეს, თუმცა ანამ ყველაზე კარგი საჩუქარი თავად გაუკეთა საკუთარ თავს.

გადამწყვეტ მატჩში მან მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენა და ერთი შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. სერბმა პირველი სეტის მეორე გეიმში გააკეთა ბრეიკი, მალე სოლიდური უპირატესობა მიიღო - 5:2 დაწინაურდა და პირველი პარტია 6:3 მოიგო.

მეორე სეტში კი მედინა გარიგესმა საერთოდ შეწყვიტა ბრძოლა და „მშრალი" ანგარიშით წააგო პარტია, სულ კი მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ბრეიკ-პოინტიც არ ჰქონია. 6:3, 6:0 გაიმარჯვა ივანოვიჩმა და სეზონში პირველი, კარიერაში კი მე-11 ტიტული აილო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ანა ივანოვიჩი

## ჩოგბურთი. WTA-ის ტური

# სეზონის ყველა ფინალი

**ბრისბენი, ავსტრალია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 6:1, 6:3

**ოკლენდი, ახალი ზელანდია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
გრეტა არნი (უნგ)-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:3, 6:3

**სიდნეი, ავსტრალია**
**საპრიზო ფონდი:** $618 000; **საფარი:** ჰარდი
ნა ლი (ჩინ)-კიმ კლაისტერსი (ბელ) 7:6(3), 6:3

**ჰობარტი, ავსტრალია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:4, 6:3

**ავსტრალიის ღია**

**მელბურნი, ავსტრალია**
კიმ კლაისტერსი (ბელ)-ნა ლი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:3

**პარიზი, საფრანგეთი**
**საპრიზო ფონდი:** $618 000; **საფარი:** ჰარდი
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-კიმ კლაისტერსი (ბელ) 6:4, 6:3

**პატაია სიტი, ტაილანდი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)-სარა ერანი (იტა) 6:0, 6:2

**დუბაი, საემირატები**
**საპრიზო ფონდი:** $2 050 000; **საფარი:** ჰარდი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) 6:1, 6:3

**მემფისი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)-რებეკა მარინო (კან) 6:2, უარი

**ბოგოტა, კოლუმბია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)-მატილდ იოჰანსონი (საფ) 2:6, 6:3, 6:2

**დოჰა, კატარი**
**საპრიზო ფონდი:** $721 000; **საფარი:** ჰარდი
ვერა ზვონარევა (რუს)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:4, 6:4

**აკაპულკო, მექსიკა**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ხისელა დულკო (არგ)-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:3, 7:6(5)

**მონტერეი, მექსიკა**
ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს)-ელენა იანკოვიჩი (სერ) 2:6, 6:2, 6:3

**კუალა ლუმპური, მალაიზია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ელენა დოკიჩი (ავსტრა)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 2:6, 7:6(9), 6:4

**ინდიან უელსი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $4 500 000; **საფარი:** ჰარდი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-მარიონ ბარტოლი (საფ) 6:1, 2:6, 6:3

**მაიამი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $4 500 000; **საფარი:** ჰარდი
ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:1, 6:4

**ჩარლსტონი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $721 000; **საფარი:** გრუნტი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-ელენა ვესნინა (რუს) 6:2, 6:3

**მარბელა, ესპანეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 6:3, 6:2

**შტუტგარტი, გერმანია**
**საპრიზო ფონდი:** $721 000; **საფარი:** გრუნტი
იულია გორჯესი (გერ)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 7:6(3), 6:3

**ფესი, მაროკო**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ალბერტა ბრიანტი (იტა)-სიმონა ჰალეპი (რუმ) 6:4, 6:3

**ბარსელონა, ესპანეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
რობერტა ვინჩი (იტა)-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 4:6, 6:2, 6:2

**ესტორილი, პორტუგალია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:1, 6:2

**მადრიდი, ესპანეთი**
**საპრიზო ფონდი:** $4 500 000; **საფარი:** გრუნტი
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 7:6(3), 6:4

**რომი, იტალია**
**საპრიზო ფონდი:** $2 050 000; **საფარი:** გრუნტი
მარია შარაპოვა (რუს)-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:2, 6:4

**ბრიუსელი, ბელგია**
**საპრიზო ფონდი:** 618 000 ევრო; **საფარი:** გრუნტი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-შუაი პენგი (ჩინ) 2:6, 6:3, 6:3

**სტრასბური, საფრანგეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 6:4, 1:0 უარი

**როლან გაროსი**

**პარიზი, საფრანგეთი**
ნა ლი (ჩინ)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 6:4, 7:6(0)

**ბირმინგემი, ბრიტანეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ბალახი
საბინ ლისიცკი (გერ)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:3, 6:2

**კოპენჰაგენი, დანია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:1, 6:4

**ისტბურნი, ბრიტანეთი**
**საპრიზო ფონდი:** $618 000; **საფარი:** ბალახი
მარიონ ბარტოლი (საფ)-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:1, 4:6, 7:5

**ს-ჰერტოგენბოში, ჰოლანდია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ბალახი
რობერტა ვინჩი (იტა)-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:7(7), 6:3, 7:5

**უიმბლდონი**

**ლონდონი, ბრიტანეთი**
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:3, 6:4

**ბუდაპეშტი, უნგრეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
რობერტა ვინჩი (იტა)-ირინა-კამელია ბეგუ (რუმ) 6:4, 1:6, 6:4

**ბასტადი, შვედეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:4, 7:5

**პალერმო, იტალია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:3, 6:2

**ბად გასტაინი, ავსტრია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** გრუნტი
მ-ხ. მარტინეს სანჩესი (ესპ) 6-0, 7-5 პატრისია მეირი (ავსტრია)

**ბაქო, აზერბაიჯანი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ვერა ზვონარევა (რუს)-ქსენია პერვაკი (რუს) 6:1, 6:4

**სტენფორდი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $721 000; **საფარი:** ჰარდი
სერენა უილიამსი (აშშ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 7:5, 6:1

**ვაშინგტონი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ნადია პეტროვა (რუს)-შაარ პეერი (ისრ) 7:5, 6:2

**სან დიეგო, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $721 000; **საფარი:** ჰარდი
აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-ვერა ზვონარევა (რუს) 6:3, 6:4

**ტორონტო, კანადა**
**საპრიზო ფონდი:** $2 050 000; **საფარი:** ჰარდი
სერენა უილიამსი (აშშ)-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:4, 6:2

**ცინცინატი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $2 050 000; **საფარი:** ჰარდი
მარია შარაპოვა (რუს)-ელენა იანკოვიჩი (სერ) 4:6, 7:6(3), 6:3

**ნიუ ჰეივენი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $618 000; **საფარი:** ჰარდი
კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ) 6:4, 6:1

**დალასი, აშშ**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
საბინ ლისიცკი (გერ)-არავან რეზაი (საფ) 6:2, 6:1

**აშშ-ის ღია**

**ნიუ იორკი, აშშ**
სამანტა სტოსური (ავსტრა)-სერენა უილიამსი (აშშ) 6:2, 6:3

**ტაშკენტი, უზბეკეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ქსენია პერვაკი (რუს)-ევა ბირნეროვა (ჩეხ) 6:3, 6:1

**კვებეკი, კანადა**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 4:6, 6:1, 6:0

**სეული, კორეა**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
მ-ხ. მარტინეს სანჩესი (ესპ)-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 7:6(0), 7:6(2)

**გუანჯოუ, ჩინეთი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
შანელ სხეპერსი (ს. აფრ)-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 6:2, 6:2

**ტოკიო, იაპონია**
**საპრიზო ფონდი:** $2 050 000; **საფარი:** ჰარდი
აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-ვერა ზვონარევა (რუს) 6:3, 6:2

**პეკინი, ჩინეთი**
**საპრიზო ფონდი:** $4 500 000; **საფარი:** ჰარდი
აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) 7:5, 0:6, 6:4

**ლინცი, ავსტრია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:4, 6:1

**ოსაკა, იაპონია**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
მარიონ ბარტოლი (საფ)-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:3, 6:1

**მოსკოვი, რუსეთი**
**საპრიზო ფონდი:** $1 000 000; **საფარი:** ჰარდი
დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)-კაია კანეპი (ესტ) 3:6, 7:6(1), 7:5

**ლუქსემბურგი, ლუქსემბურგი**
**საპრიზო ფონდი:** $220 000; **საფარი:** ჰარდი
ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:2, 6:2

**სტამბოლი, თურქეთი**
**საპრიზო ფონდი:** $4 900 000; **საფარი:** ჰარდი
პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 7:5, 4:6, 6:3

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სედინებმა ჩიკაგოს მოუგეს



ჩიკაგო-ვანკუვერი

გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ცენტრალური იყო შეხვედრა ჩიკაგოს "იუნაიტედ ცენტრში", სადაც ადგილობრივმა "ჩიკაგომ" "ვანკუვერი" მიიღო. მასპინძლებმა, რომლებიც ამჟამად დასავლეთი კონფერენციის ლიდერებს შორის არიან, სასტიკი მარცხი ინვნიეს სტენლის თასის შარშანდელი ფინალისტისგან.

საგულისხმოა, რომ ჩიკაგოელებმა იმ იარაღით წააგეს, რომლითაც აქამდე თავად იგებდნენ შეხვედრებს – მუდმივი ზეწოლა მეტოქეზე, რომელიც ამის გამო ხშირად არღვევს თამაშის წესს. თუმცა გაძევებები ამ მატჩში ორივე მხრიდან მრავლად იყო, ოღონდ ერთი გუნდი ამ შანსს იყენებდა, მეორე – ანიავებდა.

თანაბარ ბრძოლაში წარიმართა პირველი პერიოდი, როცა **დევიდ ბუტმა** (1+1) და **მიხაილ ფროლიკმა** შაიბები გაცვალეს. შემდეგ კი (განსაკუთრებით მეორე პერიოდში) **კორი კროუფორდის** კარში პრაქტიკულად ყველა დარტყმა შევარდა.

როგორც ყოველთვის, პირველ როლებზე ძმები **სედინები** იყვნენ. საბოლოოდ, **დანიელმა** თავის ანგარიშზე ერთი გოლი და ორი შედეგიანი პასი ჩაიწერა, **ჰენრიკმა** – გოლი და სამი გადაცემა. **დენ ჰამჰუისსა** (1+1) და **ალექსანდრ ედლერს** (0+2) ოდნავ მოკრძალებული სტატისტიკა ჰქონდათ, მაგრამ, მთავარი "კენაქსის" საბოლოო წარმატება იყო.

"ჩიკაგომ" კი თავი მხოლოდ იმით გამოიჩინა, რომ მეორე პერიოდის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე **მარკუს კრიუგერმა** გოლი შეაგდო, შემდეგ კი მაყურებელმა ორი ჩხუბი იხილა: **აარონ ვოლპატი** და **დანიელ კარჩილო** თანაბრად იბრძოდნენ, **კევინ ბიექსამ** კი აშკარად დაამარცხა **ჯამალ მაიერსი**.

საერთო ჯამში, ეს არ იყო "ჩიკაგოს" დღე. ამ გუნდმა ზედიზედ მეორე მარცხი ინვნია, "კენაქსისთვის" კი ეს იყო პირველი წარმატება ორი წაგების შემდეგ.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, დღის პირველი ვარსკვლავი გახდა "ვანკუვერის" თავდამსხმელი **ჰენრიკ სედინი**, რომლის გმირობებზე ზემოთ გელაპარაკეთ.

მეორე ადგილზეა "ტამპა ბეის" მეკარე **დუეინ როლოსონი**, რომელმაც სტარტზე ჩავარდნილი **მეტიუ გარონი** შეცვალა და გოლი არ გაუშვა (29 სეივი).

მესამე ვარსკვლავად აღიარეს "კალგარის" ფინელი მეკარე **მიკა კიპრუსოფი**, ვინც მხოლოდ ერთი შაიბა გაუშვა და 32 სეივი განახორციელა.

■ ■ ■

"კაროლინა" საკუთარ მოედანზე ვერ გაუმკლავდა "დალასს", რომელმაც 13 მატჩში მეათე გამარჯვებას მიაღწია. მასპინძლებს მეორე პერიოდის შუაში მეკარე **კემ უორდის ბრაიან ბუშეზე** შეცვლამაც ვერ უშველა. "სტარზის" რიგებში აღსანიშნავია **ჯემი ბენის** ორი გოლი და **ლუის ერიქსონის** სამი საგოლე პასი. ბენმა მეორე შაიბა რიცხობრივ უმცირესობაში შეაგდო.

"ფლორიდამ" საკუთარ მოედანზე ბულიტების სერიით წააგო "ტამპა ბეისთან" – 3:4. არადა, "პანტერებისთვის" ყველაფერი შესანიშნავად იწყებოდა და მათ პირველი პერიოდი ულაპარაკოდ მოიგეს. მაგრამ, როგორც კი "ლაითნინგის" კარში ადგილი როლოსონმა დაიკავა, მოედანზე ყველაფერი შეიცვალა. სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს. ბულიტების სერიაში კი **გი ბუშეს** გუნდს გამარჯვება **დომინიკ ბუშმა** მოუტანა.

"რეინჯერსმა" უპრობლემოდ დაამარცხა "ვინიპეგი" – 3:0. აღვნიშნავთ მასპინძლების მეკარე **მარტინ ბირონს** (23 სეივი), რომელმაც "შატაუტი" შეასრულა, აგრეთვე სლოვაკი **მარიან გაბორიკის** დუბლსა და ერთ საგოლე გადაცემას.

"კოლორადომ" შინ მინიმალური ანგარიშით წააგო "კალგარისთან" – 1:2. ეს "ზვავების" ზედიზედ მესამე მარცხია. მასპინძლებმა **პოლ შჩასტნის** მონდომებით უკვე მატჩის პირველ წუთზე გამოიჩინეს თავი, მაგრამ **მარკო ჯორდანომ** და **კერტის გლენკროსმა** საბოლოოდ გაანბილეს მასპინძლები.

**კაროლინა-დალასი 2:5**

1:3, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ნისტრიომი-3 (ფიდლერი-3, სურეი-6), 0:2 რობიდასი-1 (რიბეირო-9, რაიდერი-4), 1:2 ლაროუზი-4 (სკინერი-8, ტ. კაბერლე-3), 1:3 ბენი-4 (ლ. ერიქსონი-5, რაიდერი-5), 1:4 რაიდერი-4 (ლ. ერიქსონი-6, სურეი-7), 1:5 ბენი-5 (ლ. ერიქსონი-7), 2:5 ტ. რუუტუ-4 (ჟოსლენი-1, ჰარისონი-5).

**ფლორიდა-ტამპა ბეი 3:4 (ბ)**

3:0, 0:2, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბ. კემპბელი-1 (ვერსტიგი-8, ფლიშმანი-7), 2:0 კოპეცკი-2 (სკილი-2, ვივერი-5), 3:0 სანტორელი-1 (კულიკოვი-9), 3:1 მელოუნი-4 (სტემკოსი-5, ბრიუერი-3), 3:2 სტემკოსი-10 (გილროი-4, სან ლუი-11), 3:3 პურსელი-5 (დაუნი-2, ბრიუერი-4).

**ბულიტები გაიტანეს:** მური (ტამპა ბეი).

**ჩიკაგო-ვანკუვერი 2:6**

1:1, 1:4, 0:1

**გოლები:** 0:1 ბუტი-1 (ჰოჯსონი-3, ჰიგინსი-3), 1:1 ფროლიკი-3 (ჰიალმიარსონი-1), 1:2 როუმი-1 (ჰოჯსონი-4, ბუტი-4), 1:3 დ. სედინი-6 (ჰ. სედინი-11, ჰამჰუისი-5), 2:3 კრუგერი-2 (მეიერსი-2, სტალბერგი-2), 2:4 ჰანსენი-2 (დ. სედინი-11, ჰ. სედინი-12), 2:5 ჰამჰუისი-2 (ჰ. სედინი-13, ედლერი-11), 2:6 ჰ. სედინი-5 (ედლერი-12, დ. სედინი-12).

**რეინჯერსი-ვინიპეგი 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 სტეპანი-2 (გაბორიკი-6, დელ ზოტო-4), 2:0 გაბორიკი-6 (სტეპანი-5, ანისიმოვი-6), 3:0 გაბორიკი-7 (ანისიმოვი-7).

**კოლორადო-კალგარი 1:2**

1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 პ. შჩასტნი-4 (ო'ბრაიენი-4, დუშენი-6), 1:1 ჯორდანო-2 (ჰენანი-3, კოსტოპულოსი-2), 1:2 გლენკროსი-4 (ტანგეი-8, იგინლა-4).



დევის პეინი

# ბლუზმენებმა მწვრთნელი შეიცვალეს

მიმდინარე სეზონში NHL-ში პირველი სამწვრთნელო შეცვლა ვიხილეთ. „სენტ ლუის ბლუზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის **დევის პეინის** შეცვლა გადაწყვიტა, რომელიც „ბლუზმენებთან" 2010 წლის იანვრიდან მუშაობდა.

ახალ რეგულარულში „სენტ ლუისმა" ექვსი მატჩი მოიგო და შვიდში დამარცხდა, რაც არ აწყობდა კლუბის ხელმძღვანელობას. „ბლუზის" ახალი დამრიგებელი გახდა ცნობილი სპეციალისტი **კენ ჰიჩკოკი**.

ვარაუდობდნენ, რომ ჰიჩკოკი კრიზისში მყოფ „კოლამბუსში" დაბრუნდებოდა, მაგრამ „სენტ ლუისმა" მწვრთნელი უფრო ადრე გააგდო და გამოცდილი სპეციალისტიც მას დარჩა.

კენმა 1999 წელს „დალასთან" ერთად სტენლის თასი მოიგო და შეეძლო იგივე 2000 წელსაც გაეკეთებინა, მაგრამ წააგო ფინალი „ნიუ ჯერსისთან".

გარდა ამისა, ჰიჩკოკმა „კოლამბუსი" პლეი ოფში გაიყვანა და მოიგო 2012 წლის ოლიმპიური თამაშები კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტის რანგში.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ბარი-ვერონა | 0:1 |
| ბრეშა-სამპდორია | 0:0 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| ფროსინონე-კრემონეზე | 0:1 |

**ესპანეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მურსია-დეპორტივო | 0:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-აინტრახტი | 1:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანსი-სედანი | 4:2 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოსი-დორდრეჰტი | 3:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-აგფ ორჰუსი | 1:1 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| დელემონი-ვილი | 4:0 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვერია-პანაჰაიკი | 2:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სკა ენერგია-გაზოვიკი | 2:1 |
| ენისეი-ფაკელი | 1:1 |
| კამაზ-ალანია | 2:0 |
| ლუს ენერგია-ურალი | 1:1 |
| სიბირი-ხიმკი | 2:1 |
| ნ. ნოვგოროდი-ბალტიკა | 1:0 |
| მორდოვია-[illegible] | 3:4 |
| ტორპედო (ვ)-ტორპედო (მ) | 3:1 |
| შინიკი-ჩერნომორეცი | 1:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-ერმისი | 1:0 |
| არისი-აეკ | 1:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიქტორია-ბანიკი | 0:3 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| იაგელონია-ლეგია | 0:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ტარგუ-რაპიდი | 0:2 |
| გაზ მეთანი-ვასლუი | 1:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| მონტანა-სვეტკავიცა | 0:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ბეითარი | 0:1 |

**კალათბურთი**

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ხიმკი-სპარტაკი | 87:81 (ო) |

**ჰოკეი**

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| პოპრადი-სლოვანი | 4:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ჰ371 | 3:4 |

**ჩოგბურთი**

**ATP. პარიზი**

| | |
|---|---|
| გარსია ლოპესი-ხირალდო | 6:4, 1:6, 6:4 |
| იუჟნი-კოლშრაიბერი | 4:6, 2:6 |
| ჩილიჩი-ვერდასკო | 6:3, 2:6, 3:6 |
| ჟ. მიულერი-ანდერსონი | 3:6, 6:4, 4:6 |
| რაონიჩი-ბენეტო | 7:6, 6:7, 4:6 |
| ფ. მაიერი-შტეპანეკი | 7:5, 6:3 |
| ბელუჩი-ბოგომოლოვი | 6:4, 6:7, 2:6 |
| ფერერო-მაუ | 2:6, 3:6 |
| დავიდენკო-სეპი | 6:7, 5:7 |

● TV პროგრამა

**8 ნოემბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XII ტური. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. XI ტური. ნაპოლი-იუვენტუსი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური. ეინდჰოვენი-ჰერაკლესი.
18:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
19:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ბოტაფოგო-ფიგუერენსე.
21:00 ინგლისის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XII ტური. ბილბაო-ბარსელონა.
00:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
01:00 სუპერმატჩი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ამერიკა მინეირო-კორინთიანსი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
15:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ნიცა.
17:00 მხატვრული ტანვარჯიში.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 გადაცემა - იმედის ფსონი.
21:00 საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
21:45 სუპერკოლაჟი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდ-სპორტი.
22:45 კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. I დღე. პარიზი. საფრანგეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. მიმოხილვა. პარიზი. საფრანგეთი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

14:00 ცურვა. მსოფლიოს თასი. ჩინეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

19:30 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
22:30 ATP-ის ტური. მასტერსის სერია. II დღე. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT**

19:30 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 63 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
17:00 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. III დღე. პერტი (LIVE).
22:00 ძალოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

19:30 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა. III დღე. პერტი (LIVE).

● მოტოსპორტი

# ჩემპიონის რისკიანი სპურტი

მოტოგრანპრის ჩემპიონატში სეზონის დასკვნითი რბოლა ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გაიმართა. თავდაპირველად, პილოტებმა პატივი მიაგეს წინა ეტაპზე დაღუპული იტალიელი მოტომრბოლის - **მარკო სიმონჩელის** ხსოვნას. სპორტის ამ სახეობის ლეგენდამ - **კევინ შვანტცმა** სიმონჩელის კუთვნილი მოტოციკლით წრე დაარტყა ვალენსიას ავტოდრომს და ორი წუთის განმავლობაში მაყურებელი ფეხზე ამდგარი ტაშს უკრავდა დაღუპულ იტალიელ პილოტს.

სეზონის დასკვნით რბოლას ინტრიგა არ ჰქონდა, რადგან მოტოგრანპრიში ჩემპიონის ვინაობა ორი ეტაპით ადრე გაირკვა - უძლიერესის ტიტული **კეისი სტოუნერმა** მოიპოვა, თუმცა ავსტრალიელი მაინც სერიოზულად იყო განწყობილი საბრძოლველად.

პილოტებმა ამჯერადაც ვერ აიცილეს თავიდან ავარია, რომელშიც **დე პუნიე, ბაუტისტა, როსი** და **ჰეიდენი** მონაწილეობდნენ. მრბოლელებს სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ, სამაგიეროდ, რბოლის დასრულებამ მოუწიათ.

ვალენსიის ეტაპის ერთ-ერთი გმირი აღმოჩნდა ამერიკელი **ბენ სპისი**, რომელმაც მეოთხე ადგილიდან კინალამ რბოლის მოგება შეძლო. მან ჯერ მესამე ადგილზე მყოფი **პედროსა** ჩამოიცილა, შემდეგ მეორე ადგილი წაართვა **დოვიციოზოს** და სტოუნერს გამოეკიდა, რომელიც დამაჯერებლად ლიდერობდა რბოლას და თითქოს, მის პოზიციას არაფერი ემუქრებოდა.

მაგრამ ფინიშამდე სამი წრით ადრე ავსტრალიელმა შეცდომა დაუშვა და სპისი პირველ ადგილზე გადავიდა, რაზეც რბოლის შუაში ვერც კი იოცნებებდა. ამერიკელი ბოლო მოსახვევამდე ლიდერობდა, მაგრამ ფინიშის სწორ მონაკვეთზე სტოუნერმა გამოიყენა „ჰონდას" მოტოციკლის უპირატესობა და გამოსტაცა გამარჯვება სპისს - ამ პილოტებს შორის სხვაობამ მხოლოდ 15 მეათასედი წამი შეადგინა.

სტოუნერმა ტრიუმფალური სეზონი მეათე გამარჯვებით დაასრულა.

**ვალენსიას გრან-პრი**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 30 წრე; 2. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +0,015; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - +5,936; 4. **კელ კრატჩლოუ** (აშშ, „იამაჰა") - +8,718; 5. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - +9,321...

**საერთო ჩათვლა**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი") - 350 ქულა; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 260; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა") - 228; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 219; 5. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 176; 6. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა") - 139; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა") - 139; 8. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 132; 9. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - 109; 1010. **ჰიროში აოიამა** (იაპ, „ჰონდა") - 98...

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



კეისი სტოუნერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები


როჯერ ფედერერი

# ბაზელი ფედერერისაა

გასულ კვირას მამაკაცთა ტურში „500“ კატეგორიის ორი ტურნირი მიმდინარეობდა. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში არ შედგა წინასწარ გამოცხადებული ფინალი **როჯერ ფედერერსა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩს** შორის.

ამას ხელი შეუშალა იაპონელმა **კეი ნიშიკორიმ**, რომელმაც ნახევარფინალში სენსაციურად დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, თანაც მესამე სეტი აზიელმა ჯოკოვიჩს 6:0 მოუგო.

როგორც ჩანს, ამ გამარჯვებამ ნიშიკორის ბევრი ფიზიკური და მორალური ძალა გამოაცალა და ამიტომაც, ფინალში ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ფედერერს.

შვეიცარიელმა მთელი მატჩის განმავლობაში ოთხი ბრეიკი გააკეთა, მეტოქეს კი მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი მისცა, რომელიც 21 წლის იაპონელმა ვერ გამოიყენა.

საბოლოოდ, მატჩი საათსა და 12 წუთს გაგრძელდა და 6:1, 6:3 დასრულდა. ფედერერმა მერვედ ითამაშა მშობლიური ბაზელის ტურნირის ფინალში და მეხუთედ მოიგო მთავარი პრიზი. სულ კი, როჯერის ანგარიშზე 68 ტიტული მოდის.

■ ■ ■

ნაკლებად წარმომადგენლობითი იყო ტურნირი ვალენსიაში, სადაც მთავარი სენსაციები ნახევარფინალურ ეტაპზე მოხდა, როცა ესპანელმა **მარსელ გრანოლერსმა** არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** გამოთიშა ბრძოლას, ხოლო არგენტინელმა **ხუან მონაკომ** ტურნირის პირველ ნომერს - ესპანელ **დავიდ ფერერს** მოუგო.

რაც შეეხება ფინალურ მატჩს, მისი ბედი სამ სეტში გადაწყდა. მეტოქეებმა პარტიები გაცვალეს, რის შემდეგაც, გადამწყვეტ სეტში მონაკომ 4:2 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ გრანოლერსმა ტაიბრეიკამდე მიიყვანა საქმე, იქ კი 7:3 გაიმარჯვა.

სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ საბოლოო ანგარიში იყო - 6:2, 4:6, 7:6(3) გრანოლერსის სასარგებლოდ. ესპანელმა კარიერაში მესამე ტიტული მოიგო, რისთვისაც 500 სარეიტინგო ქულა და 325 ათასი ევრო მიიღო. შარშან, გრანოლერსი ვალენსიაში ფინალში თამაშობდა, მაგრამ თანამემამულე დავიდ ფერერთან დამარცხდა.

**Swiss Indoors**

ბაზელი (შვეიცარია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 654 486 დოლარი

**ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 6:1, 6:3.

**Valencia Open**

ვალენსია (ესპანეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 1 832 675 დოლარი

**ფინალი**

**მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:2, 4:6, 7:6(3).

ტრაგედია

# სისხლიანი ფრენბურთი

რვა ადამიანი დაიღუპა და შვიდი დაიჭრა მექსიკაში ფრენბურთის მატჩის დროს მომხდარი თავდასხმის შედეგად.

ტრაგიკული ინციდენტი მექსიკის შტატის - სინალოას ქალაქ კულიაკანში მოხდა. შტატის პროკურორის თქმით, თავდამსხმელები მატჩზე კონკრეტული მიზნით მივიდნენ – სიცოცხლეს უნდა გამოესალმებინათ მათთვის საჭირო ადამიანები. თვითმხილველები ამბობენ, რომ ორი ნიღბიანი ადამიანი უთითებდა ბანდიტებს – ვისთვის უნდა ესროლათ. დაზარალდნენ სპორტსმენები და მაყურებელი, რომლებიც ცეცხლქვეშ მოხვდნენ. პროკურორი ამბობს, რომ თამაშზე მომხდარი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის კრიმინალური გარჩევა.

ცნობილია, რომ სანალოაში მოქმედებს ამავე სახელწოდების კარტელი, რომელიც შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს მეორე დაჯგუფებასთან – ტიხუანასთან. აღსანიშნავია, რომ მექსიკა დაძაბულობის კერა გახლავთ – ქვეყანაში ღიად მიმდინარეობს ბრძოლა ხელისუფლებასა და ნარკოკარტელების შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, რომლებიც მკაცრად უსწორდებიან ყველას, ვინც მათ არ ემორჩილებათ.

გოლფი

# რასისტული ხუმრობა

ახალმა ზელანდიელმა **სტივ უილიამსმა**, რომლის პროფესიაა გოლფისტის ყვანჯების ტარება (ინგლისურად ამ პროფესიას – კედი ეწოდება), შანხაიში საუკეთესო კედის დაჯილდოების ცერემონიაზე თავისი ყოფილი ბოსის **ტაიგერ ვუდსის** მისამართით ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რომელმაც შოკში ჩააგდო იქ დამსწრე საზოგადოება. კითხვაზე – რას უპირებს თავის პრიზს, უილიამსმა უპასუხა, რომ უნდა ეს ჯილდო იმ შავ ადგილას შეტენოს, რომელსაც ინგლისურად ass hole ჰქვია. ყველასთვის გასაგები იყო, რომ უილიამსს მხედველობაში ჰყავდა ვუდსი, რომელთანაც მან 12 წელი იმუშავა და მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი იყო.

თვითმხილველთა თქმით, კედის სიტყვებმა შოკში ჩააგდო ცერემონიაზე შეკრებელი საზოგადოება. უილიამსის ერთ-ერთმა კოლეგამ აღნიშნა, რომ ბევრს პირდაპირი მნიშვნელობით ყბა ჩამოუვარდა. *„ვიცოდით, რომ იდიოტი იყო, მაგრამ არ გვეგონა, თუ იდიოტი რასისტი იქნებოდა“*, - განაცხადა მან.

უკვე მომდევნო დღეს უილიამსმა საკუთარ ვებგვერდზე ბოდიში მოიხადა: *„მოთამაშეები და მათი თანაშემწეები მოუთმენლად ელოდნენ ამ საღამოს, რომელზეც საყოველთაო მხიარულება, ხუმრობა და სიცილი სუფევდა, - დაწერა მან. – ვაცნობიერებ, რომ ჩემი სიტყვები, შესაძლოა, რასიზმთან იყოს ასოცირებული. მაგრამ ასეთი განზრახვა არ მქონია, ამიტომაც მინდა ბოდიში მოვუხადო ტაიგერ ვუდსს და ყველას, ვისაც ვაწყენინე“*. საბოლოოდ, უილიამსმა თავიდან აიცილა სასჯელი პროფესიული გოლფის ასოციაციისგან.

ვუდსი და უილიამსი ერთობლივი მუშაობის პერიოდში ახლო მეგობრები იყვნენ, მაგრამ შემდეგ გოლფისტმა მასთან განშორება გადაწყვიტა. ახლა უილიამსი ავსტრალიელ **ადამ სკოტსთან** მუშაობს.


ტაიგერ ვუდსი

მძლეოსნობა

# ნიუ იორკის მარათონი

ნიუ იორკის სახელგანთქმული მარათონი აფრიკელი მორბენლების ტრიუმფით დასრულდა. ეს ლეგენდარული გარბენი 1970 წლიდან იღებს სათავეს და მასში მონაწილეობა ნებისმიერი ვარსკვლავისთვის დიდი პატივია.

წელსაც აქ უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი: შარშანდელი ჩემპიონი, ეთიოპიელი **გებრე გებრმარიამი**, ბოსტონის მარათონის ჩემპიონი, კენიელი **ჯეფრი მუტაი**, მისი მოგვარე - **ემანუელ მუტაი** და სხვები. სულ სტარტზე 47 ათასი სტაიერი გავიდა.

ჯეფრი მუტაიმ წელს ბოსტონის მარათონი სარეკორდო დროში მოიგო და მსოფლიოს რეკორდიც დაამყარა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციამ არ ცნო ეს დრო, რადგან ბოსტონში ხშირია დაღმართები და ის არ გახლავთ სტანდარტული ტრასა.

ჯეფრიმ დაადასტურა ფავორიტის სტატუსი, თანაც ეს ძალიან იოლად გააკეთა. თავიდან შვიდი მორბენლისგან შემდგარი ჯგუფი დაწინაურდა, რომელშიც ორივე მუტაი და გებრმარიამიც იყვნენ. ამათგან პირველმა სერიოზული შეტევა ჯეფრი მუტაიმ წამოიწყო. ამ სვლამ გაამართლა და კენიელის დაწევა ფინიშამდე ვერავინ შეძლო. გამარჯვებულმა ისეთი ტემპი განავითარა, რომ საბოლოოდ, მეორე ადგილზე გასულ მოგვარეს - ემანუელ მუტაის წუთი და 22 წამი მოუგო.

აღსანიშნავია, რომ ჯეფრი მუტაის დრო - 2 საათი, 5 წუთი და 6 წამი ნიუ იორკის მარათონის ახალი რეკორდია. ამ გამარჯვებისთვის კენიელმა 200 ათასი დოლარი მიიღო. სხვათა შორის, ის 2002 წლის შემდეგ პირველი სტაიერია, ვინც ერთ სეზონში ბოსტონისა და ნიუ იორკის მარათონები მოიგო.

მესამე ადგილზე გავიდა ოლიმპიური პრიზიორი - ეთიოპიელი **ცეგაი კებედე** და მხოლოდ მეოთხე იყო შარშანდელი გამარჯვებული გებრე გერბმარიამი.

ქალებს შორის მთელი მარათონის განმავლობაში ლიდერობდა კენიელი **მერი კეიტანი**, მაგრამ ფინიშზე მას ორმა ეთიოპიელმა გაუსწრო. გაიმარჯვა **ფირეჰივოტ დადომ** (2:23.15), ბრინჯაო მიიღო **ბეზუნეშ დებამ** (2:23.19).



ჯეფრი მუტაი

■ ■ ■

ამასობაში, მძლეოსნობის საერთაშორისო ასოციაციამ გამოაქვეყნა იმ სპორტსმენების სია, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ წლის საუკეთესო მძლეოსნის ტიტულზე. მამაკაცებსა და ქალებს შორის ფინალური სამეულები სამკვირიანი წილისყრის შედეგად გამოვლინდა. პრემიის ლაურეატები 12 ნოემბერს გალა-წარმოდგენაზე გაარკვევენ.

მამაკაცებს შორის წლის სპორტსმენის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებენ: სპრინტერები **იოჰან ბლეიკი** და **უსაინ ბოლტი** (ორივე იამაიკა) და მორბენალი **დავიდ რუდიშა** (კენია). ქალებს შორის ნომინანტები არიან: ბირთვის მკვრელი **ვალერი ადამსი** (ახალი ზელანდია), მორბენლები **ვივიან ჩერუიოტი** (კენია) და **სალი პირსონი** (ავსტრალია).

კალათბურთი

# ორი დასჯილი

გასულ უქმეებზე NBA-ის ორი კალათბურთელი დაისაჯა უდისციპლინობის გამო. ერთ-ერთი გახლავთ „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი **ჯეი ჯეი ჰიქსონი**, რომელმაც ლოკაუტის პერიოდში ისრაელის კლუბთან „ბნეი ჰაშარონთან“ გააფორმა კონტრაქტი. მაგრამ ამ კალათბურთელის ევროპული კარიერა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ჰიქსონი ვარჯიშებზე მუდმივი დაგვიანებებისა და დისციპლინის დარღვევისთვის გუნდიდან გარიცხეს. ჰიქსონმა „ბნეი ჰაშარონის“ რიგებში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა.

ჰიქსონი 2008 წლის დრაფტის მე-19 ნომერია. ის NBA-ში კარიერას „კლივლენდის“ შემადგენლობაში იწყებდა. შარშან მან 80 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 13.8 ქულა ლა 8.7 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

„იუტა ჯაზის“ ყოფილი მოთამაშე, პუერტორიკოელი **ხოსე ორტისი** მარიხუანას შენახვისთვის დამნაშავედ სცნეს. კალათბურთელი ამა წლის ივნისში დააპატიმრეს ნარკოტიკების შენახვისა და რეალიზაციისთვის და ახლა მას სასამართლომ 600 საათი იძულებითი სამუშაო მიუსაჯა.

ორტისი „იუტაში“ 1988-90 წლებში თამაშობდა, კარიერის დიდი ნაწილი კი ევროპაში გაატარა, სადაც „რეალისა“ და „ბარსელონას“ რიგებშიც უთამაშია.

ის პუერტო რიკოს ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელად არის მიჩნეული. ორტისს მონაწილეობა აქვს მიღებული ოთხ ოლიმპიადაზე, აგრეთვე 1994 წელს სანკტ-პეტერბურგში კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი გახდა.


ჯეი ჯეი ჰიქსონი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**